

917722981095006

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

პირველი  
საბლითები

# პერილი

ფასი 3 ლარი

1134

2023



2023

4 (312)

თამარი ფხაჟაძე

თრ „თურმეს“ შტრის

# სარჩევი

<b>პერსონა</b>	1	ინტერვიუ თამრი ფხაკაძესთან - ის, რაც გინდა, ზოგჯერ იმაზე ნამდვილი და ძლიერია, რაც გაქვს ესაუბრა თაკო ნულაია
	5	თამრი ფხაკაძე   ორნი
	17	გიორგი მაჭარაშვილი   დიდი მიახლოება
	22	ირაკლი ქასრაშვილი   წინაპრებიდან თანამედროვეობისაკენ
<b>პოეზია</b>	26	ნაირა გელაშვილი   დღიურის ნაწილი
	31	ლია სტურუა
<b>თარგმანი</b>	34	რეიჩელ კასკი   დუბლიორი ინგლისურიდან თარგმნა გური თევზაძემ
<b>რეცენზია</b>	43	დავით მაზიაშვილი   სათადარიგო ჰამლეტი
	47	ელისაბედ გველესიანი   "ტყის ჩეხა" - რომანი გასაღებით

გარეკანი: მამუკა ტყემელაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია  
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები  
მალხაზ ხარბედია  
ლექსო დორეული  
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყემელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,  
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,  
ზურაბ კვიციანი, ვასილ მაღლაფერიძე,  
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,  
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,  
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,  
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინამდვილათა

სულხან-საბა

არილი - მზის შუში, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის  
მარილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: [info@arilimag.ge](mailto:info@arilimag.ge)

ვებგვერდი: [arilimag.ge](http://arilimag.ge)

 AriliMagazine

გამოდის 1993 წლიდან

© უურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება  
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

უურნალი გამოდის  
საქართველოს კულტურის,  
სპორტისა და ახალგაზრდობის  
სამინისტროს ფინანსური  
მხარდაჭერით



# ინტერვიუ თამრი ფხაკაძესთან - ის, რაც გინდა, ზოგჯერ იმაზე ნამდვილი და ძლიერია, რაც გაქვს


ესაუბრა თავო ნულაია



“ჩვენ, ყველა, ვცხოვრობდით მთაზე, რომლის ფერხითაც ოდესღაც ქალაქი გაშენდა. ჩვენ, ყველა, ვცხოვრობდით თეთრი, თლილი ქვის სახლში, რომლის წინკართან, ფილაქანზე, მშენებლებს ფერადი ქვებით ჩაეკირათ წარწერა: “დრონი მეფობენ” - ასე იწყება ვრცელი, პერსონაჟებითა და თავგადასავლებით სავსე წიგნი. ტექსტი, უფრო კი ტილო, რომელზეც ერთი ოჯახის ცხოვრება, მათი გამომდებელი გაქცევა, უკან დაბრუნება, ერთმანეთთან და ერთმანეთის გარეშე ყოფნა ასახული, თამრი ფხაკაძეს ეკუთვნის.

ავტორი მასზე 12 წლის განმავლობაში მუშაობდა და აცოცხლებდა არა მარტო ადამიანებს, თურმელების ოჯახს, არამედ სახლს, რომლის თითოეული ოთახი მაგიური ენერგიით, ერთგვარი ჯადოსნობითაა სავსე. სახლი რომანის მთავარი გმირია, სახლში მცხოვრებ ადამიანებს შორის კი ძნელია პროტაგონისტის პოვნა, რადგან ყველას საკუთარი სათქმელი აქვს, ავტორი თითოეული პერსონაჟისთვის ქმნის დამოუკიდებელ ამბავს, რომელიც, საბოლოოდ, ერთ დიდ ისტორიად, საოჯახო ქრონიკად იკვრება. ასეთია “ჩვენ, თურმელები”, რომელიც გამომცემლობა “პალიტრა L-მა” გამოსცა და რომლის შესახებაც ავტორს ვესაუბრეთ.

თამრი ფხაკაძე ინტერვიუში მისთვის განსაკუთრებული პერსონაჟების, თურმელების მაგიურობისა და “თურმეს” ორგვარი მნიშვნელობის შესახებ საუბრობს. გვიზიარებს თავის დამოკიდებულებას “ნამდვილად ყოფნაზე” და ქართული ენისადმი შეცვლილ, ახლებურ დამოკიდებულებაზეც გვიამბობს.



**ჯერ კიდევ მანამ, სანამ თქვენი რომანის პერსონაჟებს და მათ ბიოგრაფიებს გავეცნობით, ადამიანებით ცოცხალი სახლის ვრცელ აღწერას ვკითხულობთ. ამ აღწერის მიხედვით კი, ოთახები არა მარტო ცოცხლები და სულიერები, არამედ ძალიან ინდივიდუალური და კონკრეტული თვისებების, ხასიათების მატარებლები არიან. რატომ და როგორ "ცოცხლდება" თურმელების სახლი? ამბავი იქცევა სახლის "სულად" თუ ადამიანი, რომელსაც ეს ამბავი გადახდა?**

სიმაართე გითხრათ, როგორც ავტორს, არ მინდა ყველაფრის გაშიფვრა მკითხველისთვის, ერთადერთი კეთილი მიზნით: არ ნაჯართვა მას თავისუფლება, იგულისხმოს ის, რაც სურს, რომ იგულისხმოს. დაე, თავად აირჩიოს, რა არის თურმელების სახლი: სცენა, წიაღი, გეოგრაფია, დრამატურგია, რელიგია, სამშობლო თუ ჩვენი საკუთარი შინაგანი სამყარო...

მახსოვს, სკოლაში, ვაჟა-ფშაველას რომ გავდიოდით, წამოდგა ერთი ჩემი კლასელი ბიჭი, ძალიან ლაღად და თავისუფლად მოახროვე, ძალიან ლაღი და თავისუფალი ადამიანი (ნათელი მის სულს...) და მასწავლებელს ჰკითხა, თვითონ ვაჟას ოდესმე თუ უთქვამს, რომ არნივმი საქართველოს გულისხმობდაო? იქნებ, არნივს არც გაცდენილაო? რატომ გვახვევთ თავს, რომ მაინცადავინც სამშობლოს გულისხმობდაო? მან თავისუფალი არჩევანი დაგვიტოვა და თქვენ რატომ გვართმევთ ამ არჩევანსო? მე იქნებ მინდა, ჩემით ვიგულისხმოო...

რალაცნაირად, დამამახსოვრდა ეს ამბავი. თავისუფლება სივრცით-სიღრმითად განფენილი, მრავალმრიანი ცნებაა. სხვა ყველა და ყველაფერთან ერთად, თავისუფლება სჭირდება მკითხველსაც. ვერ აღვუდგები წინ მკითხველის წილ თავისუფლებას. ვერ დავაპროგრამებ მკითხველს: აქ ეს ვიგულისხმე, იქ ის ვიგულისხმე... მით უმეტეს, რომ ზოგჯერ არც არაფერს გულისხმობს მწერალი, უბრალოდ, წერს, ჰყვება...

ხომ არ გულისხმობს ცხოვრება რამე მეორე, სხვა ცხოვრებას? მიდის, მიედინება...

სმირად სწორედ ასე მიედინება ტექსტიც, ქვედინებების გარეშე, ქვეტექსტების გარეშე.

როგორც ძვირფასი ჰერ ზიგმუნდ ფროიდი იტყოდა, ზოგჯერ სიგარა მხოლოდ სიგარაა და მეტი არაფერი.

სმირად ამა თუ იმ ტექსტს დრო, ეპოქა მერე მიანერს ხოლმე რალაც ქვეტექსტს, რომელსაც კონკრეტული ნაწარმოები, უბრალოდ, მოუხდა. ზოგჯერ მწერალი ქვეცნობიერად გულისხმობს რალაცებს, ისე, რომ ვერც ხვდება, რომ გულისხმობს. ზოგჯერ, მართლაც გულისხმობს. ყველანაირად ხდება.

მაგრამ ამ ყველაფერზე თავად მისგან ორიენტირების მოცემა მე პირადად არ მომწონს.

შესაძლოა, როგორც რესპონდენტმა, იმედი ოდნავ გააცირუთ, მაგრამ ასეა. ვერავის მოვახვევთ თავს ჩემს ლაბორატორიას და ბოლომდეც ვერ გავხსნი ყველა კარს...

ასეთი რამ მე, როგორც მკითხველს, ყოველთვის მალიზიანებს, უკუეფექტს იწვევს. ავტორი, რომელიც თავის ნაწერში გზამკვლეობას მიწყებს, უინტერესო ხდება ჩემთვის. ავტორი, რომელიც ბევრს

ლაპარაკობს თავის ნაწარმოებზე, იმედს მიცრუებს თუმცა, საბედნიეროდ, ბევრი არ მახსენდება ასეთი ავტორი. როგორც ჩანს, გამონაკლისი არ ვარ ამ მიდგომაში.

**მინდა, პერსონაჟებზე გკითხოთ. ავტორის ხმა ზოგიერთ ეპიზოდში დემეტრეს ხმა ანაცვლებს თუ გავითვალისწინებთ, რამდენი პერსონაჟია ტექსტში და რა საინტერესო იყო თითოეული მათგანის ცხოვრება, რთული უნდა ყოფილიყო მთხრობის შერჩევა. რატომ მაინცადავინც დემეტრე?**

მანდ არავინ უწყის, ვინ ჰყვება ამბავს. მხოლოდ დემეტრე და ავტორი არ არიან მთხრობელები. თვითონ "ავტორიც", როგორც მთხრობელი, პირობითი რამაა. დემეტრე მხოლოდ ერთი ან ორი ეპიზოდის მთხრობელია. "ჩვენ, ყველა" ვერ მოიაზრებს დემეტრეს 37-ში, 60-იანებშიც, იუგოსლავიის ომების დროს და კიდევ სხვა პერიოდში ერთდროულად... მთხრობელიც პირობითობაა აქ. დრო, როგორც კატეგორია, მოშლილია...

**ნივნში მაგიური ატმოსფეროა და შესაძლებელ-შეუძლებელი ზღვარი სულ უფრო ბუნდოვანი ხდება თურმელებისთვის. გარე სამყაროც კი რომელიც თავდაპირველად შეუვალლბას ინარჩუნებს, ხანდახან ვერ უშკლავდება თურმელების მაგიურობას. თქვენ როგორ ჩაიფიქრეთ - თურმელების მაგია მხოლოდ სახლის კედლებში ნარჩუნდება და სინამდვილეში სახლს ეკუთვნის, თუ პერსონაჟების ერთგვარი თვისებაა, რომელიც ყველგან თან დაჰყვებათ?**

სახლი და თურმელები განუყოფელი მთლიანობაა. სადაც სახლი - იქაც თურმელი. სადაც თურმელი - იქაც სახლი.

ადამიანი ხომ ლოკოკინასავით თან დაატარებს თავის უჩინარ სახლს, თავის იდენტობას, თავის სამშობლოს, თავის რწმენას, სულიერებას, თავის ნიჟარას - საკუთარ ბედისწერას. ხოლო ბედისწერა ხშირად ძალიან ნაავს მაგიაა...

ყველა ადამიანი ფლობს რალაც ოდენობით მაგიას. ყველა ადამიანს თავისი ბედისწერა აქვს, ბედისწერას კი - თავისი მაგია.

მზერა, რომელიც გატყვევებს. ხმა, რომელიც გიმორჩილებს. ნამი, რომელსაც ვერასდროს დაივინყებ განუშეორებელი სიტყვა, რომელიც განუშეორებელ ნამს ითქვა. გადამდები სიცოცხლი და ცრემლი. სიკვდილი, რომელსაც თვალეში ჩახვდება და უკან დაიხია. წერტილისებლა სინათლე შორს, წყვილადმი, რომელიც შენი იმედი ხდება... უამრავი რამ. ეს ყველაფერი ბედისწერა და მაგიაა. აუხსნელი. შეუცნობელი.

თურმელები, მათი ბედისწერა, მათი მაგია, სახლი, რომელიც ნიჟარასავით თან დაჰყვებათ, ერთი მთლიანობაა.

თურმელები ზოგჯერ დაუჯერებელ შესაძლებლობებს ფლობენ, მაგრამ დაუჯერებელი ხომ ხშირად ყველაზე დამაჯერებელია, რადგან, უბრალოდ გვინდა, რომ დავიჯეროთ და მართლაც ასე იყოს.

ხოლო ის, რაც გინდა, ზოგჯერ იმაზე ნამდვილი და ძლიერია, რაც გაქვს.

**გვარიც - "თურმელი" - მათი ისტორიების ლეგენდარულობასა და გამონაცვლელ თანაზიარობაზე მიაწინებს?**

საკმაოდ ბევრი მინერია ცხოვრებაში, მაგრამ "თურმელების" წერისას თითქოს სრულიად ახლებურად დამატყვევება ქართული ენის სიღრმემ, შესაძლებლობებმა, წარმოუდგენლად ფაქიზმა სიტყვიერმა ნიუანსებმა... ამ ენას მოუხელთებლის მოხელთება შეუძლია. ამ ენას განსაკუთრებული სურნელი და ფერები აქვს. ყველა სიტყვა ცოცხალი ორგანიზმი. პოლიგლოტი ნამდვილად არ ვარ, რომ ქართული ბევრ ენას შევადარო, მაგრამ შედარებით ანალიზი არცაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ქართული ენა შესაძლებლობას გაძლევს თითქოსდა ერთუთქმელი, ჰაერში მოცახცახე, გამჭვირვალე, ლამის არარსებული განცდები, განწყობილებები და ფიქრები სიტყვებზე აქციო.

აი, თუნდაც სიტყვა "თურმე". ფილოსოფიური დატვირთვის მქონე, ულამაზესი, რიგითი განძ-სიტყვა. "თურმე", რომელიც მთელ ადამიანურ სიცოცხლეს იტევს. ორი სრულიად საპირისპირო განცდის გადმოცემის შემდეგ სიტყვა!

იბადება ადამიანი და ეძლევა ცოდნა სამყაროზე, არასაკუთარ გამოცდილებაზე დამყარებული ცოდნა, რომ "ცხოვრება თ უ რ მ ე წუთისოფელია, ხანმოკლეა". კვდება ადამიანი და თან მიაქვს სულ სხვა "თურმე" იგივე ფრაზაში, იგივე "თურმე", მხოლოდ ახლა უკვე საკუთარ გამოცდილებაზე დაშენებული: "დიხა, ასე ყოფილა მართლაც, ცხოვრება თ უ რ მ ე წუთისოფელია, ხანმოკლეა". ამ რამ-სხელა განსხვავებაა ამ ორ "თურმე"-ს შორის... პირველი - მხოლოდინის, ცნობისმოყვარეობის, აღმოჩენების წყურვილის "თურმეა", მეორე - დაღლილი, დამცხრალი, დაბრძენებული, გამოსათხოვარი სიტყვა...

ანუ არის "თურმე" pre და არის "თურმე" post. არის "თურმე" სხვათაგან გაგებულნი ქემშარბიტების და არის "თურმე" საკუთარი აღმოჩენილის...

სულ ხუთ ასობგერიაში სიტყვა. ერთი ციდა სიტყვა, რომელიც დიდ ბზრობივ ქარიშხლებს ეთამაშება...

არა "It turns out", არა "оказывает", არა თუნდაც ლათინური "Verit ex", არამედ პატარა, ძლიერ-მოსილი, ფერისცვალების შემდეგ "თურმე"...

სწორედ ეს ჯადოსნური "თურმე" უნდა ყოფილიყო ჩემი უცნაურად ძლიერ-მოსილი და ჯადოსნური მოდგმის გვარის ფუქემი...

**"სენაკი", რომელიც 25 ნელინადში ერთხელ თურმელი კაცები შეიდას, სავარაუდოდ, ოჯახის (ქვეყნის) წარსულის წერილობითი ისტორიის, წარსულის ტექსტში აღბეჭდვის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. აქედან გამომდინარე, რა დანიშნულება აქვს ხსოვნას? რას ცვლის თურმელებისთვის ერთმანეთის შესახებ მოგონებების შემონახვა?**

ამას ჩემზე უკეთ ამბობს ლუკა თურმელი, 25 წლის ახალგაზრდა კაცი, რომელიც პირველად შედის "სენაკში" და რომელიც სწორედ იმაზე დაფიქრდება, თუ რას ნიშნავს გახსენება, წინაპრების გამოძახება საუკუნეთა ბურუსიდან...

"ლუკა თურმელმა ნაწერს თვალი მოაშორა და სარკლიდან შემომავალი სინათლის სხივების მსხვილ ლულებზე ჩამომდგარ ბურუსს ახედა. მთვარის პა-

წაწინა ნაწილაკები დაცურავდნენ და ბრწყინავდნენ ლულების ზოლში. იქვე გვერდით, ჩვეულებრივი ჰაერი იდგა, ჩვეულებრივი უჩინარი სიცარიელე, არარა. და ლუკამ გაიფიქრა: ჩვენც მაშინ ვიზნვართ, როცა ნათელი მოგვადგება. გახსენების ნათელი. ასი წლის მერეც ვიარსებებთ, როცა გავიხსენებენ. როცა გავიხსენებენ, ისეც გამოვჩნდებით, როგორც ჩრდილში უხილავი ეს მტკერი მოჩანს მზის სხივზე...

გაუკვირდა ეს ფიქრები და ისევ ვანაგრძო, რომ სად, სადღაა ახლა დიდი ანთიმოზი? საუკუნეთაგან უხილავია და მივადექი მე - მისი ნათელი და შუქი, და გამოჩნდა... და თუ მეც მომადგება ვინმე დიდი ხნის მერე, მეც გამოვჩნდები. გახსენება - შუქია. გახსენება - არსებობა..."

"სენაკიც" ესაა. აქ ერთმანეთის მოგონება-გახსენება-გაცნობა სიკვდილს სიცოცხლედ აქცევს, წარმავალს - მარადისობად...

**აბეს და კააბოს შთამომავლობა - კაენის და აბელის ამბის თქვესულ გადაზრებად შევიძლია მივიჩნიოთ? კააბოს სახის ასეთი ინტერპრეტირება რატომ გადაწყვიტეთ? როგორ ჩნდება მასში სიყვარულის მოტივი?**

რა თქმა უნდა, აქ ასოციაცია აშკარაა. იმისათვის, რომ მინიშნება უფრო დამეხუსტებინა, კააბოს აბე უნდა მიეკლა. მაგრამ არ მოუკლავს და ასოციაცია კი მაინც ძალიან მარტივად ჩნდება. ლიტერატურაში უამრავი მაგალითია პერსონაჟების, რომელთა ურთიერთობის სარჩულს იმ პირველი ორი ძმის ისტორია წარმოადგენს.

კაცობრიობა და, მით უფრო, ლიტერატურის მიერ შეთხზული კაცობრიობა, ამ ორი ძმის თარგზება აჭრილი. იცვლება მოდა, იცვლება ქსოვილი, იცვლება ფერები და მოტივები, იცვლება რეალური და იცვლება ხელოვნებისმიერი ეპოქები, მაგრამ აბელის და კაენის ამბის ძირითადი თარგი იგივე რჩება. ჩემთანაც ესაა: არ მოკლა კააბომ აბე, მაგრამ ეს მაინც აბელ-კაენის მარადიული წყვილია.

სიყვარული კი, რატომაც არა, კაენსაც ეწვევა. სიყვარული ყველგან, ყველამი შემდეგ გრძნობაა, თუმცა, შესაძლოა, სწორედ ეს გახდეს ქემშარბიტი, სისხლიანი კაენობის ბიძგი. ხომ გაივლო კააბომ გულში "მოვკლავ!"

სიყვარულიც აბელური და კაენური არსებობს... **ყველა პერსონაჟი გამოგონილია თუ რომელიმე მათგანს რეალური პროტოტიპიც ჰყავს?**

"ჩვენ, თურმელები" ჩემს ნიგნებში პირველია, სადაც ყველაფერი გამოგონილია, თუმცა გამონავონი იმით საზრდობს, რაც ადამიანის ცნობიერებაში, ქვეცნობიერში ან სულაც შეუცნობელში ინახება.

ერთადერთი რეალური ასოციაცია იყო გრიგოლ სხივმფენის პორტრეტი. მას ჩემი ბავშვობის ერთი წარუშლელი შთაბეჭდილება დაეხმარა. დიდი ხნის წინათ ზემო იმერეთის ულამაზეს სოფელ ბაჯითში, ახლო ნათესავის ქორწინლო აღმოვჩნდი უფროსებთან ერთად. და იქ, ულამაზეს, ბიბინა ეზოში გაშლილ სუფრასთან ჩემმა ბაბუამ მონიშნებით მოაბრძანა სიმონ ტყემალაძე, მღვდელი, რომელიც ჩემი დიდი ბების, ნინა ტყემალაძის ძმა იყო...



მოჯადოებულოვით ვუყურებდი სიმონ ბაბუას: გამხდარი, კაფანდარა, მაგრამ ულამაზესი აგებულების. გრძელი თეთრი თმა, შუაზე გაყოფილი, თეთრი წვერი, ცვილივით სახე და ნათელი, რომელიც ისეთი ცხადი იყო, როგორც ბებერი კაკლების ჩრდილში შემოღწეული მზის ათინათები...

“ალბათ, ასეთია იესო ქრისტე... - ფიქრობდი გულში... - ალბათ, ასეთია ღმერთი”...

ეს შთაბეჭდილება სამუდამოდ დამრჩა, სრულიად გაუხუნარი, გუშინდელი ამბავით ახლო და გრივად სხივფენის პორტრეტშიც შეაღწია.

ზოგადად, თურმელების პროტოტიპი ის ერთი მთლიანობაა, რასაც ჩვენი ხალხი ჰქვია, თავისი წარსულით, აწმყოთ და მომავლის იმედიანი ბურუსით.

**საყვარელ პერსონაჟებზეც უნდა გკითხოთ. თქვენთვის, როგორც ავტორისთვის, ვისი სახის შექმნა იყო ყველაზე რთული, ვისთან გრძნობთ ყველაზე მეტ სიახლოვეს და ვინ არის თქვენთვის ამბის მთავარი გმირი.**

კი, მყავს საყვარელი პერსონაჟები. მაგალითად, ანანო შვეთვალა, რომელიც ძალიან მიჩუყებს გულს და რომელსაც, ასე მგონია, რომ ვიცნობდი ოდეს-ღაც.

მიყვარს “გაელვებული” პელაგია ჩიორა.

რთული იყო უფროსი ლუკა თურმელის - ლიუქ თურმანის ბედისწერის ასახვა, მისი აღსასრულის აღწერა. ძალიან განვიცდიდი ამ ყველაფერს.

მიყვარს ლუკა თურმელი თავისი თავსდამტყდარი სიყვარულით; თავისი, ვითომ ცარიელი, ფურცელზე ვერგადასატანი ბიოგრაფიით; თავისი ვითომდა არ აფრით, რომელიც ძალიანაც ყველაფერი ა სინამდვილეში.

სიმართლე გითხრათ, ყველა თურმელი მიყვარს. იმდენად ჩაძირული ვიყავი მათ ხასიათებში და ბედისწერაში, რომ ჩემი თავის სადმე მოსაზრებლად არც მომიცლია. ამიტომ, არ ვარ მე მანდ. ან ვარ და ვერ ვხვდები - სად. გარეშე ვარ მე მანდ. მხოლოდ მჭვრეტელი და მთხრობელი. არსად “ჩავსაფრებულვარ”.

**“გვიხაროდა, რომ ამკარად, აგერ, როგორ ნამდვილად ვართ” - მიუხედავად იმისა, რომ ეს ფრაზა მხოლოდ ერთხელ დანერეთ, კითხვისას ჩემთვის მთელი ტექსტის ერთგვარ რეფრენად იქცა. იგრძნობოდა, რომ ეს ფორთო სხვა პერსონაჟებსაც უტრიალებდათ თავში. ძირითადად, სწორედ ამ განცდის - ყოფნის შეგრძნების დაკარგვის გამო იტანჯებოდნენ და ხან სახლიდან გარბოდნენ, ხან პირიქით, სახლში ეჩქარებოდათ დაბრუნება. დროდადრო ერთმანეთსაც ამ შეგრძნების დასაბრუნებლად უახლოვდებოდნენ და შორდებოდნენ. თქვენთვის რას ნიშნავს “ნამდვილად ყოფნა”?**

რაც უფრო იქ ხარ, სადაც უნდა იყო, რაც უფრო მაშინ ხარ, როცა უნდა იყო, მით უფრო ნამდვილად ხარ.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ, ყველას, გვაქვს ჩვენი დრო და ადგილი, სადაც და როდესაც უნდა ვიყოთ. აცდენა ამ დროიდან და ამ ადგილიდან - დიდი ხეტიალისკენ გიბიძგებს, დიდი ძებნისკენ, დიდი მწირობისკენ, დიდი პილიგრიმობისკენ... და თუ აღმოჩნდება იქ და მამინ, სადაც და როდესაც უნდა იყო,

შეგიძლია მოზიდო შენი ცხოვრების ქვა-ლოდილოდი და ხე, თისა და კირი და დანიყო შენი უტყუარი, ნამდვილად ყოფნის სახლის შენება...

**შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თურმელების ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ამის მოლოდინს ქმნიდა, დასაღუპად ვერ გაიმეტეთ. დასაწყისშივე იცოდით, როგორი იქნებოდა ბოლო წინადადება თუ წერის პროცესში გამოიკვეთა დასასრულის კონტურები?**

არა, დასაწყისშივე არაფერი ვიცოდი. საიდანაც მოვიდა პირველი წინადადება, “ჩვენ, ყველა ვცხოვრობდით...”

მერე ჩვენ, ყველა - გაშალა უამრავ სახედ, ხოლო “ვცხოვრობდით” - უამრავ თავგადასავლად და ბედისწერად...

ფინალი ჩემდაუნებურად წარიმართა მძიმე დასასრულისკენ...

მაგრამ არ მომიხდა, ამბავი, რომელიც ინყებოდა სიტყვით “ვცხოვრობდით”, დამთავრებული სიტყვით “დავიხოცეთ”... ეს ჩაკეტილ, ცუდ წრეს შეკრავდა. უგამოსავლოს.

და გამოსავალიც გამოჩნდა...

**წიგნის აღწერაში ვკითხულობთ, რომ “ჩვენ, თურმელები” ცხოვრების მთავარ წიგნად მიგაჩნიათ. რა აქცევს მას თქვენთვის ამდენად მნიშვნელოვან ნაწარმოებად?**

ამ წიგნს 12 წელი ვწერდი. მისი წერის პარალელურად სამი თოხნი წიგნი გამოვეცი. მათ შორის, რომანი “სდექ, კირა, სდექ”, რომელიც სულ რაღაც სამ თვეში დავეწერე.

“თურმელები” არ იყო ადვილი წიგნი. მან ბევრი რამის ცოდნა და შესწავლა მოითხოვა. ყველაფერი, თვით ყველაზე არადამაჯერებელი ამბებიც კი, საუკნებით დამაჯერებელი საწყისი წერტილიდან მოდის.

მაგალითად, “ბააგი” მართლაც არის ამაზონის წილში ჩაკარგული რომელიღაც ტომის ერთადერთი სიტყვა...

მაგალითად, ტუნგუსური შელოცვა-რიტუალის, ვატიკანის ბიბლიოთეკის, მსოფლიოს უსასტიკესი ციხეების, სამხრეთ ამერიკული მინისქვეშა კატაკომბების ამბები... კიდევ ბევრი სხვა. ბევრი რეალური კენჭი იყო მოსაძებნი არარეალური ამბების საგებად.

ამ ყველაფერს დრო უნდოდა.

დრომ შემაჩვია, მიმაჯაჭვა ამ წიგნს.

დიდი იყო ცდუნება, მენერა, მენერა და მენერა კიდევ უამრავ თურმელზე, რომელთა სახეები, ხასიათები და ბედისწერები საიდანადაც მოდიოდნენ, მოდიოდნენ, არ ილეოდნენ.

ძნელი იყო შეჩერება. ძნელი იყო ამ ტექსტთან განშორება, მაგრამ უსასრულო წიგნები არ არსებობს და ესეც დასრულდა.


**საბოლოო ჯამში, თქვენი სხვა ტექსტებისგან რა განსხვავებს ამ რომანს, რით არის გამორჩეული?**

ყველაფრით: ენით, სიუჟეტური დატივრითულობით და მასშტაბით, სევერციტი-დროითი “მონესრეგებულ ქაოსით”... ბევრი რამით. ამას ის მკითხველი განსაზღვრავს, რომელსაც ჩემი წინა ოთხი რომანიდან თუნდაც რომელიმე ნაუკითხავს.

თამრი ფხაკაძე

# თ რ ნ ი





დილიდან განვლილად წვიმდა. ჭაობისფერი ღრუბლები ვეება ჰამაკივით ჩამოხნექილიყო ქალაქის თავზე. სისველისგან ყველა და ყველაფერი პრიალებდა და ბრწყინავდა, მაგრამ პრიალი და ბრწყინვალეობა არ იყო საზეიმო და ხალისიანი, არამედ უჟმური, ცივი და დამაფიქრებელი.

ჭეშმარიტად უჟმურ საფიქრალში ნიაღვრების და ჩალმარავების ამინდი იყო. ამას ბავშვიც კი მიხვდებოდა, არათუ ისეთი შეჭალარავებული და ლამის პენსიონერი ბიძა-კაცები, როგორებიც გახლდნენ ბავშვობის და ყმანვილკაცობის მეგობრები - ტარიელ (ტარიკო) ვეფხვაძე და ავთანდილ (ათული) არაბიძე.

ისინი, გარემოებათა გამო დიდი ხნის უნახავეები, ხინკლისა და ლუდის მამაპაპური ოხშივრით ჩაბურუსებული სახინკლის ერთ ფანჯრისპირა მაგიდას უსხდნენ, შეკვეთილ ხინკალს ელოდნენ და ქუჩას გასცქეროდნენ: ხმელ-ხმელი, მომწვანო ფერის ტარიელი - ჭეშმარიტი ქოლერიკის უგამოსავლო, ცივ-ამრეზილი და მისთვის ჩვეულზე ბევრად უფრო სარკასტული გამომეტყველებით ადევნებდა თვალს ქვეყნიერებას; ტანდაბალი, უკვე მოფუშულად ჩამრგვალებული, დაბაბიანი და ლოყებზე ჯერაც სილაჟაჟემერჩენილი ათული კი ოდნავ ბავშვური ცნობისმოყვარეობით დაატარებდა გამოუსწორებელი სანგვინიკისთვის ნიშანდობლივ, ამქვეყნიურ სევდასთან შეხუმრებულ მზერას.

ბებერ ჭადრის ხეს გალუმპული ბოშა ქალი და პატარა ბიჭი შეეფარნენ. ქალმა გვერდზე გადმოიყარა სქელი შავი თმა, ორივე მუჭში მოიქცია და ქალურ, იდუმალ ფიქრებში ჩაძირული, სარეცხივით მის წურვას მოჰყვა. ტანზე აკრული სველი კაბა რომელიღაც ბერძნულ ქანდაკებას ამსგავსებდა. ბიჭი სახინკლისკენ იყურებოდა და თან თავს იფხანდა.

- ტილები ჰყავს, ეტყობა, - თქვა ათულიმ, - ტილმა იცის ასეთი ფხანა. ქალი კია ნიამორივით. ტარიელი არ აპყვა. ბიჭმა კაცებს მოაპყრო მზერა და დაეჭყანა.

- არ უნდა გახვიდე ახლა და არ უნდა... - მხიარულად გაბრაზდა პატარა კაცი.

ამ დროს ხინკალიც მოვიდა.

- უჰ, უჰ! - გახალისდა ათული, - მიდი, გადაილაგე ტარიკო, ნუ გავაცხივებ! რა ისე უყურებ, აჯაფსანდალივით, შე კაცი! თან ვილაპარაკოთ. ორი დღით ვარ ჩამოსული, მეტით კი არა.

როგორც ჭეშმარიტი მეგობრობის ნესია, თითქოს არც ყოფილა ერთმანეთის უნახაობის მრავალი წელი. თითქოს გუშინ დაშორდნენ ერთმანეთს. არავითარი გაუცხიება.

ათულიმ სირჩებში არაყი ჩამოასხა, მერე პირველ ხინკალს დასწვდა და ისე დააცქერდა, გეგონებოდათ, ფილოსოფიური ქვა უპყრია ხელთო. ჩალრმეაგებების ამინდი იყო.

- ხომ რამდენი ხინკალი მიჭამია ცხოვრებაში, - ნამოიხყო ჰამლეტის მონოლოგის იდუმალებით, - მაგრამ მაინც მიკვირს, ვინ მოიგონა ეს დალოც-

ვილი...

- ათული, - თქვა პასუხად ტარიელმა, - მე კიდევ, თავის მოკვლა გადავწყვიტე.

შესაძლოა, ეს სიტყვები ტარიელს სადმე სხვაგან, ავტობუსის გაჩერებაზე, ცარიელ სკვერში, ვინმე საერთო ნაცნობის პანაშვიდზე ან თუნდაც გოგირდის აბანოში რომ ეთქვა, ათულის დავეყრებინა კიდეც. მაგრამ აქ, სახინკლეში ნათქვამს როგორ დაიჯერებდა. სახინკლე და სიკვდილზე ფიქრი?! "ხუმრობს"! ამიტომ ხალისიანად მიუგო ბავშვობის, ყმანვილკაცობის მეგობარს:

- კაი, კაცო, როდის? - თან ხინკალი პირისკენ დაძრა, ჩაკბინა და ისე დაენათა ცხელ წვეს, როგორც დამმეული ჩვილი დედის ძუძუს.

- რა როდის, - გაღიზიანდა ტარიელი, - როდის გადავწყვიტე თუ როდის ვაპირებ?

- ორივე, კაცო, - კიდეც უფრო შეხალისდა ათული და არყიან სირჩას დასწვდა, მაგრამ ანაზღად გულმა რეჩხი უყო: "ტარიკო და ხუმრობა?"

- გადაწყვეტით გუშინ გადავწყვიტე. დაპირებით ამალამ ვაპირებ. - თქვა ტარიელმა და ერთი ხინკალი ისე დაიდო თეფშზე, თითქოს სადღაც უცხო მხარეშია და პირველად გადაწყვიტა შემწვარი ბაყაყის გასინჯვაო.

ასეთმა დაზუსტებამ ათული ისეე მოაღუნა "ხუმრობს, კაცო!"

- ებიჭო, არ გამოგდის ხოლმე ხუმრობა და დანებე თავი, მიხედე ხინკალს! აბა, გაგვიმარჯოს! - ათულიმ სირჩა გამოცალა და მორიგ ხინკალს დასწვდა.

მაგრამ ტარიელმა თქვა:

- სულ უფრო მტკიცედ ვწყვეტ, რომ იცოდეთ ყოველწუთიერად. აი, ახლაც.

ეს ხუმრობას აღარ ჰგავდა. ათულიმ ლუკმა გადაყლაპა, ხინკლიანი თეფში განზე გასწია და კითხვა დასვა:

- მართლა ამბობ, ბიჭო?

- მართლა.

- რატომ, კი მაგრამ?!

- გეტყვი. - გამოცოცხლდა ტარიელი, - სულ თავიდან დავიწყებ.

- ჩვენი გაცნობიდან?

- ჩვენი გაცნობა რა შუაშია, კაცო. დაბადებიდან. ჩემი დაბადებიდან.

ათულის ეშორა. შეძრული კი იყო მეგობრის ნათქვამით, მაგრამ თვალი მაინც გაექცა ხინკლით სასვე სინისკენ, რომელსაც სულ უფრო მკრთალი ორთქლი და სულ უფრო სუსტი ოხმივარი ასდინდა.

- გისმენ, აბა. - თქვა და ხინკალს თვალი ისე ძნელად მოსწყვიტა, როგორც ჭუჭრუტანიდან დახალსულ მობანავე ქალს.

- დაიცა, - თქვა ტარიელმა და ხელი ქურთუკის ჯიბეში ჩაიყო, - ფურცელზე მაქვს ჩამონერილი, პუნქტებად. ამას მივყვეთ, რამე რომ არ გამომჩნეს.

- რა გაქვს ჩამონერილი, კაცო, თავს რატომ იკლავ?



- ჰო, რა იყო, რა გაგიკვირდა, სისტემაში მოყვანა ყველაფერს უხდებია.

ტარიელმა ოთხად დაკეცილი ფურცელი ამოაძვრინა, გაშალა და საქმიანად დახედა.

- აქ ორი სიტყვითაა თემა ნახსენები, მაგრამ მე განვავრცობ.

- კარგი, ბატონო, განავრცე... - ნაღვლიანად დაეთანხმა პატარა კაცი. "ცივი ვის რაღად უნდა"... - გაიფიქრა და ტარიელმაც ამოიკითხა ფურცლიდან:

- "პუნქტი პირველი. ყოფნა, არყოფნა".

- საკითხავი ეს არისო, ხომ? გამიგია ეგ სიტყვები.

- ჩემი დაბადების დღე ხომ იცი, ათული.

- 29 თებერვალი. ჰო, რა იყო მერე?

- სწორედ მანდედან იწყება ჩემი აბურდულობა. ხან ვარ, ხან არ ვარ, გამიგი? არარსებულ დღეს ვარ ნახევარჯერ! აი, მიპასუხე: როგორ გადავიხადო გიისად დაბადების დღე, მრგვალი თარიღი რომ მისრულდება და ოცდარვათ რომ იქნება თებერვალი? ოცდაცხრა საერთოდ რომ არ იარსებებს ჩემ საიუბილეოდ?

- ამ ხნამდე მოსულხარ მაგ დაბადების დღით და რაღა დღეს ჩაუღრმავდი, ადამიანო! პირველში გადაიხადე ან ოცდარვაში.

- გადახდაზე არაა საქმე, ავთო. საქმე ისაა, რომ თან ვარ და თან არ ვარ. ამას მივხვდი უცებ, ამ ასაკში. გაურკვეველობის კაცი ვარ. თან ყოფნის, თან არყოფნის. მეორე პუნქტზე გადავალ.

- გადადი, კი.

- "პუნქტი მეორე. ოჯახი, არაოჯახი". - ამოიკითხა ტარიელმა.

- რანიარი პუნქტია ახლა ეგ, რა გავიგო, საქმეში ვინც არ ვარ ჩახედული!

- ჩაგახედებ, ჩაგახედებ, ათული. აი, შენ, ხომ გაყვდა დედა, მამა, მამიდები, ბებიანა...

- ბიჭო, შენი თქვი, მე კი არ ვიკლავ თავს, - გახუმრება სცადა ათულიმ, მაგრამ ტარიელს მისი სიტყვები არც გაუგია, ისე განაგრძო:

- და მე? შენთვის არასდროს მითქვამს, ათული. არ იცი შენ. დედაჩემი მეუბნებოდა, ეგ შენი ნამდვილი მამა არააო. მამაჩემი კი, რამდენს დათვრებოდა, მეუბნებოდა, ეგ ნამდვილი დედაშენი არააო. ასეთ გაურკვეველობაში ვიყავი მთელი ბავშვობა, ათული. დედა "თბილისი-ბათუმის" მატარებელზე მუშაობდა გამყოლად, მამა იატაკქვეშა კუბონიში, დაცვის კაცად, ყოველ მეორე ღამეს.

ჯერ ისედაც ვერ ვხედავდი მშობლებს წესიერად და ერთ დღეს დედა რეისში წავიდა... წავიდა და აღარც მინახავს მას მერე. მამა დარდიან გულზე მთელი კვირა სვამდა, მერე თქვა, წავალ, მოვძებნო, წავიდა და თვითონაც დაიკარგა. დავჩრი ბუბისა. მაგრამ, ბებიანა იყო კი? ხომ ეჭვი მეპარებოდა უკვე ყველაში, ავთო!

- ეგ ჰოო. - თქვა ათულიმ. - კი არ ვიცოდი ეს ყველაფერი. რა გადაგიტანია, ტარიკო.

- ერთი მხრივ, კარგი იყო, - განაგრძო ტარიკომ, - ყველა ქალში დედას ვვარაუდობდი, ყველა

კაცში - მამას, ყველა მოხუცში ბებია-ბაბუს. ჩემ დაუნებურად, ადამიანებს ჩემიანებად მივიჩნედი. მაგრამ, მეორე მხრივ, ბოლმა მედო გულში, მოლალატეებად ვთვლიდი. თან მიყვარდნენ, თან მძულდნენ. ხედავ? როგორც ზედა პუნქტში იყო, - თან ვარ და თან არ ვარ-მეთქი, რომ გითხარი. აქაც ასე იყო. თან მიყვარდნენ, თან მძულდნენ. როგორი გასაძლებია?

- უჰ.. არ ვიცოდი ეგენი... - დამნაშავეს ხმით წარმოთქვა ათულიმ, - შემდეგი რა არის?

- დაიცა. ვერ ვარჩევ. რაო? აჰა, ჰო. "პუნქტი მესამე. ცხვირი".

ტარიელს, რა თქმა უნდა, მოგრძო ცხვირი ჰქონდა, მაგრამ ცალკე პუნქტად სიაში მისი შეყვანა ათულის მაინც ძალიან გაუკვირდა.

- ცხვირი რა პუნქტად შესატანი იყო, ბიჭო?

- გეგონოს შენ. - ღვარძლიანად ჩაიცინა ტარიელმა, თვალი არყიან სიორჩას გაუმტერა და ფიქრიანად დაიწყო - პირველ კურსზე ვიყავი. მაღალი. გამხდარი. სიმპათიური. ცხვირი - ულამაზესი. ალენ დელონის.

- კარგი ერთი, - რატომღაც გაბრაზდა ათული. ტარიელმა კი განაგრძო:

- საღამოს დასწრებულზე ვსწავლობდი.

- მეც მანდ არ ვსწავლობდი, სატრანსპორტოზე?! რა დღესგაცნობილივით მიყვები, კაცო.

- რა იცი, ათული, რა იცი. იქნებ სწორედ დღეს ვეცნობით ერთმანეთს.

- კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, - ათულიმ ბრაზიანად გადახედა ხინკალს, ბრაზიანად დასწვდა ერთ ცალს და ბრაზიანადვე ჩაპიჩა. ჭამა, არ ჭამა, საკითხავი ეს უკვე აღარ იყო.

- ერთ საღამოს, ინსტიტუტის კიბეზე ჩამოხვდარს, ჩამომიარა გოგომ. ქალღმერთმა. პირველად ვხედავდი. ისე ჩამიარა, როგორც ცარიელ ადგილს, როგორც არარსებულს. ოღონდ ზედ ჩემს ფეხსაცმელს ნახად დაეფინა მისი ცხვირსახოცი. ნაქარგყავილეებიანი, სურნელოვანი. ცხვირსახოცს დავწვდი, გოგოს დავედევნე... ქალიშვილმეთქი და კიდევ მომხვდა ვიღაცის მუშტი ცხვირპირში. ცხვირდაღმა დავეცი. ვიღაცამ ხრინინიანი ხმით დამჩხავლა: "ამ გოგოს აღარ გაეკარო, ვირიშვილო მაიმუნო!"

- ჩხუბი ვის არ მოსვლია, ეგ რა თავსაკლავია ნეტა, წინა საუკუნის ამბავი.


- კი, ჩხუბი ვის არ მოსვლია, ათული, მაგრამ მაგის მერე იყო, რომ ცხვირმა ზრდა დამიწყო. დილაობით სარკეში ჩახედვა შემზიზღდა. ყოველ დილით ცხვირი უფრო გაზრდილი მხვდებოდა.

- მახსოვს, კი. მაგრამ ხომ დაგიმოკლდა მერე და მერე, ისეთი გრძელი საღაა, ხორთუმივით გება ლამის. ახლა მშვენიერი კაცური ცხვირია, რას ერჩი.

- შენ მთავარი არ იცი, ათული. - ტარიელს მწვანე სახეზე სინითლემ აჰკრა.

- კიდევ რამე არ ვიცი?

- ცხვირი მეზრდებოდა და ის - მიმოკლდებოდა! რამდენსაც ცხვირი მოიმატებდა, იმდენს ის



მოიკლებდა...

- რას ამბობ? ალბათ მაგიტომ გამწვანდი უარესად იმ ხანებში...

- შენ არ გამწვანდებოდი ასეთ მდგომარეობაში, ათული?

ათულიმ სილაყლაყემორჩენილ ლოყაზე შევიღო ხელი და თქვა:

- გადადი შემდეგ პუნქტზე.

- შემდეგი ამაზეა მიბმული. - და ტარიელმა მძიმედ ამოიკითხა - "პუნქტი მეოთხე. ნესტან კვარაცხელია".

- ის გოგო, ცხვირსახოციანი. რა გინდა, კი დაუახლოვდი. ის შენი მცემელი, მისი მამიდაშვილი ბონდო, ლამის დაგიძმაკაცდა. ხომ მახსოვს?!

- მაგრამ ცხვირი რომ წამომეზარდა, ნესტანმა ჯერ გული აიცრუა, მერე კი, რაც უფრო მეზრდებოდა, სულ მთლად პირგამეხებული გახდა.

- ვეფხვი პირგამეხებული... - ჩაურთო ათულიმ.

- ათული, რა დროს ეგაა, რას გიყვები!

- ბოდიში, ბოდიში, გამეცა ფიქრი.

- ცოლობა მინდოდა მეთხოვა ნესტანისთვის და აპა, რა დამემართა. ცხვირი არაფერი, ათული, მაგრამ... რა ნამუსით მეთხოვა ცოლობა, ლამის უიმისოდ დარჩენილს?!

- კარგი, ნულარ ნერვიულობ, გადადი შემდეგ პუნქტზე.

და ტარიკომ ამოიკითხა:

- "ინციდენტი კუბოსთან".

- კუბოსთან?

- კი. ნესტანის ბაბუის პანაშვიდზე.

- პროფესორ კვარაცხელიასი... - გაიხსენა ათულიმ. - რა იყო მერე, მშვენიერი ძვირფასი გვირგვინი მიუტანე. ის გვირგვინი მამაშენის ჰალსტუხებში გაუცვალე შეყვავილეს, მახსოვს. ერთად ვიყავით. მიხვედი ხელდამშვენიედი. მე ნამყოფი ვიყავი უკვე და მართო ახვედი.

- შენ არ იცი, ათული. - თქვა ტარიელმა.

- რა დაიფინე ეს არ იცი, არ იცი! მოდი აქ, გენაცვალე, - გასძახა ათულიმ მიმტან გოგონას, რომელიც მცისვე დაადგათ თავს, - ერთი, ეს ხინკალი შეაპინკინე კარგად.

- დიხს, არაა პრობლემა, ახლავე მოგართმევთ.

- ჩვენ კი ნუ მოგვართმევ, ჩალაგე კოხტად და იმას გაუტანე, ეგერ. დაიხრჩო ნერწყვით ბიჭი. - და ათულიმ გახედა მინაზე ცხვირმოჭყლეტილ ბოშა ბიჭს, რომელსაც, ჩანს, ძალიან ადარდებდა ხინკლის ეს უცნაური ბედი.

- არ მოგეწონათ, ბატონო? რამე პრობლემა ხომ არ იყო?

- შე კარგო გოგო, არმონონებულს და პრობლემიანს გავუგზავნი სხვას? თან ბავშვს? - იწყინა პატარა კაცმა.

გოგონამ ხინკლებიანი სინი აიღო და იქაურობის "კულისებს" მიაშურა.

- მიდი, თქვი, რა არ ვიცი, რა მოხდა პროფესორ კვარაცხელიას პანაშვიდზე.

- შევედი, გვირგვინიანა შემოვუარე მიცვალე-

ბულს...

- ბიჭო, უკან ხომ არ წამოიღე!

- არა, გამოსვლისას მომაფიქრდა და დავადგომ რომ დავაპირე, ვილაცის მოტანილ ვარდებში ვიბლანდე ცხვირით.

- ეუჰ!

- ეკალი შემესო, გადავბარბაცდი, ახლა კულაპტარს გამოვდე ცხვირი, სანთელი გადმოვარდა, ხალიჩას ცეცხლი მოედო, მე დავბარბაცდი კუბოს მივებთქე, კუბო გადმოყირავდა და მივევალე ვალეული ჰაერში დაიჭირეს, კინალამ დაბლა დავარდა.

ათულის ჯერ მორიდებულად გაეცინა, მერე უფრო გაბედულად. ტარიელს ეწყინა, ფურცელნიკაპაქაჩულმა დაკეცა და წამოდგომა დააპირა. მაგრამ პატარა კაცმა მცისვე შეიმშრალა სიცოლისგან მოდენილი ცრემლი და დაფაცურდა:

- სად მიდიხარ, დაჯექი, რომ გამეცინა, იმას ნიშნავს, რომ სახალისო და სიცოლით მოსაგონარი ამბავია, თავის მოსაკლავი კი არა!

ტარიელი დაჯდა.

- სასაცილო უძახე, ათული, და ნესტანმა დასანახად შემიძულა. ზედ აღარ მიყურებდა. ან თუ შემომხედავდა, ისეთიარად, გეგონება, გომგომ დაინახაო.

- მწვანე კი იყავი და... - ათულიმ ერთიცი იფხუკუნა მორიდებულად და მცისვე დაილაგა სახე.

- ცოლობა მეთხოვა კი არადა, სად დავმალდი მის მზერას, აღარ ვიცოდი. თან, ათული, მართლა რა ნამუსით უნდა მეთხოვა ცოლობა, ჩემი იმის პატრონს.

- ასე დაპატარავდა?

- გაქრობას ბევრი აღარაფერი უკლდა. აზრს ნუ მანწყვეტინებ, ათული... ჰოდა, ბაბუიდან ცოტახანში, ოპერის მომღერალი ბებია მოუკვდა ნესტანს და პატარა, მსუქანა დაქალი რომ ჰყავდა, აქეთ-იქით რომ დავარბენინებდით გაბუტყების დროს...

- ასმათი კუპატაძე?

- ჰო, ასმათი. ასმათის პირით შემომითვალა, ბებიარჩემის პანაშვიდზე არ დაგინახო მოსულიო. სინამდვილეში, "მოთრეული არ დაგინახო" დამაბარა, მაგრამ მე მაინც "მოსული არ დაგინახოს" გეუბნებო, ასმათიმ.

- კი, ზრდილობიანი გოგო იყო ეგ. ფატის კი არ ჰგავდა, მე რომ გადამეკიდა! რა ქენი მერე, მაინც მიხვედი პანაშვიდზე, ხომ? ასე მახსოვს, რომ მიხვედი.

- შემდეგი პუნქტი ეგაა, ათული. "ბეების პანაშვიდი". არ იცი შენ, იქ რა მოხდა.

- არ მცოდნია არაფერი შენი. - იმედაცრუებით თქვა ათულიმ, - თქვი, რა მოხდა.

ტარიელი შეეყოყმანდა.

- ჩემი რა გერიდება, ბიჭო, შევაბერდით ერთმანეთს.

- არ დამცინო ნელანდელივით.

- თქვი.

- გვიან ავედი, არავინ რომ არ ყოფილიყო უცხო, მაგრამ ოპერის მომღერლები მაინც და- მიხვდნენ იქ. ერთი შავშლაპიანი ქალი მაინც სულ ოპერის ხმაზე ტიროდა. შევედი, მოკლედ. შევი- ტანე გვირგვინი. დავდე ბუბის ფხებთან. ცხვირს, რაც შემძლო, ვარიდებდი ყველას და ყველაფერს, მაშინდელივით რამეს რომ არ გამოვდებოდი. ჩემ დანახვაზე ერთი-ორმა ქალმა, ალბათ ბაბუის პა- ნაშვიდზე ნამყოფმა, ერთმანეთს რალაც გადაუ- ლაპარაკა, ერთი წამოდგა და კელაპატართან ისე დადგა, ეგრევე მივხვდი, რომ ჩემგან იცავდა. მაგ- რამ ათულიიიი...

- რა იყო?  
 - რა ლამაზი იყო იმ საღამოს ნესტანი! ნამ- დვილი ანგელოზი. ოღონდ პირგამეხებული.  
 - პირგამეხებული ანგელოზი არ გამიგია მე.  
 - ყოფილიყავი იქ და ნახავდი, მაგრამ შენ თი- ნიკო მეფისაშვილის მეტს რას ხედავდი.  
 - რა ქენი, არ იცყვი?  
 - ათული, ოქროს ბეჭედი მქონდა წინა დღეს ნაყიდი. ხელის თხოვნას ვუპირებდი ნესტანს.  
 - მაინც? და აბა რა ნამუსითო, ჩემი იმის პატ- რონიო? - გაუკვირდა ათული.

- ვერ მოვიტომინე და ვიყიდე. მერე, ოდესმე ვა- პირებდი ხელის თხოვას. ბეჭედი ჯიბეში მდო.  
 გარეთ მიმტანმა ხინკლებით სავსე კონტეი- ნერი გაუტანა ბიჭს და გამობრუნდა. ბიჭმა კონ- ტეინერს თავი ახადა და ხინკალს დააცხრა, მაგ- რამ ანახდად დედამისმა თმას თავი ანება, თავის ერთი ღონიერი აქნევით უკან, ზურგზე გადაიყა- რა, ბიჭთან მიიჭრა და კონტეინერი გამოგლიჯა. კონტეინერი კი არადა, ჩაკბეჩილი ხინკალიც კი გამოგლიჯა პირიდან და შორიახლო მიწოდებდა. მანანლა ძაღლს სთხოვდა. რომელიღაც უძველეს ენაზე უყვიროდა ბიჭს, ის კი ათულისკენ იშვერ- და ხელს. ქალი გაქრა და ორიოდ წამში ათულის ცხვირწინ აღმოცენდა.

- ჩემი ბიჭი შენი ხინკალი არ უნდა! შენი ხინ- კალი შენ ნაილე შენი ტუკაში!  
 მერე უღამაზესი ხელი უღამაზეს ძუძუებში ჩაიყო და დაკეცილი კუპიურების დასტა ამოაძ- ვინდა. კუპიურების ჰაერის თბილი, ქალის სურნე- ლიანი ტალღა ამოჰყვა.

- აი, ფული, შენ ბებერი ჰსიდალო! ჯა პრო კარ, შენი ხინკალით!  
 ფულის დასტა ისევ ჩაიბრუნა თბილ ბუდეში, დონიჯი შემორტყა ნელზე და ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის მეგობრებს ერთდროულად ში- შის და საამო ჟრჟოლის მომგვრელი მზერა შეავ- ლო. ბოლოს თქვა:

- შენ იცოცხლებ ასი წელი. შენ - მოკვდები დამე! - მერე გაიცინა, თეთრი კბილები გამოაჩინა და ათულის საგანგებოდ დაემშვიდობა: - მაი ლა- ში ერატ, ბებერი ბატი შენ!  
 დაცვის ბიჭებმა ქალს გაყვანა დაუბირეს, მაგ- რამ მან მკლავები ლამაზად დაიფერთხა მათგან და არხეინი რწევით, ჭეშმარიტად კარმენულად გაეშურა გასასვლელისკენ.

- ეს რა იყო... - თქვა კარგა ხნის მერე ათულიმ დაკარგული ხმით.

- რას გვერჩოდა, კი მაგრამ... - ხმა ამოიდგა ტარიელმაც.

- შენ არაფერს, ასი წელი იცოცხლებო. მე მერ- ჩოდა, მოკვდები ლამითო.

- ლამე ასი წლის მერეც ლამეა. ამაღამო კი არ უთქვამს.

- ეგ ხო, ისე.  
 - იცი რა, ათული? გამოიცნო, რომ ჩვენ ორში ერთი კვდება, მაგრამ აერია. აურა კი დაიჭირა, მაგრამ რომლის იყო, ვერ გამოიცნო. ჯერ არაა ბოლომდე დაუფლებული.

- მართალი ხარ, - თქვა ათულიმ, - მაგრამ სი- კეთისთვის ასეთი მიიღო კაცმა, არ გამიგია. თუმ- ცა, რა არ გამიგია, ასე არ ვარ მთელი ცხოვრე- ბა?! გაუცვალე მურთაზი ტუსკაძეს ცხუნკურის რეისი და მადლობის მაგიერ სულ წამართვა ხაზი. მძლოლმა მძლოლს ეგ უნდა გაუკეთოს?! - პატა- რა კაცმა დღენიდაგ საჭის ტრიალისგან თით- ქოსდა მომრგვალებულ მაჯებზე დაიხედა. - მი- დი, ბუბის პანაშვიდზე გააგრძელე. ავირია იმ ქალმა ყველაფერი.

ტარიელს რილში დაბრუნებისთვის ორიოდ წუთი დასჭირდა. არაყი ჩამოასხა სირჩებში, შეს- ვეს და ამბავიც გაგრძელდა:

- იმას გეუბნებოდი, ვერ მოვიტომინე, ბეჭედი ვიყიდე და მერე, ოდესმე ვაპირებდი, ხელი მეთხო- ვა ნესტანისთვის-მეთქი. ჯერაც ჯიბეში მდო ბე- ჭედი-მეთქი.

- ჰო, ჰო, - ოდნავ უინტერესოდ დაეთანხმა პატარა კაცი.

- არ ვიცი, რა დამემართა, ათული. მშვიდობი- ანად შემოვუარე დიცვალეზულს, არაფერს გამოვ- დებვივარ, არავის დევჯახებვივარ. გასვლისას ერ- თხელაც შევხვდი ნესტანს. ისიც მიყურებდა. მო- მეჩვენა, რომ კმაყოფილი და ლამის ბედნიერი სა- ხე ჰქონდა. მომეჩვენა, რომ ჩემგან რაღაცას ელო- და. რა ვიცი, ათული, რა ჯანდაბა მომეჩვენა. უცებ საერთოდ დამავიწყდა, რომ პანაშვიდზე ვიყავი, რომ იქვე, ორ ნაბიჯში დიცვალეზული იხვია, ჭირი- სუფლები ისხდნენ, ოპერის მომღერლებიც იყ- ვენენ... მივბრუნდი უკან, ნესტანის წინ ცალ მუხ- ლისჩოქზე დავდექი, ამოვიღე ჯიბიდან კოლოფი, ავხადე თავი და...

- და რა, ბიჭო?!

- მერე წესიერად აღარც მასხოვს. ატყდა წი- ვილი, კივილი. თან ნახევარი ოპერა ხალხი იქ იყო, ათული, წივილ-კივილი გაუჭირდებოდათ? ყველა მე მომვარდა. ყველა მე დამძახოდა რაღაცას. ისიც კი მომეჩვენა, რომ ბუბია ნამოჯდა კუბოში, მერე გადაქანდა და ხელახლა მოკვდა! მერე ნესტანის მამიდაშვილმა, ბონდომა, ჩამავლო ხელი ქეჩოში და ჩამართია ეზოში.

- ნაცემს კი ჰგავდი მეორე დღეს, მაგრამ მითხა- რი, ბოძს დავჯვახე სიბუნელოში.

- ბოძს კი არა და, რო მგლიჯა მუშტი ცხვირ- პირში, დავეცი ისევ ცხვირდაღმა. ისევ დამადგა



თავზე და ისევ დამჩხავლა ხრინინანი ხმით: "ამის მერე მოგკლავ, ვირიშვილო-მაიმუნო ნაბიჭვარო შენ!!!"

- მხეცი! ნადირი!
- მაგრამ შენ არ იცი, ათული...
- კიდევ არ ვიცი?!

ტარიელმა ხმადაბლა გაანდო:

- მომიხდა ის დარტყმა. ცხვირმა დაპატარა- ებება დამიწყო მაგის მერე და იმან - გაზრდა.

- შენ გაიხარე, დაილოცოს იმის მარჯვენა!  
- დაცა, ათული, არ იცი შენ... ყველაფერი ასე აწყობილად და აკინძულად რომ იყოს, თავს რატომ მოვიკლავდი. ერთი კვირა გავიხარე, ცხვირი აი, ახლა რაც მაქვს, მაგ ზომაზე დადგა, მაგრამ...

- მაგრამ რა? - გულმა რეჩხი უყო ათულის.
- იმან განაგრძო ზრდა.
- აუჰ!

- არ გახსოვს, ლამის მუხლებამდე მაისურე- ბით რომ დავდიოდი?

- კი, მაგრამ მოდააო, ამბობდი და... ერთი-ორ- მა სხვაშეცა ჩაიცვა შენი მიბაძვით.

- მოდა კი არა, ათული, უროლოგთან რომ მი- ვედი და მანახეო, რომ მითხრა და რომ ვანახე, სი- ცილისგან მიკრიოფარქტი დავმართა. მთელი კლინიკა ფეხზე დადგა.

- რა იყო ამისთანა...

- იყო. კონსილიუმი მოაწყვეს, მითხრეს, თვით იმ ვილაც არგენტინელს, თუ მექსიკელს, ვილაც რობერტო კაბრერასაც კი გადაასწარიო. თუ გინ- და, გინესზე გავაკეთოთ განაცხადიო. მაგრამ რად მიხდოდა გინესი და გახმაურება, ათული.

- მე რატომ არ მითხარი ეგ ყველაფერი, ტა- რიკო, რატომ?

- რას მიშველიდი? ორი თვე ამ წამებაში გავა- ტარე. მერე ასეთი აზრი მომივიდა თავში: ერთხელ მგლიჯეს ცხვირ-პირში და დაპატარავდა, მეო- რედ მგლიჯეს და გაიხარდა. მესამედ, ოღონდ ზომიერად რომ მგლიჯოს ვინმემ, არაბონდომ, ჩადგება ყველაფერი წესრიგში-მეთქი. ზომიერად იმიტომ, რომ ცხვირი გამოირიცხოს და მარტო იმის საქმე მოგვარდეს. ნახევარგლეჯვა მჭირდე- ბოდა, ათული, გამიგე?

- რამ მოგაფიქრა, ბიჭო.

- მაგრამ ვინ მგლიჯავდა ასე გამონერვილად, ასე ჩემს ჭკუაზე? როგორია, მიხვიდე კაცთან და სთხოვე, თუ არ შენუხდები, ზომიერად მგლიჯე მუშტი ცხვირ-პირში?

- ჩემთვის გეთხოვა, ბიჭო. კი გამიჭირდებო- და, მაგრამ ერთ მუშტს დაგაყვედრებდი? გეთ- ქვა, მე ჩემით რას მიგზვდებოდი. კი გამიკვირდა ერთხელ, ეს ცხვირი ან რას ეზრდება და ან რას უმოკლდება-მეთქი, მაგრამ ძალიანაც არ ჩავ- ღრმავებოვარ. მაშინ თინიკოს დავდევი ლანდი- ვით. რაები გადაგიტანია, ბიჭო. რა ცხოვრება გქო- ნია.

პატარა კაცს მოულოდნელი სევდა შემოაწვა გულზე. თვით ამ ხნამდე შემორჩენილი სილაყლა- ყეც კი ოდნავ ჩაუქრა ლოყებზე. მზერა ნაღვლია-

ნი კამეჩისას მიუმსგავსდა. ხმაში მოულოდნელ გაწურჩველობა დაეტყო. ნაღვლიანად ჩამოასხა სირჩებში არაყი. შესვა და თავის მძლოლურ, მომ- რგვალეზულ მჯგებს ჩააშტერდა.

- "პუნქტი მესუთე. პრემიერმინისტრი". - თქვა ტარიელმა, - არ იცი შენ ეს, ათული.

- კაცო, რაღა ვიცი, გამაგებინე?! ტარიელ ხომ ხარ ნამდვილად, ვეფხვაძე?

- კი. დღეს ვარ. ხვალ კი... ხვალ უკვე აღარ ვიქნები, ათული.

- ნუ ბოდილობ ერთი რაღაცას და თქვი, რა პრემიერმინისტრი, რის პრემიერმინისტრი!

- ციხეში რომ ვიჯექი ცხრა თვე, ხომ გახსოვს ვიჯექი კი არადა, ვიდექი. სად იყო დასაჯდომი ადგილი.

- კი, როგორ არა. ტროლეიბუსში უბილეთოდ მგზავრობდი და კონტროლიორი გიცემია, დაჯა- რიმება რომ დავიპირა.

- ეგ ეგეთი ვერსია გასაჯაროვდა, ავთო, სი- ნამდვილეში სულ სხვა რამე მოხდა. კონფიდენ- ციალური ამბავი. აკრძალული მქონდა გამხელა, მაგრამ ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს, მანც თავს ვიკლავ და მდიონ საიქიოში!

- მოჰყევი, მოჰყევი.

- მოკლედ, ამ დღეში ვარ. მუხლებამდე მაისუ- რებით დავფოროთხილობ, დანა კბილს არ მიხ- სნის, შარს ვეძებ, რომ მცემოს ვინმემ, მაგრამ მო- ზომილი მუშტი მჭირდება, მაგარი არა. ასე ვინ მოგიზომავს ათული, ვინ გადაგყვება ჩხუბისას ასე? დარდიან გულზე მმას დავეჩვიე.

- მეც ველარ მოგაქციე ყურადღება, თინიკო ქუთაისში გავგანვს პრაქტიკებზე და გავყევი თვალს ვერ მოგაშორებს კაცი, ისეთი შფოთიანი გამოდელი, ტარიელ.

- ჰოდა, დავეჩვიე-მეთქი სმას, - განაგრძო ოდ- ნავ კმაყოფილი სახით ტარიელმა, - ერთ საღამო- საც ავედი ტროლეიბუსში. ავედი კი არადა, ავე- ტენე, ავეჭყლიტე. პიკის საათია და ბევრი ხალ- ხია. ვხედავ, ტროლეიბუსის შუანელში ვილაც ტი- პი დგას, კოპო ჩვენი მაშინდელი პრემიერმინის- ტრი. ვუყურე, ვუყურე, მერე ჯიკავ-ჯიკავით გა- ვიკვალე მისკენ გზა და ცოტა მოშორებიდან და- ვუძახე:

"მეგობარო! ოე, შენა, ძმაო!" მოიხედა. მარტო იმან კი არა, მთელმა ტრო- ლეიბუსმა მოიხედა, მძლოლიანა.

"რა მაგრა ჰგავხარ პრემიერმინისტრს, ეე! ერ- თიერთში ხარ, ჩემს დაკარგულ დედას გეფიც- ბი!"

უცებ გვერდით ვილაც კუნთა ქალი დამიდა და მეუბნება ხმადაბლა:

"ჰგავს კი არა, პრემიერმინისტრია, მოქალა- ქევ. დღეს ხალხში გასვლის დღე აქვს".

"გამორიცხულია! - ვეუბნები მე, - ის კვერცხი გაჭედილ ტროლეიბუსში ცხვირი არ შეყოფს. არ შეყოფდა. ტფუთი, არ შემყოფდა!"

"მოკეტე, იდიოტო! - უშუალოდ ყურში ჩამო- სისინა ახლა იმ კუნთა ქალმა, - პრემიერია-მეთ-

ქი!!!"

"პრემიერი არა, ჩემი ყ\*ე! - შევეპასუხე ხმა-მალა, - უბრალოდ, კაცს ეგეთი ბედი აქვს, ჰგავს იმ კვერცხს და რა ქნას, თავს ხომ არ მოიკლავს! - და იმ ტიპს ვავძახე, - არ იდარდო, ძმაო! დროებითი ამბავია. პრემიერები მოდიან და მიდიან, შენ კი სულ იქნები! ჩემი მეზობელი გურგენა ჰიტლერის ისე მაგრად ჰგავს, რომ მხედება კიბეზე, ლამის "ჰაილ ჰიტლერ" ვუთხრა, მაგრამ საერთოდ არ განიცდის. შენც არ განიცადო, ძმაო. თან ეს ქინძი ჰიტლერივით კი არ დარჩება ისტორიაში! გადადგება და ეგაა, სახეზეც დაავიწყდება ყველას! კაი კაცი ხარ! გენაცვალე შენ!"

უცებ ტროლეიბუსი გაჩერდა. ყველა ჩავიდა. მძღოლიც კი. "პრემიერმინისტრიც" აღარსად ჩანდა. ის კუნთა ქალი და მეორე, უფრო კუნთა ჯეელი აქეთ-იქიდან ამომიდგნენ, მაგრად გამაკავეს და ასე ძველივით უძრავი ჩამიტანეს დაბლა. იქ პირდაპირ პოლიციის მანქანაში მიკრეს თავი და ეგ იყო. ცხეზე ციხე ცხრა თვე. მართლა პრემიერ-მინისტრი ყოფილა ის ჩემისა.

საჩუქე ჩამოვდა.

- მაგრამ... ზოგი ჭირი მარგებელიაო, ხომ იცი, ათული. მანქანიდან რომ გადმომიყვანეს განყოფილებასთან, იმისთანა მდრუზა მუხლი შიგ კვერცხებში იმ კუნთა პოლიციელმა ქალმა, რომ...

- რომ რა?

- მომიგვარდა პრობლემა. ქალი იყო, მაინც ზომიერად გამოუვიდა. ჩაადგა ყველაფერი ნორმაში. - ტარიელმა თვალი გაუშტერა შავი პილპისის საყრელს და წარსულს მიმტყევებლური ღიმილით გაუღიმა.

- რა საინტერესო კაცი ხარ, ტარიკო. - ერთგვარი ალტაცებით თქვა ათულიმ, - დღე ერთია და რამდენი თავგადასავალი გხდება თავს.

- მაგან არ დამალა? მაგან არ მომილო ბოლო? თავის მოკვლა გადაბანყვეტინა, მეტი რა გინდა! - ერთბაშად გამოფხიზლდა ტარიელი.

- გუუბნები მე შენ, - განაგრძო ათულიმ, სირჩა შეავსო და ფიქრთანად შესვა არაყი. - წიგნი დაინერება შენზე. ეგაა ცხოვრება. ნამდვილი ცხოვრება. გადადი შემდეგ პუნქტზე.

- კარგი. "პუნქტი მეექვსე. "ქაჯი".

- არ მითხრა ახლა, შენ ეს არ იცი, ათულიო.

- არა, იცი, მაგრამ ბოლომდე არ იცი.

- ასეც ვიცოდი, რომ არ ვიცოდი, - თქვა ათულიმ და საკუთარ ნათქვამს მიაყურადა, - ვილაცა სხვაშეც თქვა ასეთი სიტყვები, ჩემ გარდა. მიდი, გააგრძელებ.

- კი, ვილაც სოკრატემ თქვა შენამდე, - არ უნდოდა, მაგრამ ირონიულად გამოუვიდა ტარიელს, - სანამ შენ თინიკო მეფისამეილს დასდევდი ქუთაისში და სანამ მე ოცკაცნიან კამერაში ვყურყურებდი, იმ ქაჯმა, იმ ფულის ტომარა ნომრე ქურდოვანმა დრო იხელთა და ნესტანი მოიტაცა. ციხეში ვავიგე, ზუსტად გამოსვლის წინა დღეს. ხომ გახსოვს ნომრე ქურდოვანი, კაი მანქანი რომ დაგრიალებდა, ნაკოლეიანი, მოფრინისტი ვირიშ-

ვილი, ოქროს კბილი რომ მოუჩანდა იმასავით.

- ვისსავით? - დანიტერესდა ათული.

- რა ვიცი ერთი! მოკვლედ, შენ თბილისში არ იყავი და შეყვარებულს ხომ არ დაგამორებდი, - ოდნავ გესლიანად განაგრძო ტარიკომ, - ზაფხული იყო, არდადეგები, ყველა წასულ-წამოსული. ერთი მარტო ფრიდონა გუჯეჯიანი ვნახე, მგელივით მშვიერი. საქმეზე უნდა გამყვე, გატაცებული გოგო უნდა გამომატაცებინო უკან-მეთქი. კიო, ოლონდ მგელივით მშია, მაჭამე და ნავიდეო, დედას ვუტყვიო.

წავედით სახინკლეში, გამოსკდა გუჯეჯიანი გემოზე, მე ლუკმა არ გადამდის ყელში.

"მოვკლათ თუ დავტოვოთ ცოცხალი?" - მეკითხება ფრიდონა.

"რა მოვკლათ, ცოლად მინდა!" - ვეუბნები.

"კაცზე გეუბნები, ქალზე კი არა".

"არა, იყოს, იცოცხლოს, მაგის დედაც".

"პრობლემა არაა, დაფიქრდი, თუ გინდა, თავს წაავაცი ქათამივით".

- რა უბაქიბუქნია, ბიჭოო, - ჩაურთო ათულიმ, - ეგ ფრიდონა გუჯეჯიანი არ იყო, კბილი რომ ჩაუმტვრია ჩხუბისას ნოდარა დგებუაძეს და სისხლის დანახვაზე გული რომ წაუვიდა?

- მოკვლედ, წავედით. მივედით. ავედით. მივურეკეთ და გაალო ნესტანმა. ვარდისფერი პრიალა ხალათი შემოეცვა. ნაბანავებზე, ეტყობა. თმა სველი ჰქონდა. კინალამ გული წამივიდა, ბიჭო. გამოვიდა საჩქაროდ, მოისურა ზურგს უკან კარი და ასისინდა ლამაზი გველივით: "ახლავე აქედან მოშორდით! გაგიჟდით? გადაირიეთ?! დაგხოცავთ ნოშრიკო, სახლშია!"

გუჯეჯიანმა დაასლოკინა და ხმამალა შეატყობინა:

"შენ წასაყვანად ვართ მოსული. ამას უნდა გაპყვე ცოლად".

ნესტანმა ამხედა, დამხედა, დამცინავად ჩაიცინა და თქვა:

"ამის წინა ჩემ ქმარს ფული აქვს. მინდოდა და მომიტაცა! გახდი შენც ფულიანი და ცნობილი და მეერ ვილაპარაკოთ, გალღეტილო შენ! რო მიგყავარ, სად მიგყავარ, ხრუშოვკის ერთოთახიანი-ში?"

"ნესტანეეე!" - მოისმა ბინიდან ლომის ბრღვივასავით.

"გაქრით!" - ერთხელაც დადვისინა ნესტანმა და თვითონ გაქრა.

გუჯეჯიანმა ერთიც დაასლოკინა ხმამალა და თქვა:

"წავედით, ქალს უნდა აქ ყოფნა".

წამოვედით. შევედით ისევე რესტორანში. ისე დავეთვერი, გუჯეჯიანი ორად მეჩვენებოდა. მახსოვს, მდინარისკენ ვინევედი. ჩავედით მტკვრისპირებში, ორთაჭალისკენ. ვიჯექი, ვტიროდი, გუჯეჯიანი ასლოკინებდა და სულ იმეორებდა:

"ქალს უნდოდა იქ ყოფნა და რა მექნა, ძმაო. ქალს უნდოდა იქ ყოფნა. ქალს უნდოდა იქ ყოფნა".

“უნდოდა და იყოს!” - ვიყვირე უცებ და გადავეშვი მტკვარში.

- აუჰჰჰჰ! - აღმოხდა ათულის, - თავს ადრეც იკლავდი?

- გადმომყვა იმწუთასვე გუჯეჯიანი. დამხვია მკლავები და ამომათრია ნაპირზე.

- როგორ არ ვიცოდი ეგ არაფერი. ეგ თავის მოკვლის ის... მცდელია.

- მაგრამ, სასიკეთო მცდელია გამოდგა, ათული. სიკვდილზე ფიქრს თავი დავანებე და ბიზნესზე დავიწყე ფიქრი.

- კიიი, ეგ მასსოვს. ტელეფონზე მითხარი ერთხელ, ბიზნესს ვაპირებო. სანამ წამემღებოდა მთელი ნომრები წყალდიდობისას.

- გადავწყვიტე გამდიდრება და ნესტანის გამოსყიდვა თვითონ ნესტანისგან.

- ტარიელ, სულ უფრო გაგიჟებული გისმენ, რომ იცოდე. რა გიცხოვრია, ბიჭო, რა გიცხოვრია?! ჩემსავით მარტო “რულის” ტრიალში კი არა. ნიგნი დაიწერება შენზე. - სევედიანი აღფრთოვანებით თქვა პატარა კაცმა.

- რომ იცოდე, ათული, როგორ გამახარა შენთან შეხვედრამ. გიყვები, გიყვები და გულს მემშვება. ხინკალი ხომ არ შევუკვეთოთ ხელახლა, ბიჭო? მომშივდა ცოტა.

- მე არ მინდა და შენთვის შევუკვეთოთ, კი, - ათულიმ მონყენილად გახედა დახლს.

გოგონა მყისვე მათთან გაჩნდა.

- ოცი ხინკალი, არაყი და ორიც ქაბაბი... - შეუკვეთა ტარიელმა, - მწნილიც.

მერე ათულის მოუბრუნდა:

- ეჰ, ჩემო ათული, ნიგნი დაიწერება შენზეო, ამბობ. წერა რომ ასე ადვილი იყოს! ან ვინ იცის ჩემი ცხოვრება ისე ზუსტად, ჩემ გარდა, ვინ იცის ჩემი ფიქრები და განცდები...

- ჰოდა, შენ თვითონ დაწერე.

ტარიელმა ხელი უიმედოდ ჩაიქნია:

- გადავიდე ხომ შემდეგ პუნქტზე?

- გადადი...

ტარიელმა ფურცელი ისევ გაშალა და ამოიკითხა:

- “პუნქტი მეშვიდე. სირაქლემა”.

- რალაცას კი მოვკარი ყური, სირაქლემების ბიზნესი დაიწყეო. ტელეფონში.

- კი, დავიწყე. ჯერ კიდევ მტკვრიდან რომ ამომათრია ფრიდონი გუჯეჯიანმა, იქიდან შემეღდა სირაქლემებზე ფიქრი.

- სად მტკვარი, სად სირაქლემა, ტარიელ!

- ავთო, გამოცხადებასავით მქონდა რალაც. ხილვასავით! რომ ვიხრჩობოდი და ვყლაპავდი მტკვრის წყალს, უცებ რალაც უზარმაზარი ფრინველი მომვლანდა, ვეება, ფრთებგაშლილი. და ხმა ჩამესმა: “მე გადაგარჩევეენ”, “მე გამოგიყვავაან...”

- ბიჭო, ეგ სირაქლემა კი არა, ფრიდონა გუჯეჯიანი იყო. ფრიდონა გამოგეცხადა შენ, გადაგარჩენ, გაგიყვანო, ჩაგძახოდა ალბათ.

- კარგი ერთი! სირაქლემა და ფრიდონა გუ-

ჯეჯიანი ველარ გამირჩევია ერთმანეთისგან? - გეუბნები!

- რას მეუბნები, ბიჭო, ფრთებიანი და ნისკარტიანი გუჯეჯიანი სად ნახე! ფრთებს აფართუნებდა, ნისკარტს ალებდა ასე! - ტარიელი ხელი ცერის და ოთხი თითის დახურვა-გაღებას მოჰყვა.

- კარგი, ჰო, მერე?

- გავიკითხე, გამოვიკითხე. სირაქლემასი ერთი სკინტლი არ ვარგებულა, თორემ სხვა ყველაფერი.

- რატომ? სკინტლის გადამამუშავებელი ფაბრიკა ეგერ, ფშიკეთში. ძვირფასი სასუქი ეთდება სკინტლისგან.

- ეგ არ ვიცოდი.

- ძლივს შენც არ იცოდი რალაცა!..

- ჰოდა, ამ სირაქლემასი რომ ყველაფერი საბიზნესოა, იმას გეუბნებოდი: ხორცი, ცხიმი, კვერცხი, ტყავი...

- ტყავიც, კაცო?

- ე?! ნიანგის ტყავზე დიდხანს ძლებს, ათული, კონკურენციას უწევს ნიანგს!

- არ ვიცოდი... - წამოსცდა ათულის, თუმცა ძალიან აღარ უნდოდა ამ სიტყვების თქმა.

- მაგარი ბიზნესია, ძმაო. ჩადებ ფულს და მეთვრამეტე თვემდე უკვე მთლიანად... უჰ, გაიხარე გენაცვალე... - ტარიელმა ხელი შეაშველა მიმტანის გოგონას ნახელებში მოქცეულ ქაბაბიან სისს.

- მთლიანად ამოიღებ ჩადებულს.

- ნესიერად ილაპარაკე, შე კაცო, ეწყინა გოგოს, - ათულიმ მიმტანს გააყოლა თვალი, - ცოტა დაუკვირდი სიტყვებს.

- რა ექვი ისეთი? მიდი, გადაიღე სანამ ცხელია! - დაფაცურდა ტარიელი და ქაბაბს დასწვდა. ათულიმ ქაბაბი უხალისოდ გაჭრა შუაზე, ნახევარი გადაიღო თეფშზე და თქვა:

- გააგრძელე თან.

ტარიელს თვითმკვლელობის სურვილის ნატამალი აღარ ეტყობოდა. მაღიანად ილუკმებოდა და ასე, პირგამოტენილმა მიუგო:

- შეიდას ათასამდე მოაქვს წელიწადში მოგება ერთ წევილს. კვერცხი რას იწონის სირაქლემასი, თუ იცი? ორ კილოს. ორ კილოს, ბიჭო! არ გინდა, ორკილოიანი კვერცხები რომ გეებას, ათული? ა-ჰა-ჰა-ჰა!


- მიდი კაცო, შენ ის მოჰყვე, ცალკე პუნქტად რატომ შეიტანე ეს სირაქლემა, თავს რატომ იკლავდი სირაქლემას მიზეზით. - დაუნდობლად შეასხენა ათული, - “ხუმრობაც რომ უსწავლია?”

- ჰეჰე, არ იცი შენ ეგ ამბავი.

- გამიკვირდებოდა, რომ მცოდნოდა.

- მოკლედ, ვიმოვე კაი ფული. რამდენიმე ოჯახი მყავდა სირაქლემების. მანქანა ვიყიდე. ბინა ავიშენე. მთელი ჯმბავი. და ერთ დღესაც, ჩავუსაფრდი ნესტანს თავის ასახვევთან. გამოჩნდა გადავედი მანქანიდან. კარგად გამოზმანული, მანქანის გასაღები თითზე, თმა გადასწორებული.

“ოჰჰჰჰ შენ?” - ცოტა გაკვირვებულად და



ცოტა დამცინავად მითხრა ნესტანმა.

“გამარჯობა, ნესტან, - ვეუბნები, - აჰა, ავასრულე შენი მოთხოვნა. იმდენი ფული მაქვს, შენ ქმარს თავის ოქროს კბილიანა ვიყიდი”.

“კარგი ერთი. - თან დამცინავად და თან ინტერესით მითხრა ნესტანმა, - რაო, იმ ტარიელის არ იყოს, მაჩვენე საქმენი საგმირონია?”

“იმ ნესტანის არ იყოს, მიბრძანე და!”

“მაინც რისი ბიზნესი გაქვს?” - ნესტანმა კეკულეცად გადაისვა ხელი კულულეზე.

“სირაქლემასი” - ვუპასუხე ამაყად.

აქ, ჩემო ათული, ქალს ისეთი სიცოცხლე აუტყდა, ისე გადაბჟირდა, ისეთ დღემი ჩამივარდა, მთელი ქუჩა ჩვენ გვიყურებდა.

- რაო, მაინც?

- იცინა, ისარხარა, იკისკისა, ცრემლები დასდინდა თვალებიდან, მერე ერთბაშად დაწყნარდა და მეუბნება:

“კი, ტარიკო, შენს ბიზნესში სიტყვა სირი აუცილებლად უნდა გამოჩნდეს, სწორად მიგიგინია”.

- არ უნდა ამოაძრო ის შხამიანი ენა?!

- ათული, ერთ წამში ისე შემძულდა სირაქლემად გამოსახული, ისე შემძულდა!...

- სირაქლემა კი არა, ნესტან კვარაცხელია უნდა შეგატლებოდა, შე კაცო!

- სირაქლემა შემძულდა.

- რა ქენი, რა უპასუხე?

- არაფერი. გავშემდი. გავშრი. მოვკვდი. გონზე რომ მოვედი, ნესტანი იქ აღარ იყო. ჩავჯექი მანქანაში და მივხვდი, რომ ცხოვრების აზრი დეკარტე, მიზანი. ფუჭი იყო ყველაფერი.

- კარგი რაა, დაილია ნესტან კვარაცხელიას მეტი სხვა ქალი ქვეყანაზე?

- გადაჩეხა დავაპირე მანქანით.

- კიდევ თავს იკლავდი, ბიჭო? შენ რა დაჩვეული ყოფილხარ მაგას.

- შენ არ მოიკლავდი, გაფიცებ თინიკოს სულს? არ მოიკლავდი, ასეთი რაზე რომ ეთქვა?

- არ ვიცი, მართალი გითხრა... - შეყვყმანდა ათული.

- დაეძარი მანქანა, გავედი ქალაქგარეთ, ჩავეუქროლე გიჟივით ჩემი სირაქლემების ფერმას. ბოში რომ მქონოდა, შევგადებდი შიგ, მაგრამ სად მქონდა. ვიარე, ვიარე, შევეყვი აღმართს. ის-ისაა, უნდა მივადგე კლდის ქიმს და გადავეშვა და...

- და რა?

- ბენზინი გამომელია. დადგა მანქანა.

- მერე?

- მერე და მერე! სანამ ბენზინს მივაგენი იმ ყრუ ადვილას, სანამ ჩავასხი, სანამ რა, სანამ რა, გადამაიარა. გავენდელი.

- ისე, თუ ასე ძალიან გინდოდა თავის მოკლა, უმანქანოდ გადამხტარიყავი იმ კლდიდან და ეგ იქნებოდა, შენც ბენზინი ხომ არ გჭირდებოდა... - თქვა ათულიმ, - მაგრამ არ გინდოდა მთლად გადნევივითილად ალბათ.

თქვა. ინანა. გადაუარა. ისევ ინანა. ისევ გადაუარა.

ტარიელმა მომარჯვებული ხინკალი თეფშზე დადო და ათულის რომ ეგონა, ახლა მეტყვის, შენ ჩემკენ ხარ თუ ეშმაკებისკენო, იმან სულ სხვა რამე თქვა ფიქრიალად:

- ავით, ჭკუაში მიჯდება, რომ იცოდლე.

- რა იყო... - დაიბნა ათული.

- შენ ყოფილხარ... არა, კი ვიცოდი, მაგრამ...

- ვინ ვყოფილვარ?

- ვინ და, მოდი, მაგ ერთგულ შუბლში უნდა გაკოცო.

ტარიელი ნამოდგა, გადმოიხარა და ათულის შუბლზე აკოცა.

- რა იყო, რა გეტაკა. გადადი შემდეგ პუნქტზე. მანდ არ მოთავებოდა შენი თავგადასავლები.

- თავგადასავლების მეტი რა იყო, მაგრამ მთავარი თავგადასავალი ამაღამ დაიწყება.

- შენ დაწყებას აპირებდი ამაღამ თუ დამთავრებას? - გაუკვირდა ათულის.

თქვა. ინანა. გადაუარა. ისევ ინანა.

- დამთავრებას ვაპირებდი, ჩემო ათული, მაგრამ შენი წყალობით, დაწყება გადაწყვიტე. შენ, ბენზინმა და ფრიდონი გუჯეჯიანმა სამჯერ მაჩუქეთ სიცოცხლე. და თოკმა. ოთხჯერ ანუ.

- თან რანაირი სიცოცხლე, ტარიელ, რანაირი. ვულკანი, წყალიდობა, ქარბორბალა, მენყერი, მინისძვრა, ყველაფერი ერთად! - ათული ნუთით ჩაფიქრდა და ჩამონათვალს მიამატა: - ცუნამი, ზვავი...სერიალი... ისეთი კი არა, ჩემი რომაა. აგერ, რამხელა სია ჩამოგინერია. რამდენი პუნქტია. რამდენი შფოთი, რამდენი ყველაფერი. სიყვარული.


- სიყვარული შენც გქონდა, ათული. როგორ გიყვარდა თინიკო მეფისაშვილი.

- როგორ და დუნედ. მიყვარდა. ვუყვარდი. საბრძოლი არაფერი მქონია. ვთხოვე, გამომყოლოდა ცოლად. გამომყვა. ვიცხოვრეთ გუგულე-ბივით. ის - პურის ტექნოლოგი, მე - მძღოლი. ხან ტროლეიბუსის, ხან სამამშრუტოსი, ხან ავტობუსის და ხან ტაქსის. დიდ რეისებში ვერ წავედი. არ ჩერდებოდა თინიკო უჩემოდ, ნევროზი ჰქონდა.

ჯერ ქუთაისში ვიცხოვრეთ. მერე სოფელში გადავედი. შევებერდით ერთმანეთს. ერთ დღეს პურის მთელი პარტია ჩაუფარდათ ფურნეში. ას ორმოცდაათი პური. საფუარი გამოდგა ძველი.

ინერვიულა, ინერვიულა, აუნია წნევამ და დამტოვა მარტომდმარტო. მოწყენილად. გამოყრუებულად. თინიკო პურის ტექნოლოგი იყო, მაგრამ კითხვა უყვარდა. ლამის მთელი “ვეფხისტყაოსანი” იცოდა ზეპირად. ისევე დროს და ისეთ ადვილას იტყოდა ხოლმე აფორიზმს, საჭირო რომ იყო, ტყუილად და ჰაერზე კი არა... მოვრჩეთ ბარემ საქმეს, გვიანია. გაავრძევე პუნქტები.

- რაღა მეპუნქტება ერთი, პუნქტების დედაც ვატირე! თუ გინდა, სათაურებს ჩაგიკითხავ, აღარ განვაგრცობ.



- მიდი.

ტარიელმა ფურცელი კიდევ ერთხელ გაშალა და პუნქტებს მიჰყვია.

- ეს ვთქვით. ესეც ვთქვით. სირაქლემმა ვთქვით. ჰო, ამაზე ვიყავი. მოკლედ, ათული, მერე მოდის ესენი: "სმმ, კპზ, გაკოტრება", "ფსიხებში", "ზარი კალიფორნიიდან", "ნესტანი დაქვრივდა", "მემკვიდრეობა", "მაცინ უარი", "მამაჩემის ვალები", "გაკოტრება 2", "მადლენამ გადამავადო", "მუშად დეპოში", "თოკმა ვერ გამიძლო", "აგრესია, ამნეზია, დეპრესია"...

- კარგი, კარგი, გეყოფა, - ნერვებმა უმტყუნა ათულის.

- დაიცა, ვამთავრებ. "კაზინო. მოგება სამი მილიონი", "ნესტანი ისევ უარზეა", "კაზინო. ნაგება სამი მილიონი" და ბოლოს გამოსათხოვარი წერილი. მორჩა. აბა, რას იტყვი, როგორია?

- მოკლედ შინაარსად მითხარი და მოვრჩეთ, ტარიელ. წნევა მექნება ანუელი, ვატყობ. ოღონდ ჯერ სმმ და კპზ მითხარი, რაებია.

- სმმ სოფლის მეურნეობის მინისტრი, კპზ კაპეზე, წინასწარი დაკავების კამერა. ეს პუნქტები: მინისტრი, სირაქლემმა, კაპეზე, გაკოტრება და ფსიხებში ერთმანეთზეა მიბმული.

- ფსიხებში რას ნიშნავს, საგიჟეთში იყავი, ტარიელ? - ფრთხილად დაბაზუსტა პატარა კაცმა.

- ცოტა ხანს! - უდარდელად თქვა ტარიელმა,

- მალე გამომიშვებს. მოკლედ გეტყვი, ათული: სირაქლემები შემჯავრდა, მაგრამ ფული ხომ მჭირდებოდა? აწყობილ ბიზნესს წყალში ხომ არ გადავადგებდი? მოკლედ, მივხედე, წამოვიდა ფული, პოპულარობა, ტელევიზია და ერთ დღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან დამირეკეს, მოემზადე, მინისტრს უნდა შენი ფერმის მონახულებაო. ხვალ ზუსტად ხალხში გასვლის დღე აქვს განრიგით და გენვევაო. მოვემზადე უმადლეს დონეზე. დაბანეთ, დავარცხნეთ სირაქლემები, ბაფთები შევაბთ კისრებზე, პურ-მარილი გამზადებული, სირაქლემას მწვადები, დროშები, პლაკატები, ბავშვები სირაქლემას კვერცხებით ხელში, მთელი ამბავი. მოვიდა მინისტრი. რალაცნაირი, ბრტყელი კაცი იყო. მოყვა ორი მანქანა დაცვა. ფერმას მიუახლოვდა თუ არა, ვანიშნე ბიჭებს და ჩართეს მუსიკა. მარში რალაცა. ძალიან ხმამაღალზე მოუვიდათ ჩართვა. მე რა ვიცოდი, ათული, სირაქლემებს ყველაფერზე მეტად თურმე ხმამაღალი ხმაური აგიჟებთ. პანიკაში ცვივდებიან. დააღეს ნისკარტები, გაშალეს ფრთები, აფართხუნდნენ, თხუთმეტი იქვე დაეცა და მოკვდა, შვიდი გული წაუვიდა და ერთი სულ გადაირია, გამოექანა, გამოანგრაბა ჭიშკარი, კარგი ასორმოც კილომდე სირაქლემი იყო და ამ მინისტრისკენ გაექანა პირდაპირ. იშვირა ფეხი მინისტრმა და გაიქცა. ბიჭო, რა სირბილი სცოდნია! სპორტის მინისტრად უნდა ყოფილიყო ეგ, სოფლის მეურნეობის კი არა. ტრასამდე ირბინა, ტრასაზე გავარდა და გაეშვა გორისკენ. სირაქლემმა რას დარ-

ბის ათული, იცი? სამოცით მიმავალ მანქანას უწრებს. დაენოდა და დაჯეგავდა ფეხებით. არსტურას ლუნავს ფეხის დარტყმით. მოვდით ახრზე, მოვახტით მანქანებს, დავედევნეთ, გადავუჭერთი გზა...

- მინისტრს?

- სირაქლემას. გაიქცა მინდორ-მინდორ, მაგრამ ვიღაცა ჰქონდა მაგის დარდი. დავედევნეთ მინისტრს. კაცი გარბოდა და გარბოდა, ველარ ჩერდებოდა. სანამ იმასაც მანქანებით არ გადავუჭერთი გზა, არ გაჩერდა.

ჩემო ათული, კარგი რა მოჰყვებოდა ამ ამბავს? მოჰყვა ჩემი ყურყურული კაპეზეზე, მერე ჩემი განწესება ფსიხებში, მერე ჩემი ფერმის გადანა, მერე ჩემი გაკოტრება... მაგრამ, იმ ფსიხებში კარგი ხალხი გავიცანი ზოგი. მაგრამ გავუგეთ ერთმანეთს. აღმაშენებელი იყო ერთი, ოღონდ დავითი კი არა, პლატონი. პლატონ აღმაშენებელი ისეთს გეტყოდა, ათული! იმან პირველმა მითხრა, თან ხარ და თან არ ხარო.

ათული დაღლილი, გაცამტვერებული, უმიჯნოდ სახით ისმენდა ამა ყოველს და ბოლოს განადგურებული იერით იკითხა:

- კალიფორნიიდან ვიღამ დაგირეკა.

- ნამდვილმა დედამ. რანაირად და როგორ, სხვა დროს იყოს. დამირეკა. ვკვდებიო. ვნანობო. მიყვარხარო. და მემკვიდრეობას გიტოვებო. ჩამოდი და გადაიფორმე პლანტაციასო.

- ჩაის?

- მარისხანას. იქ ლეგალურია მაგის მოყვანა. ჩასვლით ვერ ჩავედი. ფრენის მეშინია. მერე იქაურ ადვოკატს ვთხოვე, გაყიდე პლანტაცია-მეთქი. გაყიდა და კარგი მილიონ-ნახევარი დოლარი დამირიცხა მემკვიდრეობად.

- კარგი. დანარჩენი გასაგებია. ისევ სთხოვე ცოლობა ნესტანს. ის ისევ არ გამოგყვა. მერე დაინწყე თამაში. ჯერ გამდიდრდი. ამასობაში ნესტანი დაქვრივდა. მერე წააგე. ადეიკი, ადეიკი, წავიდეთ, თორემ შენ ისეთი ვარსკვლავის ხარ, ტარიელ, შეიძლება უცხოპლანეტელი ჩამოგვივდეს აქ და ხინკალი გამასინჯეთო, გვითხრას.

- წავიდეთ, კი. მეც ერთი სული მაქვს, საქმეს როდის დავიწყებ, ათული. შენი წყალობით, შენი ბიძგით.

- რა საქმეს, ვერ გავიგე.

- ნიგნის წერას, ათული, რომანის, ბესტსელერის. ყველა კონკურსში გამარჯვებულის. სხვა ვინ დანერს ჩემს ცხოვრებაზე ჩემზე უკეთ? მე, მე დავწერ. შენ სიცოცხლისკენ შემომამტრიალე, ათული. მიზანი დამიდე. ვნახთო, აღიარებულ მწერალსაც თუ არ გამომყვება ესტან კვარაცხელია.

ათულიმ ნაღვლიანად გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

- რომ ვერ გაიმარჯვო ყველა კონკურსზე, ტყვიას ნუ დაიხლი შუბლში, ტარიკო. გეყოფა უკვე.





\*\*\*

გარეთ ისევ ისე, სამედიტაციო მუსიკასავით გაბმულად და ერთფეროვნად წვიმდა. ბავშვობის და ყმაწვილკაცობის მეგობრებმა, მაღალმა და ხმელ-ხმელმა ტარიელ (ტარიკო) ვეფხვაძემ და ტანდაბალმა, უკვე მოფუჭულად ჩამრგვალებულმა ავთანდილ (ათული) არაბიძემ საყელოები წამოიწიეს, ბეჭები აინურეს, ჯიბეებში ჩაიყვეს ხელები და მდუმარედ გაუდგნენ საღამომჩამოდგარ, შეცივრულ და სველ ქუჩას.

- ნადი შენ ტაქსით, მიგეჩქარება, - თქვა ათულიმ, - მე ფეხით ვავივლი.

- ამ წვიმაში, ბიჭო?

- კი, მესიამოვნა რაღაც.

- კარგი, აბა. ზარს გამოგივებ და ეგ იქნება ჩემი ნომერი. შეხვედრამდე, ჩემო ათული.

ტარიელმა ტაქსის ხელი აუწია, ჩაჯდა და გაქრა. გაქრა და თან გაიყოლა ყველა სტიქია. ისე გაქრა, თითქოს არც ყოფილა.

არადა, იყო. ის ნამდვილად იყო. და არც არსად წასულა. ის ახლა ათულის სულში ჩასახლებულიყო და იქაურობის მყუდრო სიმშვიდეს დაუნდობლად ამღვრევდა.

პატარა, მოზუზული კაცი ქუჩას მიუყვებოდა. ერთბაშად მოტყეპილიყო. ერთბაშად დაბერებულიყო. ერთბაშად ჩაფუჭულიყო.

თვით ის გამძლე, ნელიწადთა სიმრავლის ამტანი სილაჟდაჟეც კი სრულიად დაჰკარგოდა მის უცრად ჩამოღვენილ ლოყებს. მიდიოდა მორჩილი და უმიმედო ნაბიჯით, ვერ გრძნობდა წვიმას და სიცვიეს, რადგან უწვიმდა და სციოდა შიგნიდან.

პატარა, მოზუზული კაცი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ცხელი ხინკალიც კი აღაფრთოვანებდა, უცნაურ სინანულს და სიცარიელეს მოეცვა.

ის ფეხით მივიდა გარეუბანში ეულად მდგარ თავის სახლამდე, აიარა სამი სართული, შევიდა თავის პანია, დიდი ხნის უცხოვრებელ ერთოთახიან ბინაში, სადაც ნესტი, სიმარტოვე და წარსულის აბლაბუდები გაბატონებულიყო და შუქი აანთო. ნათურამ გაიტკაცუნა და გადაიწვა. სიბნელე ჩამოდგა. ქუჩის ფარნის მოყვითალო, ოდნავ მანუგეშებელი შუქი მკრთალ ზოლებად განვა იატაკზე, კედლებზე.

ერთიანად გალუმპულმა პატარა კაცმა სამზარეულოს მიაშურა. შუქი აანთო, ფეხმონგრეული მაგიდის ქვემიდან ტაბურეტი გამოსწია და ჩამოჯდა.

ჩამოჯდა და გაახსენდა, როგორ ჩამოჯდა ამ ტაბურეტზე ერთხელაც, ბევრი წლის წინ, ასეთივე სველი, ასეთივე დაქანცული და როგორ გახადა თინიკო სველი ქურთუკი, როგორ შემოაცვა თავისი მოქსოვილი თბილი ყაკეტი, როგორ მოხადა სველი ქუდი, როგორ მოუტანა თბილი ჩუსტები, როგორ წაიღო სველი ფეხსაცმელი. როგორ დაუსხა მერე ლობიო ღრმა თევშზე და როგორ დატეხა ცხელი მჭადი.

მოგონებამ თვალეზე კურცხალი, ტუჩებზე კი წარსულისთვის კუთვნილი, მყუდრო ღრმული მოჰგვარა პატარა კაცს.

მაგრამ შიგნით, მის სულში სხვა ადამიანი გაბატონებულიყო. ის სხვა დაჰპატრონებოდა მის ღრმულსაც კი! ის სხვა შესჩენოდა: "აიღე ფურცელი, კალამი და ჩამოწერე! ჩამოწერე! პუნქტებად ჩამოწერე! ჩამოწერე შენი ცხოვრება! ჩამოწერე!"

და პატარა, გალუმპული კაცი დაემორჩილა. წამოდგა. ფანქარი იპოვა უჯრაში, ფურცელი ვერა. ნესტისგან სანახევროდ ამძვარი შპალერი ჩამოხია, მაიდას მიუჯდა და სათაური დაწერა:

"ჩემი ცხოვრების პუნქტები".

მერე დაფიქრდა. თვალს გაუშტერა დროს. და დროში შორს, წლების ბურუსში დედა დალანდა. მერე მამა. უფრო შორს გაცრეცილი, შავ-თეთრი ფოტოების გამოსახულებებით ჩნდებოდნენ და უჩინარდებოდნენ ოდენლაც ხელშეისახები, ნაცნობი სილუეტები, სახეები. მერე შორს მინდორ-ველები დაინახა, ზედ მქრქალად დამჩნეული ადამიანებით და პირუტყვით. მერე სოფლის სურნელმა მოაღწია საიდანღაც. ახლად გამომცხვარი პურის, თივის და ნაკელის. მას ცოცხალი შეგრძნებები მოჰყვა: შიშველ ფეხისგულბეჭემ ბალახის სივრილე, რძის ქვაბში საჩვევებელი თითით ართმეული ნაღების გემო, ბლით დახუნძლული ხის კენწეროზე რწევის სიამე, საბუდრიდან ამოღებული ჯერაც თბილი კვერცხის შეხება ლოყაზე... ბევრი რამ. წამებში. მერე თითქოს ეს ყველაფერი ერთად დატრიალდა, გამოთიანდა, ფარფატის, ლივლივის და ქროლის შეგრძნებად იქცა და თანდათან შედგა სიტყვად. პირველ პუნქტად.


"ბავშვობა". - დაწერა პატარა კაცმა და მიხვდა, რომ ამაზე მნიშვნელოვანს ვეღარაფერს დაწერდა. ცოტა ხანს დაჰყურებდა სიტყვას, როგორც ნახატს. მერე გამოეთხოვა და დაწერა:

"პუნქტი 2. თბილისის სკოლა".

ამ სიტყვებმა მოიტანა დიდი ქალაქის დიდი სკოლის ყრიაშული, ქალაქური ხმაური, მტვერი და სიცივე, ტრამვაის და ლიფტის რახრახი და აკაციის მანუგეშებელი კენწერო ფანჯარასთან. მოიტანა თავის დამკვიდრების მწავე უპიზოდები, ქვებივით ნასროლი სიტყვა "სოფელილო", "ლოყანიტელო", მოიტანა ჩალურჯებული თვალი, ძველი ჩანთა, მელნიანი თითები, ლანჩაამცვრალი ფეხსაცმელი, დედის წამლები, მამის ერთადერთი პიჯაკი... და რაღაც მტრული, რუხი გორგლიდან წელ-წელა გამოკვეთილი მეგობარი, სახელად ტარიელი. ტარიკო.

"პუნქტი 3. სტუდენტობა. სიკვდილები". - დაწერა პატარა კაცმა.

მოქროლდა, მონიავედა სტუდენტური ცხოვრების კონსპექტური ფურცლები, აუდიტორიებისა და ბუფეტის სურნელს შერეული, რომელიმე ჯეელის წინდების გარდაჟვალი სიმყრალე. კიბეების ზანზარი ველური ცხენების ჯოგით დაშვებული ახალგაზრდა, ღონიერი მამრების ფეხებზე და თითო-ოროლა გოგონას პეპლისებრი გა-



ფარფატება ამ ოფლის, სიგარეტის, ბუფეტის ქაბაბის, ნაბახუსევის ოხშიგრიან თქარათქურში. მოალნია, მოსწვდა ამ წვიმიან საღამოს ის შორეული ხორხოციც და მკაცრი სიჩუმეც, პირველი სიმთვრალე, პირველი ქალი. პირველი სიყვარული. მერე პანაშვიდების ფრთხილი, მორიდებული სიტყვა-პასუხები და მოძრაობები, მიხაკების სიმყრალით გაჟღენთილი სევდა და სიმატროვე. ჯერ დედა. მერე მამა. ისევ ტარიელი გვერდით. სხვა ბიჭებიც.

“პუნქტი 4. თინა”

აქ, პატარა კაცმა თვალეები დახუჭა და შეეცადა, რალაც ისეთი ეგრძნო ან დაენახა, რაც ტარიელის ცხოვრებისეული სტიქიების მინამგვანად ივარგებდა. თინა ბავშვთა სახლში გაზრდილი გოგო იყო. ტანმორჩილი, თეთრი და ხმადაბლა მოლაპარაკე. ინდურ ფილმებზე ჩუმად ტიროდა, ხმა-მალლა არასდროს კისკისებდა, ხორცი არ უყვარდა და თითები ჰქონდა ისეთი, ცომის მესაიდუმლოება რომ შეშვენოდა. ცომის გოგო იყო. პურის ტექნოლოგი. მათი სიყვარული არ ყოფილა მგზნებარე. წყნარი სიყვარული ჰქონდათ. წყნარი ქორნიება. წყნარი ცხოვრება. შვილები არ ეყოლათ. ცხოვრობდნენ თანაბრად, მშვიდად და მყუდროდ, სანამ სიკვდილმა არ გაჰყარა ერთმანეთს.

არა, სულ სხვა ქარბორბალა იყო ტარიელის პუნქტები. სულ სხვა.

პატარა კაცმა სველი ქურთუკი გაიხადა, ლურსმანზე მიაკიდა და გაიფიქრა: “მართლა არაფერი ყოფილა”.

ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. ისევ წვიმდა. იქ ცარიელი თეთრი მიკროავტობუსი გაჩერებულიყო. მძლოლი გარს უვლიდა მანქანას, საბურავებს ამოწმებდა. აწვიმდა.

“აი, მე - გაიფიქრა პატარა კაცმა, - მე ვარ”.

შემოტრიალდა, ისევ მიუჯდა მაგიდას და სწრაფად ჩამოწერა.

“პუნქტი 5. ტროლეიბუსი N3 წრიული

პუნქტი 6. ტროლეიბუსი N9 წრიული

პუნქტი 7. ავტობუსი ქუთაისი-თერჯოლა

პუნქტი 8. ქუთაისი-ზეესტაფონი.

პუნქტი 9. ქუთაისი-ბათუმი.

პუნქტი 10. ქუთაისი-ონი

მერე რალაცნაირად, გახელებით მიაყოლა:

პუნქტი 11. ქუთაისი-ჭიათურა.

პუნქტი 12. ქუთაისი-სახჩერე.

პუნქტი 13. თინა აღარ მყავს.

პუნქტი 14. ქუთაისი-თბილისი

პუნქტი 15. ქუთაისი-წყალტუბო.

წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა პანია ბინაში.

- ქუთაისი-ლანჩხუთი დამავინყდა!

მაგიდასთან დაბრუნდა და მიანერა:

“პუნქტი 16. ქუთაისი-ლანჩხუთი”.

ისევ თავის მძლოლურ, მუშა მაჯებს დააცქერდა.

მერე ისევ წამოდგა, ჩაჟანგებულ საკეტს ცოტახანს ეჭიდავა და ფანჯარა გამოაღო. სახეში

სველმა, გრილმა ნიაგმა დაჰბერა. რატომღაც ის არაყი ახლა მოეძალა. თავი უხურდა და თავბრუს ესხმოდა. ქუჩის ლამპიონი ჩამქრალიყო. თეთრი მიკროავტობუსი იქვე იდგა, მძლოლი არსად ჩანდა.

“აჰა, მეც აღარ ვარ, - გაიფიქრა პატარა კაცმა, - წელან ვიყავი, ახლა აღარ ვარ”.

ფანჯრიდან ჯერ ოდნავ გადაიხარა. მერე უფრო. მერე კიდევ უფრო. მერე ისევ სამზარეულოში “დაბრუნდა”.

- ჰეჰ, ქუთაისი-ურეკი როგორ გამომრჩა! ზაფხულობით.

ფურცელს მიუბრუნდა, ჩანერა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა: “რალად უნდა ამდენი ჩამოწერა. ისედაც გასაგებია. ორად ორი პუნქტია ჩემს ცხოვრება. ბავშვობა და თინა. დანარჩენი - არაფერი. სულ არაფერი. ახლაც არაფერი. ხვალაც არაფერი. ზეგაც არაფერი. გაისადაც”.

მობილურმა დარეკა.

- ათული, ზარის გამოშვება დამავინყდა. ესაა ჩემი ნომერი. გვიანი კია, მაგრამ რას მირჩევ, პირველ პირში დავწერო თუ მესამეში? მესამეში დავწერე, მაგრამ პირველში აჯობებს, მგონი. რომელში დავწერო?

- რომელშიც ვინდა. - თქვა პატარა კაცმა და ტელეფონი გათიშა.

ეს უკვე გაუსაძლისი იყო. ეს უკვე მეტისმეტად იყო. ამას ველარ გაუძლებს! დროა, ერთხელ მაინც შეცვალოს რამე!

აქ რომ შეცვალოს, ამ ოთახში, ვერც მოაგნებს ვერავინ. სჯობს, გარეთ. გარეთ. აბა, რა!

პატარა კაცმა კვლავ გაყო თავი ფანჯარაში. ღრმად შეისუნთქა ნოტიო

“დაჯდეს და წეროს ახლა, რომელ პირშიც უნდა! მე დასაწერი არაფერი მაქვს. ამის მეტი არაფერი შემიძლია”.

გადაიხარა. კიდევ. კიდევ. დაენანა რალაც. გადაუარა. უფრო დაენანა. გადაუარა. კიდევ უფრო გადაიხარა.

“შენ - მოკვდები ლამე!!!” - გადაიხარხარა საღაც ბნელში ქალმა. - “ზებერი ბატი შენ!”

პატარა კაცს, ლამის თავდაყირა დაკიდებულს, გული აუჩუყდა. ვილაც შეეცოდა. სავარაუდოდ, საკუთარი თავი. მაგრამ უკან დასახვევი გზა აღარ იყო. და ის იყო, ფეხებით უნდა მოსწყდომოდა სამზარეულოს დამირჩულ ლინოლეუმს, რომ ქვემოდან, სინამდვილეში კი ძალიანაც ზემოდან, მოესმა:

- მეგობარო! დანკრავი ხომ არ გექნება!

და ეს სიტყვა, ეს “დანკრავი” იყო ისეთი მშობლიური, ისეთი მოალერსე, ისეთი ერთგული!..

და პატარა კაცს, რომელიც სულაც არ იხრჩობოდა მტკვარში, არამედ მესამე სართულის ფანჯარაში იყო გადმოკიდებული, მოეჩვენა დიდი, თეთრ-ბრჭყვიალა ფრთებიანი ფრინველი, რომელიც არა, წამდვილად არ იყო არც სირაქლემამით უფრო - არც ფრიდონ გუჯეჯიანი ან არც ვინმე სხვა ჩვეულებრივი მოკვდავი...

გიორგი მაჭარაშვილი

# დიდი მიახლოება

“ვინც იხილა ანამყო, მან იხილა ყველაფერი: ისიც, რაც იყო მირიადი საუკუნის უკან და ისიც, რაც იქნება უკუნისამდე. რადგან ყველაფერი ერთგვაროვანია და ერთსახოვანი.”

მარკუს ავრელიუსი



I


ქართულ ლიტერატურა არც ისე მდიდარია ოჯახური საგვებით. ჩემი აზრით, ეს ორი რამით აიხსნება: ქართველ მწერლებს ეზარებათ ვრცელი, რთული, მრავალმრიანი რომანების დაწერა, რომლებშიც უნდა აღწერონ არაერთი თაობის ისტორია და თანაც იმდენად ბუნებრივად, რომ მკითხველმა ის დაიჯეროს. მეორე მხრივ, ეს საქმე დიდ დროსთანა დაკავშირებული. ასეთი ნაწარმოებები მალე არ იწერება, ავტორების უმრავლესობას კი თითქოს სადღაც ერქარება, მუდამ უხილავი წამბოში აქვთ ჩართული. სწორედ ამიტომაც, რომ ამგვარ ექსპერიმენტებზე ისინი იშვიათად მიდიან.

ოჯახური საგა ერთი დიდი გამონევეა ავტორისთვის, ვინაიდან ის მოითხოვს სხვადასხვა ეპოქის დამუშავებას (თუნდაც ეს იყოს გამოგონილი), შემდეგ მისი ძირითადი მახასიათებლების გამოყოფას, მთავარ პერსონაჟთა ამბავში ბუნებრივად ინტეგრირებას და, რაც მთავარია, ისეთი ჯაჭვური ისტორიის შექმნას, რომლის ყველა რგოლს შესაბამისი ფუნქცია ექნება. მაგალითად, ნინო ხარატიშ-

ვილმა თავის ერთ-ერთ ბოლო რომანში, “მერვე სიცოცხლე (ბრილკას)”, დიდებული დასაწყისის მიუხედავად, ყოველი შემდგომი თაობა ნაკლებად დამაჯერებლად წარმოაჩინა, რის გამოც ტექსტის მეტად უცნაური დასასრული მივიღეთ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც მიმაჩნია, რომ ეს წიგნი დიდებული ექსპერიმენტია, გაბედული ნაბიჯი, რომელიც ავტორმა გადადგა.

რთულია ოჯახური საგის აღწერა, ისე, როგორც ეს თომას მანმა (“ბუდენბროკები”), გაბრიელ გარსია მარკესმა (“მარტოობის ასი წელიწადი”), იოზეფ როთმა (“რადეცკის მარში”), იზაბელ ალიენდემ (“სულლების სახლი”) და კიდევ რამდენიმე კლასიკოსმა მოახერხა ოდესლაც.

ბოლო პერიოდში თანამედროვე ქართულ ლიტერატურაშიც შეიქმნა ერთი საინტერესო ოჯახური საგა. ამ წერილში მინდა სწორედ თამრი ფხაკაძის ახალი წიგნის, “ჩვენ, თურმელების”, როგორც ამ ჟანრის წარმომადგენლის შესახებ ვისაუბრო. ჩავლრმავდე ტექსტის თავისებურებებს სწორედ ჟანრული კანონიკის პერსექტივიდან.



||

“დრო არ არის ისეთი, როგორც ეს სადგურის საათზეა, დიდი ისარი რომ აღნიშნავს გასულ ხუთ წუთს, დრო უფრო უმცირეს საათში აიხსნება, როცა საათის ისრის მოძრაობას ვერ ვამჩნევთ ან როცა თვალის შუამჩნველად იზრდება ბალახი, თუმცა საიდუმლოდ ის მაინც იზრდება და ერთ მშვენიერ დღეს ეს სავსებით შესამჩნევი ხდება.”  
თომას მანი, “ჯადოსნური მთა”

თამარი ფხაკაძის რომანი, “ჩვენ თურმელები”, 2022 წელს გამოიცა და მკითხველის ყურადღება თავიდანვე მიიპყრო. ავტორი ტექსტს 12 წლის განმავლობაში წერდა, შესაბამისად, მას არაერთხელ ჰქონდა გადაკითხული, ჩასწორებული, გადააზრებული ის ამბავი, რომლის შესახებაც სურდა მკითხველისთვისაც მოეთხრო. მწერალი ამ რომანს, თავისი ცხოვრების წიგნად მიიჩნევს და მეც, როგორც მკითხველი, ამ მოსაზრებას სრულებით ვეთანხმები. ეს მართლაც არ არის ადვილი წიგნი, რომელიც შეიძლება ვინმემ 2-3 თვეში დაწეროს. თავად რომანი ვრცელი სრულებით არაა. ის 300 გვერდს მოიცავს, თუმცა მასში განვითარებული მოვლენები ბევრად ჩახლართული და კომპლექსური თამაშის ნაწილია, ერთგვარი ლაბირინთის, სადაც მკითხველს არაერთი გამოცანის, ალგორითის, ალუზიისა და სხვა თავსატეხის ამოხსნა უნდა, რათა სრულად ჩანავდეს ავტორის ჩანაფიქრი. მწერალი ხომ სათაურიდან იწყებს მკითხველის ჯადოსნურ სამყაროში შეთრევას, სადაც მათ ერთი, დიდი თურმელთა ოჯახის შესახებ მოუთხრობს, თანაც ეპიზოდურად. ტექსტში ხშირია დროითი ცვალებადობები, რის გამოც შეიძლება თავდაპირველად ადამიანი დაიბნეს კიდევ. რომანს ერთი გამოკვეთილი მთხრობელი არ ჰყავს. მეტაფორულად თუ ვიტყვი, თხრობაში ეპიზოდები კინოკადრებით მისდევს ერთმანეთს და მკითხველს ისლა დაარჩენია, კამერას ვაპყვეს, რათა ხანდახან კულისებრიც შეიხვედოს და კადრს მიღმა დააკვირდეს პროცესებს, რომელთაც ნაწარმოებზე არანაკლები გავლენა აქვს.

წიგნი შემდეგი სიტყვებით იწყება: “ჩვენ, ყველა, ვცხოვრობდით მთაზე, რომლის ფერხითაც ოდესღაც ქალაქი გაშენდა. ჩვენ, ყველა, ვცხოვრობდით თეთრი, თლილი ქვის სახლში, რომლის წინკართან, ფილაქანზე, მშენებლებს ფერადი ქვებით ჩაეკირათ წარწერა: “დრონი მეფობენ”. აი, სწორედ ეს უკანასკნელი ფრაზაა თურმელების უსასრულო თავგადასავლის ამოსავალი წერტილიც. დიდი ისტორიის მქონე ოჯახის წევრები, რომელთაც თავიანთი ამბები შემონახული აქვთ და მათ ერთ სამოსახლოში აერთიანებენ. ესაა ადგილი, სადაც კედლები და ხანდახან მასში მოსიარულე, კარგა ხნის წინ გარდაცვლილი, მოფუთფუთე აჩრდილებიც დაუფინყარ ამბებს ყვებიან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რომანის მთავარი გმირი, გარდა მასში მონაწილე პერსონაჟებისა, თავად მთაზე მდგარი სახლიცაა, რომელიც საუკუნეებია უკვე, რაც ამ ამბებს ინახავს და მზად იგი კიდევ დიდი ხნის განმავლობაშიც ატაროს თან. შენობის თითოეული ოთახი აქ მეტაფორულად არაერთ ისტორიას განასხეულებს. მათში შემავა-


ლი გმირები დიდი ხნის წინ მომხდარ თავგადასავალს უდგანან კვალში. მათ აწუხებთ არაერთი შეკითხვა, რომლებზე პასუხებიც არ მოეპოვებოთ, თუმცა, იციან, რომ ყველა თურმელს შეუძლია მათი მიგნება და ადრე თუ გვიან დადგება მომენტო, როდესაც მზის სხივი მათიანაც მიადნევის.

შემთხვევითი როდია, რომ ოთახებში მოსიარულე თურმელები ყოველ 25 წელიწადში ერთხელ, ერთ, სენაკად ნოდებულ სივრცეში გამოიკეტებიან ხოლმე, სადაც თავიანთი განვლილი ცხოვრების შესახებ ყვებიან. ეს არის მომენტი, რომელსაც ყოველი მათგანი ელოდება, ვინაიდან, მათ საშუალება აქვთ, გაცოცხლონ ის შორეული ისტორიები, რომელთანაც დიდი დრო აშორებთ. ერთია, როდესაც სხვისგან ისმენ რაიმე ამბავს, მაგრამ საერთოდ სხვა განცდაა უშუალოდ იმ ფურცლებთან შეხება, საიდანაც ესა თუ ის ეპიზოდი იღებს სათავეს.

თურმელებს თავგადასავლებისადმი სიყვარული აერთიანებთ, ისინი ერთდროულად მეომრებიც არიან, აბრაგებიც, უაზროდ მოხეტიალეებიც და მიდიარე, შორეულ ქვეყანაში გადახვეწილი მენავე-თხობებიც. მათ მუდამ განსხვავებული რამ ამოძრავებდათ, თუმცა ყოველი მათგანი, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, მაინც ცდილობდა შინ დაბრუნებას. თამირი ფხაკაძის რომანის პერსონაჟებისთვის სახლი მიზიდულობის წერტილია, სადაც ბოლოს ყველა ბრუნდება, მათ შორის ის “უძღები ძეგებიც”, რომელთაც ოდესღაც ახირების გამო მიატოვეს იგი და თავგადასავლების საძიებლად გაეშურნენ. მთავარი განსხვავება ისაა, რომ აქ ისინიც დიდი პატივით მოდიან, ვინაიდან მათი ისტორია ახლა ფურცლებს უნდა გაუზიარონ, მომავალ თურმელებს, რომლებიც ამ ამბებზე გაიზრდებიან შემდგომ.

სათაური კარგად გამოხატავს იმ ნარატოლოგიურ თავისებურებას, რომელსაც ავტორი ტექსტში ხშირად მიმართავს. “თურმე” (გვარის ფუძეც ესაა), ავტორი აზრით, “ორი სრულიად საპირისპირო განცდის გადმოცემის შემძლე სიტყვაა”. მას შეუძლია წინარე მოვლენაც დაახასიათოს და შემდგომ შედეგზეც ამავე დამაჯერებლობით გაგვიზიაროს ინფორმაცია. მართლაც, სიცოცხლეში კაცი ამბობს “ცხოვრება თუ რ მ ე წუთისოფელია, ხანმოკლეა”. მოკვდება და ახლა სხვები იტყვიან: “ღიახ, ასე ყოფილა მართლაც, ცხოვრება თუ რ მ ე წუთისოფელია, ხანმოკლეა”. ამრიგად, ეს სიტყვა ერთდროულად ბოზოქარიცაა და მშვიდიც. იგი დინამიკასაც გამოხატავს და სტატიკასაც. მთავარი მხოლოდ ისაა, თუ როგორ გამოიყენებს მას ადამიანი.


სათაურის ამგვარი ახსნა თურმელების თავგადასავლებს საკმაოდ კარგად ერგება. მაგალითად, ამერიკაში გადახვეწილი ლიუქ თურმანი, რომელიც დიდი მენავთობეა, ერთ დღეს, სწორედ ამგვარი “თურმე”-ს ძალით შეეყრება ხელახლა ანანო შავეთვალას, მის სიყვარულს, რომელიც დიდი ხნის წინ დატოვა სამშობლოში. სწორედ სარკისებურად ვითარდება უმცროსი ლუკა თურმელისა და კატო მაქსიმოვირის შეხვედრაც, რომელიც შემდგომ ამ პერსონაჟს ამერიკასთან აკავშირებს კვლავ და უცნობთან შეხვედრას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. ადგილ-ადგილ მეჩვენება, რომ ავტორი



R3X6,  
 თურქულაბი  
 თამარი უსაპაქი

ცოტათი ჩქარობს, როდესაც მოვლენებს აღწერს. ამერიკული სერიალი ხომ არაა, წვიმიან ამინდში, ახლადგაცნობილი ადამიანები, ერთ წამში ისე შეერწყან ერთმანეთს, რომ საღამო სავარძელზე სექსით დაასრულონ და შემდგომ ერთმანეთს მარადიულ სიყვარულს ეფიცებოდნენ. ერთი მხრივ, გასაგებია ავტორის ჩანაფიქრი, როცა ის ცდილობს, რომ მოგონებათა ძალა იმგვარად დაატეხოს თავს გმირებს, რომ ერთი დღე უსასრულოდ აღქციოს, თუმცა ზოგიერთ ეპიზოდს ეს სიჩქარე უფრო მეტად ვნებს, ვიდრე რაიმე სარგებელი მოაქვს. ლუკა თურ-

მელი კატო მაქსიმოვიჩს ერთ დღეს სრულიად შემთხვევით გადააწყდება. ისინი ერთმანეთს გაიცნობენ და აღმოაჩენენ, რომ თურმე კატოს ბებიის მეორე ქმარი, ლუკას ნამდვილი ბაბუაა. ეს ხაზი საკმაოდ საინტერესოდ მეჩვენება, რალაციით მაგონებს აპტონ სინკლერის “ნავთობის” მთავარ გმირსაც კი, რომელიც იმდენად არის შეპყრობილი ნავთობის ძიებით, რომ რალაც ეტაპზე ყველაფერი მეორეხარისხოვანი ხდება მისთვის. ავტორს ცოტათი სიხასტიკე აკლავს. ამერიკელი კოლეგისგან განსხვავებით ის დავიწყების გზას ირჩევს და ლუკ თურ-



მანს გონებას უშლის, იმის ნაცვლად, რომ რეალობის პირისპირ დატოვოს. მეჩვენება, რომ იმ საშლელით, რომელსაც ავტორი ნაწარმოებში იყენებს, იგი კიდევ ერთ პოტენციურ სიუჟეტურ ხაზს აქრობს, რომელიც ლუკა თურმელს სამშობლოსთან აკავშირებს. თამირი ფხაკაძე გაურბის ამ მომენტს, ვინაიდან არ სურს, რომ ამბების უსასრულო თხრობაში ჩაითრიოს საკუთარი თავი. მან კარგად იცის ერთი რამ: უნდა დაწეროს მანამ, სანამ სიუჟეტი დამაჯერებელი იქნება. როგორც ჩანს, ლიუქ თურმანის თავგადასავლის ეს ნაწილი ამგვარად არ მიიჩნია ავტორმა.

ლუკა თურმელიც, ლიუქ თურმანის მსგავსად, ადგილ-ადგილ აჩქარების მსხვერპლია. ეს უაღრესად საინტერესო სახე, რომლის თვალწინაც ცოცხლდება თურმელების ისტორია, ბოლოს მეტისმეტად უცნაურად ამთავრებს. ადამიანი, რომელმაც ახლახანს იგრძნო, თუ რა არის სიყვარული, არაერთი შეკითხვა გაუჩნდა, ფიქრი მოეძალა, ოთხ კედელში აღმოჩენილი, სენაკში, ერთი სიტყვის დაწერასაც ვერ ახერხებს. მას ჯერ არ აქვს საკმარისად ნაცხოვრები, რომ რაიმე შექმნას დამოუკიდებლად, რის გამოც ამბების ლაბირინთში იკარგება. ავტორმა კარგად ჩაავლო მომენტს - მართლაც, ზოგჯერ ადამიანებს არც ისე ბევრი რამ გვაქვს დასაწერი. თითქოს ვცხოვრობთ, რაღაც მომენტები დაგვეგროვება კიდევ, მაგრამ, როცა ფურცელზე გადმოტანაზე მიდგება საქმე, თითქოს აზრები სადღაც იფანტება, გავვირბის. იუნგი შენიშნავდა, რომ აუცილებელია განცდის კარგად გააზრება, რათა შემდგომ მის შესახებ რაიმე მკაფიოდ გამოთქვა. სწორედ ეს სჭირს ლუკა თურმელსაც. ამ კარგ მიგნებას ერთადერთი რამ აფუჭებს. ესაა ფინალი, როცა ლუკა უმიზნო ტყვიის სამიზნე აღმოჩნდება. მეჩვენება, რომ ავტორს ნაწარმოებში ადგილ-ადგილ ფინალობის პრობლემა აქვს და როცა არ იცის როგორ განავითაროს სიუჟეტური ხაზი, მისთვის რაიმეს შეამთხვევის ხოლმე გმირს. ეს ზოგჯერ ნარმეტიკულიც აღმოჩნდება, თუმცა ხანდახან მნიშვნელოვნად ვნებს ამბავს. სწორედ ამის გამოძახილია ლუკა თურმელის დაჭრის სცენაც. ბაბუა სარგისის სიკვდილი აბსოლუტურად ლოგიკური მოვლენაა, ვინაიდან ამით თურმელების ახალ ამბებს შეიძლება დაედოს სათავე, თუმცა, მეორე მხრივ, ბიჭის დახეობრება ისტორიის საერთო ლოგიკას არც ისე ბუნებრივად ებმის. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ყველაფერი 12 წლიანი ბატალიის დასასრულვლად კეთდება, თუმცა ცალსახა - ამან ისტორიას მნიშვნელოვნად ავნო. კაბო მაქსიმოვიჩის ფეხმძიმობა და ბოლო სიტყვები - ერთგვარ იმედს უტოვებს ადამიანს, თუმცა ეს არ არის ის შემთხვევა, როცა მკითხველი "ბედნიერ დასასრულს" ელოდება. იგი შიზანდა საგვარეულოს დანთქმაც კი იხილოს, თუკი მას ავტორი ჯეროვნად აღწერს და დამაჯერებელს გახდის მკითხველისათვის.

ნაწარმოების ერთ-ერთ მაგისტრალურ ხაზს ანთიმოზ თურმელის ამბები წარმოადგენს. იგი ამ გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია, ერთგვარი ლეგენდარული კაცი, რომელზეც მუდამ ყვებიან ოჯახში. უნდა აღინიშნოს, რომ ანთიმოზის ნარატოლო-

გიური ხაზი, ალბათ, ერთ-ერთი ის ისტორიათაგანია, რომელსაც სუსტი ნერტილი თითქმის არ მოეძებნება. ესაა ამ წიგნის მთავარი ქვაკუთხედი. თამირი ფხაკაძის ოსტატობაც - სწორედ ამ ამბის გადმოცემაში ჩანს. საოცარი სიღინჯით, უჩვეულო ფორმითა და ენობრივი სიმდიდრით გადმოსცემს მწერალი ამ ადამიანის ისტორიას. ასე მაგალითად, ერთგვან წერს: "ანთიმოზ თურმელს მთაზე ასვლა უყვარდა. ქვემოთ თვალუწვდენელი, ხრიოკი ცელები გადაწოლილიყო. მღორედ, ხაკისფრად მოიგრაგნებოდა მდინარე, ალბობდა ნაპირებს, მოჭირდა და მოპოქონდა დრო... და ქვემოთ, ეკლიან, ხრიოკ ტრამპლეზე ანთიმოზ თურმელს ჰქონდა სენაკი, საყუდელი." სხვაგან: "ანთიმოზს მთაზე ასვლა უყვარდა. ვაზაფხულობით, ახლად თოვლდამდნარზე, მიწა რბილი იყო, იოლად სავალი... შაფხულობით-სიციხისგან დახეთქილი, ბალახგამზნარი, ხმელი, მუშოდგომობით - ფოთლომფიფინი, მოხალჩებულ-მოფარდაგებული, შაფხულიდან მზურვალემა-ჩამდვარი, სითბოგამოყოლილი. შაბთრობით - თოვლქვეშ ჩამყუდროებული, გარინდული, ცივი, გამკაცრებული".

ბუნების ცვალებადობა თან ერწყმის ანთიმოზის ასკეზას. იგი საკუთარ თავში რაღაცას დაეძებს, ოღონდ ბუნდღვანდ ახსოვს - რას. მისი ცხოვრების წესი ფოიერბახის სიტყვებსაც შეიძლება მოგვაგონებდეს: "ტანჯვა არის ქორისტიანობის უმაღლესი მცნება, თვითონა ქრისტიანობის კაცობრიობის ტანჯვის ისტორიაა". მხოლოდ დიდი ტკივილიდან შეიძლება დაიბადოს ჭეშმარიტება. ეს ანთიმოზმა საწყის ეტაპზე სრულებით არ იცის. იგი საკუთარი ამბების წერას იწყებს და ცდილობს აღდგინოს ყველაფერი ის, რამაც განმარტობისკენ უბიძგა. ერთხელაც მასში ახალმა ადამიანმა დაინყო არსებობა. ანთიმოზი წლების განმავლობაში ოჯახსაც კი ვანჭმორა, მიივიწყა შვილები - აფსალომი და კაპობ, თავისი მუელუდ და განცალკევებით დაიღო ბინა. ავტორი ერთ ბრწყინვალე დეტალს, აზრს აგნებს ამ პერსონაჟის აღწერისას: ადამიანები შესაძლოა ჩვენს გვერდით იყვნენ, მაგრამ ვინაიდან შემთხვევითობის ძალით გზები არ იცვლება, ამიტომ მათი შემჩნევა გვიჭირს. ფიტეტეც ამას ამბობდა, როცა წერდა, რომ ოდესღაც ადამიანი აუცილებლად გაივლის სხვის გზას, გაიგებს ზუსტად იმ განცდების შესახებ, რაც ვიღაცამ უკვე გამოცხადდა, მაგრამ როდის იქნება ეს, არავინ იცის. ამიტომ "მოდის და მოდის" დრო ნაწარმოებში, თუმცა იქამდე არ ბრუნდება ანთიმოზი უკან, ოჯახთან, სანამ შემთხვევითობის ძალა მას კვლავ არ შთაბერავს სიცოცხლისათვის საჭირო ენერჯიას.

ანთიმოზი არის თურმელთა მთავარი მემბრანა და ისტორიის საწყისი. თუკი რომელიმე მათგანი (მაგალითად კაპობ) ვერ ახერხებს რაიმე მიზეზით ამბის მოყოლას 25 წლის პერიოდულობით, სწორედ ამ ადამიანის ლანდი აესებს მათ ისტორიას წიგნში. გამოწაკისი ამ მხრივ ედგარა, პოეტის, რომელმაც კედლებზე უკვდავყო საკუთარი არსებობა და იგი ფურცლების ტყვედ არ აქცია. ანთიმოზის აღსასრულისას ავტორი არ ცდებდა, როცა მას აუჩინებდნენ და ხორციელად არ კლავს. სენაკში შესულ

ყოველი თურმელის მეგზური სწორედ ეს პიროვნებაა. ამიტომაც აღფრთოვანდება ლუკა განსაკუთრებით მისი ამბებით და ამის ფონზე საკუთარი ისტორიები ფერმკრთალად მოეჩვენება, სრულიად უფერულად. ძნელია დარწმუნდეთ ანტიმოზის მსგავსი ადამიანის ამბები, მით უფრო ისეთ ადრეულ ასაკში, როგორშიც მთავარი გმირია. ალბათ ამიტომაცაა, რომ იგი მხოლოდ კითხულობს, მაგრამ საკუთარ კვალს არ ტოვებს, თითქოს ოთახში არც კი ყოფილაო.

III

**“ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება, დამოკიდებულია შენს პირად ძალისხმევაზე, შესაბამისად, შენ არ შეგიძლია იცხოვრო სამყაროში, სადაც უცნობია წყაროები, რომლებიდანაც შენთან მოვლენები მოდის...”**

**მერაბ მამარდაშვილი,  
“ცნობიერება და ცივილიზაცია”**

რომანში ავტორი არაერთი ბიბლიური თუ მითოლოგიური არქეტაიპის სახეცვლილ ვარიანტს გვიჩვენებს. ასე მაგალითად, ბრაზილიაში ქმრის საძებნელად წასული ქალი პირდაპირ იმეორებს ოდისეის განვლილ გზას, ოღონდ ამ შემთხვევაში იგი პენელოპას სახით გვევლინება. ვფიქრობ, ეს სიმბოლოს მშვენიერი რევერსული ფორმაა, თუმცა კითხვისას ჩემი ყურადღება, მაინც კაპაბოსა და აბეს ამბავმა მიიპყრო, რომელიც აბელისა და კაენის ისტორიის გადასხვაფერებულ ვერსიას გვიამბობს. ეს ამბავი რალაციტ ბორხესსაც ენათესავება, რომელიც თავის მოთხრობაში “შემოჭრილი” დიდებულად გარდაქმნის ამ არქეტაიპულ ბიბლიურ თქმულებას და მას სრულიად ახლებურ საზრისს შესძენს. მაგონია, რომ თამრი ფხაკაძეც ამ ვარიანტის გავლენის ქვეშ უნდა იყოს, უბრალოდ მას ნაკლებად ჰყოფნის გამბედაობა, ბორხესის მთელი პასუხისმგებლობა ქალს დააკისროს, ამიტომ ისევ კაპაბოს ჰქიდებს ტვირთს და საბოლოოდ მას გაიმეტებს მსხვერპლის როლისათვის.

საქმე ისაა, რომ აბეს ერთი გოგონა შეუყვარდება, რომელსაც მისი ძმა სრულიად შემთხვევით გადაეყრება ქოხში. მას აქამდე სერიოზულად არც კი შეუხედავს გოგონასთვის, თუმცა იმ წამს, როდესაც მას სახლში დაინახავს, გულში რაღაც გახმიანდება. ზუსტად ანალოგიურ ამბავს მოგვითხრობს ბორხესიც. ძმები ერთად თანაცხოვრობენ, თუმცა რა წამსაც ერთი ცოლად შეირთავს გოგონას, მეორესაც სწორედ იგი შეუყვარდება. კაპაბო ცდილობს საკუთარ თავს ბრძოლა გაუმართოს, ჩუმად, ლანდღივით დაიპარება აქეთ-იქით, გული უწერილდება ქალის დანახვისას, მაგრამ მას არ ეკარება. ბორხესი ბევრად შორს მიდის, როდესაც ერთ ძმას, მისი ცოლის გაჟიმვის უფლებას აძლევს. ცხადია, ეს საკმაოდ უცნაური, გაბედული სიუჟეტური გადაწყვეტილებაა, რომელსაც დაგეგმვა და მომზადება სჭირდება. თამრი ფხაკაძე გაქცევის გზას მიმართავს. ასეთი სიუჟეტური გადაწყვეტა არ არის ახალი და იგი ხშირად გამოუყენებიათ. ასე მაგალითად, “უმან-

კოთა ხანაში” არც ნიულანდ არჩერი ადამიანის ელენ ლენსკას სანახავად და მის მოგონებას მარად სტატიკურ ფორმაში ყინავს, თუმცა აქ ერთი საინტერესო დეტალია. იმ წამს, როდესაც კაპაბო გულში ძმის მოვლულობას გაივლებს, იგი მას არ ალასრულებს და უბრალოდ მიდის სახლიდან. აი, რას წერს თავად ავტორი ამ ამბავთან დაკავშირებით: “კაცობრიობა და, მით უფრო, ლიტერატურის მიერ შეთხზული კაცობრიობა, ამ ორი ძმის თარგზეა აჭრილი. იცვლება მოდა, იცვლება ქსოვილი, იცვლება ფერები და მოტივები, იცვლება რეალური და იცვლება ხელოვნებისმიერი ეპოქები, მაგრამ აბელის და კაენის ამბის ძირითადი თარგი იგივე რჩება. ჩემთანაც ესაა: არ მოკლა კაპაბო აბე, მაგრამ ეს მაინც აბელ-კაენის მარადიული წყვილია.”

ალბათ, ეს არ არის აბელისა და კაენის ყველაზე დასამახსოვრებელი ისტორია, თუმცა თავად მცდელობა, რომ კანონიკურ ამბავში ცვლილებები შეიტანოს ავტორმა და ის ახლებურად წარმოაჩინოს, მხოლოდ დადებითად აღნიშვნის ღირსია. ამგვარი ამბები საკმაო გაბედულებას მოითხოვენ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბორხესმა იგი საერთოდ ახალ საფეხურზე აიყვანა, რის შემდეგაც კიდევ უფრო გაურთულა სხვა ავტორებს ამ ისტორიასთან შეჭიდება.

IV

დასასრულს აუცილებელია ორიოდ სიტყვა იმ გამომხატურებებზეც ვთქვა, რაც ნიგნმა გამოიწვია. ერთ-ერთი განხილვის კითხვისას შემდეგ მოსაზრებას გადავანყადო; “რომანი ერთ ოჯახსა თუ დინასტიაზე, ქართული ბუდენბროკებისა თუ მარტოობის ასი წელიწადის ამბავი თურმელების ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს”. მინდა ვთქვა, რომ ეს ნაწარმოები არც ბუდენბროკებია და არც მარტოობის ასი წელიწადი. მეტიც, მათგან ძალიან ბევრი რამ განასხვავებს. ამგვარი შეფასებები ერთგვარად ვნებს პაოლესს და რომანს, ავტორთან ერთად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, ვინაიდან ადამიანები მყისვე კლასიკურ ნაწარმოებთან იწყებენ შედარებას, მათთან პარალელელებს გავლებას, რის შემდგომაც ნაწერი ჩრდილში ექცევა. თამრი ფხაკაძის ეს რომანი ამგვარ რამეს სრულებით არ იმსახურებს. გაბედულების თვალსაზრისით, ეს “დიდი მიახლოებაა” იმ ოჯახურ საგებთან, რომლებიც სხვადასხვა დროს მანს, მარკესს, ალიენდას და სხვებს დაუწერიათ. მართალია, ამბისა და განვითარების თვალსაზრისით ბევრი რამ აკლია, თუმცა უამრავი ღირსებაც აქვს. მწერალმა უნდა გაბედოს და შეეჭიდოს თემას, რომელსაც აქამდე ყველა ერთდებოდა. გაუკვალავში სიარული არასდროსაა ცუდი, თუკი შენ ამის ძალა შეგნებს. ის, რომ ვიღაც გარკვეულ გზას არ ირჩევს, არ ნიშნავს, რომ იგი ვინმემ არ უნდა გაიაროს.

ამ მხრივ, თამრი ფხაკაძის “ჩვენ თურმელები” ნამდვილად წარმოადგენს აღმოჩენას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წერის 12 წელიწადს ურიგოდ არ ჩაუვლია...

ირაკლი ქასრაშვილი

# წინაპრებიდან თანამედროვეობისაკენ

(თამრი ფხაკაძის "ჩვენ, თურმელები")



ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ქართველი მოღვაწეები ჩიოდნენ, რომ "ქართლის ცხოვრება", ძირითადად, მეფეების ისტორია იყო და უბრალო ადამიანები თითქოს გამორჩენილნი იყვნენ მასში მოთხრობილ ამბებში. თამრი ფხაკაძის რომანი "ჩვენ, თურმელები" გარკვეულწილად ავსებს ამ ხარვეზს. ერთი შეხედვით, ეს არის წიგნი, რომელიც "თურმე არსებული" ქართული გვარის, თურმელების ისტორიას აღწერს და, ასევე, უძველეს დროში, მთის წვერზე ხუროთმოძღვარ ანდრონიკეს მიერ აშენებული იმ თეთრი, თლილი ქვის სახლის თუ სასახლისა, სადაც მათ დაუდიათ ბინა. ცნობამიხდომი ანდრონიკეს თითქოს სწორედ იმიტომ ეძინა ორმოცი დღე, რომ "ერთი გრძელი, მბრუნავი სიზმარი" ენახა: ოქროსფრად აელვარებული თეთ-

რი სასახლე და მისი მოციმციმე ქონგურები, ხოლო გამოფხიზლების შემდეგ აესრულებინა მისი აგების "უცნაური, დაუძლეველი" სურვილი. ამ ორსართულიან სახლს თექვსმეტი ოთახი აქვს, რვა - ქვედა და რვა - ზედა სართულზე. თექვსმეტი შიდა და ერთი მთავარი კარი, ოცდათორმეტი ფანჯარა - თექვსმეტი პირველ და თექვსმეტი - მეორე სართულზე. ის სწორედ იმისათვის აშენდა, რომ თურმელების ყოველმა მომდევნო თაობამ აქ იცხოვროს, შინიდან წასვლისა და ხეტიალის შემდეგ დაბრუნდნენ და დამატყვევებელ, ნაქარგი ტილოებითა და ფერწერით დამშვენებულ კედელზე თავმიდებულემა ან ბუზრის პირას, ცეცხლით გამლღვარებმა ჩაილაპარაკონ: "ანი რალა მომკლავს" ან "მე აპარ ტსჰავალ იკ, ნევერ". ამ სახლის ყოველი






ოთხი და მათი დანიშნულება დეტალურადაა აღწერილი: ყველა დროის ქალაქისა და მეტროპოლისის სურნელით გაჯერებული, ოჯახის წევრების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი და აქაურ თაროებზე ბინადადებული წიგნებითა და რარიტეტებით გავსებული "ბიბლიოთეკა", მისი მიმდებარე პატარა "სენაკი", სადაც "თურმელები, მამაკაცი მხოლოდ, საკუთარ თავგადასავალს წერდნენ", ცისფრად ჩამუქებული და ვერცხლისფერ-მოლურჯო ათინათებით სავსე "ედგარის ოთახი", იქ "ლექსეზონიერი კედლებზე ეკიდა ჩონგური, კედარის ქნარი და ვერცხლის ფლეიტა", გრილი "თიხის ოთახი, იგივე მარანი", რომელშიც "თიხის თასებს, ჭინჭილებს და უცნაურ სასმისებს შემოენახათ უძველეს ღვინოთა სურნელი", დიდი, თეთრბუნიათი "სასტუმრო ოთახი" და, რასაკვირველია, მარადფხიზელი, ნითელბუნიათი "საიარაღო", სადაც თურმელების გერბი, სიგელ-გუჯრები და დროშა ინახებოდა "ვალმოხდილ და ჯერაც ისევ მზადყოფნაში გარინდებულ იარაღთან" ერთად, იმ იარაღთან, რომელმაც, ლიტერატურული კანონების მიხედვით, წიგნის ბოლოს უნდა გაისროლოს. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ სახლის "მთავარ კარში დღედაღამ იწვა უხილავი ნაგაზი, რომელმაც გეშით იცოდა, ვინ შემოეშვა და ვინ - არა".

ამ ძველ, გინდაც ისტორიულ სახლს უცნაური მაგია აქვს. უხილავი ნაგაზი შიგნითაც კი არ უშვებს "გაუღიმარ, პირქუშად საქმიან, ქალღმერთს უტყვად მოშარიშურე "კომისიას", რომელმაც "სახლის საცხოვრებლად ვარგისიანობა-უფარგისობა" უნდა დაადგინოს და რომელსაც, სავარაუდოდ, მისი დანგრევისა და ამ ადგილზე "მაღალტექნოლოგიური სარადარო ცენტრის" მოწყობის უფლებამოსილებაც კი აქვს. ქალაქიდან ამოსული ბუნებრივი აირის ინკასატორი თავქუდმდეგული გარბის აქედან, რათა ამის შემდეგ ალარავის შეახსენოს აღარავითარი ვალი, ღვთის წინაშე არსებული ვალის გარდა. ამ სახლში "ჩხრეკის ორდერით შემოლაჯებული" დიდი ჩეკისტი ვალიკო რ.-ც კი იბნევა, უხერხულად გრძნობს თავს და ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა, კუდამოძუებული გაცვალოს იქაურობას, თან ისე, რომ (გაუგონარი ამბავია) დავალების შესრულებაზე უარს ამბობს. სახლს შეყვარებულები უყვარს და ამიტომ უამრავი სიყვარული (ბედნიერი თუ უბედლო, ტრაგიკული, დრამატული თუ უცნაური) არის აღწერილი ამ წიგნში, სიყვარულის ამბები, რომლებიც არ სრულდება და არც დასრულდება, ვიდრე ქალები და კაცები არსებობენ. ამ რომანში, როგორც ყოველ ქრონიკაში, კიდევ

ერთი მთავარი გმირი დროა, მუდამ ერთი მარტოელებით მოძრავი, ყველგანყოფი, მოუხელთებელი და შეუცნობელი. ტყუილად კი არ არის სახლის წინკარზე, ფილაქანზე, ფერადი ქვებით ჩაკირული წარწერა "დრონი მეფობენ".

"ჩვენ, თურმელები" რეალობისა და ზღაპრის მიჯნაზე დგას და ამითაც ეხმიანება ორ უდიდეს ქართულ წიგნს: "ქართლის ცხოვრებასა" და "ვეფხისტყაოსანს" (რომლის მთავარი გმირის საოცნებო ქალს მილიციის უმცროსი ლეიტენანტი რიხიძე შეცდომით "ნესტან-ქეთევანს" უწოდებს). ბიბლიოთეკის ერთი თარო მხოლოდ "ვეფხისტყაოსნით" არის სავსე. როდესაც რომანს ვკითხულობთ, თითქოს თურმელების საგვარეულო წიგნის სტრიქონებს მიეყვებით, სადაც საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლება მისი სხვადასხვა წარმომადგენელი: გვარის ნამდვილი ფუძემდებელი, დიდი სარდალი და შემდეგ ტრამალის ბერი ანთიმოზ თურმელი, მისი ტყუპი ვაჟი, თითქოს აბელისა და კაენის პირდაპირი შთამომავლები: შინაყუდა, ციურ სხეულებთან მოჩურჩულე აბესალომი, აბე და დაუდგარი ჩხუბისთავი, ყაჩაღი და მოგზაური კახაბერი, კაბო. ორივეს დიდი მთავრის ქალი, თეკლა შეჰყვარებია. თუმცა მის გამო, საბედნიეროდ, ერთმანეთი არ გაუშვებიათ. შემდეგ მოდიან მათი შვილები, შვილიშვილები, ახლო თუ შორეული შთამომავლები. არ მთავრდება მათი თავგადასავალი და სასიყვარულო ამბები: დარდანის და პელაგია-ჩიორასი, ალმაზის და ფშავექალასი, მწყემსი იოანე თურმელის და თავადის ქალ მზექალასი, დურმიშხან ძლეულის (სიყვარულით) და ლალ-პეპელასი, პეტრე იბბლიანის და კოჭბროლასი, პავლე უილბლოსი და სამი ქალისა, ნოშრევან ხიფათიანის და შორენა-შოშიასი, ლაზარეკა მეენეს და პელაღიასი, შეუცნობელზე თუ მიუწვდომელზე შეყვარებული პოეტ ედიშერ-ედგარისა და ბოლოს, რომანის მთავარ, ბოლოდროინდელ "ტრფობა ნამებულსაც" მივადგებით: ლუკა თურმელის და კატო მაქსიმოვიჩის უეცარ, ერთი დანახვით წარმოშობილ სიყვარულს, რომელსაც თითქოს მომავალი არ უწერია. თითოეულ ამ ადამიანზე, თითოეულ პერსონაჟზე, თურმელსა თუ არა-თურმელზე, ცალკე რომანის დაწერაა შესაძლებელი (რაც, ალბათ, აღწერილიც კია მათ სავგარეულო წიგნში). სახლი, სადაც ისინი იბადებიან და ბავშვობას ატარებენ, მართალია, განცალკევებულიად დგას და ქალაქს გადაჰყურებს, მაგრამ ის არა მარტო მათი ქვეყნის, არამედ მთელი სამყაროს ნაწილია და თურმელებიც, როცა უნდათ, მოგზაურობენ მსოფლიოს ოთხივე კუთხეში, უხილავი ძაფებით აკავშირებენ საკუ-



თარ სახლს, საკუთარ ცხოვრებას სხვადასხვა ქვეყანასთან, უცხო ადგილებთან ჩრდილო თუ ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა თუ აზიაში - ბედნიერი არაბეთის აღმოსავლური პოეზიის სალამოებთან, მამლების ჩსუბთან ბასკეთის ქალაქებში, კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერში ჩატარებულ კონცერტთან და ყოფილი იუგოსლავიის დაშლისას ატენილ სისხლისმღვრელ ომთანაც კი. იქვე, შიშისმომგვრელ, ბნელ გამოქვაბულში, შენახულია დიდი სარდლის, ანთიმოზის მიერ სხვადასხვა ომში მოხვეჭილი და ცოლის მოყვანის შემდეგ თავიდან მოშორებული ურიცხვი ძვირფასეულობითა და ოქრო-ვერცხლით სავსე ზანდუკი, რომლის არსებობა მხოლოდ რამდენიმე თურმელმა იცის. თუმცა, ეს სიმდიდრე ბევრ არაფერში ადგებათ და, საბოლოოდ, ის ემმანსყლის მორევს მიაქვს შუაზე გახლეჩილ ზანდუკთან ერთად. მთელი სამყარო ღიაა ამ ადამიანებისთვის, საკუთარი სახლიდან ისინი ხედავენ არა მხოლოდ ვარდების ბაღსა და ქალაქისაკენ ჩამავალ ფერდობს, არამედ "ფერად, უსასრულო სამყაროს", რომლის ნაწილიც თვითონ არიან, რომლის ოკეანეები, უკაცრიელი კუნძულები, ქვეყნები და ქალაქები, უდაბნოები და ოაზისები იზიდავენ მათ და ისინიც ხშირად მიდიან იქით და მერე ზოგიერთი მათგანი რჩება კიდევ ამაზონიის ჯუნგლებში თუ შეერთებული შტატების ნავთობის ველების სიახლოვეს, მაგრამ ამისათვის მათ ჯერ საკუთარი თავი და წარსული უნდა დაიფიქრონ, როგორც დავინწყებია ის "მეხსიერების საშუალებას" მსხვერპლ ლიუქ თურმანს ან კოჭიბროლა თურმელის ქმარს, ბრაზილიელ თუ კოლუმბიელ მეთევზედ გარდაქმნილ ანატოლი ვარდოსანიძეს. თურმელები (თუნდაც რომელიმე მათგანი მერე მამლუქთა სულთან ალ-მანსურ-ადდინ-აიუბად იწოდებოდეს) ადრე თუ გვიან მაინც ბრუნდებიან საგვარეულო სახლში და მოგონებებთან ერთად თან ჩამოჰყავთ უცხოელი ცოლები და შორეულ ქვეყნებში შექმნილი შვილები, ჩამოაქვს უძველესი და იშვიათი წიგნები. რომანი ზუსტად, დანამდვილებით აღწერს ადამიანებსა და მათ ცხოვრებას საუკუნეების განმავლობაში და თუკი ზოგჯერ რაიმე უჩვეულოს გადავანყდებით, დემეტრე თურმელის დაჟინებული მზერის უჩვეულო ძალის (ვარდის გაშლარომ შეეძლო) ან სახლში მოხეტიალე ანთიმოზ თურმელის აჩრდილის მსგავსს, ესეც მტისმეტად ცხოვრებისეულია. განა ყოველი ადამიანი ამქვეყნად ერთხელ მაინც არ გადასწყდომია ამოურთნობ მოხენას? თურმელების ქრონიკაში ერთმანეთს მიჰყვებიან, წყალანკარა მდინარესავით მიედინებიან წლები, საუკუნეები, ამ-

ბები, თავგადასავლები, ქვეყნები, გმირები და ბუნებრივად ისმის კითხვა, უბრალო, მარტივი და, ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანი: რა არის არა მხოლოდ თითოეული ადამიანის, არამედ მთლიანად ამ გვარის არსებობის, ცხოვრების აზრი? ამ კითხვაზე პასუხმა იქნებ თითოეული ადამიანის, ყოველი გვარის, ქვეყნისა და სამყაროს არსებობის საიდუმლოს ასხნამდე მიგვიყვანოს.

ქვეყანა, სადაც თურმელები ცხოვრობენ, საქართველოა, მაგრამ იმ ქალაქის სახელი არ არის ცნობილი, რომელიც ოდესღაც მათი სახლის ფერხითი გაშენდა. უცნაურია, მაგრამ თურმელებისა და მათი მთავრების, შავგულუბის, საუკუნოვანი მტრები იშმიშელებად მოხსენებიან. ეს პირობითი სახელია და, საერთოდ, რა საჭიროა რეალურად არსებული ქვეყნის ან სამთავროს დასახელება? განა ამ ქვეყანას ცოტა ჰყავდა მტერი და მომხდური? ისინი შეიძლება სპარსელებიც ყოფილიყვნენ, არაბებიც, მონღოლებიც, ოსმალებიც, ჩერქეზებიც, ლეკებიც, რუსებიც და რომელიმე სხვა, დიდი სახელმწიფოც. შეიძლება, სულაც სხვა კუთხის ქართველები იყვნენ, ციციქნა სამთავროს წარმომადგენლები. რა, ცოტა იყო იმერეთსა და გურიას ან სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის სამხედრო შეტაკებები? ან იქნებ ეს იშმიშელები "ვეფხისტყაოსნის" ქაჯების მონათესავე ხალხია, ან, სულაც, მათი სხვა დასახელებაა? უძველესი დროიდან შუა საუკუნეებამდე, შუა საუკუნეებიდან ახალ და უახლეს დრომდე გაგრძელებული ჩვეულებრივი გვარის ჩვეულებრივი ადამიანების სხვადასხვა თაობის, მათი ამბების, სიყვარულის, მოგზაურობების, ნიჭისა თუ უნიჭობის, ხასიათებისა თუ უხასიათობების, ოცნებებისა და სინამდვილის, საკუთარი თავის ძებნის, ბედისა თუ უბედობის ამბები. რამდენი ასეთი გვარია საქართველოში? რამდენია ასეთი გვარია ამქვეყნად? ყოველ მათგანზე შეიძლება ცალკე ქრონიკა დაიწეროს, საინტერესო და მიმზიდველი. შეიძლება, მრავალ მათგანს შექმნილიც აქვს ისინი და, თურმელების საგვარეულო წიგნის მსგავსად, რომელიმე ნახევრად ჩაბნელებულ სენაკში ინახება, გამოშუქურებას ელის. ადამიანების ისტორია ხომ, მით უმეტეს, დროში განფენილი, ყოველთვის საინტერესოა და მნიშვნელოვანი - იმიტომ, რომ ადამიანები, მოშობები და შეიძლება კი არ იმეორებენ ერთმანეთს, არ არიან იდენტურები და სწორედ მათი განსხვავებულობა, მრავალფეროვნება და, ამავე დროს, გარკვეული ერთიანობა, ურთიერთკავშირი ინვესტიკითხველის, მსმენელისა თუ მაყურებლის ინ-

ტერესს. თორემ, ერთი ფილოსოფოსის ნათქვამისა არ იყოს: "არავის დაინტერესებს თხების თორმეტრომიანი ისტორია" იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი ყოველი მომდევნო თაობა წინას იმეორებს და ვინც ერთი თხის ამბავი გაიგო, თამამად შეუძლია განაცხადოს, რომ მთელ მათ მოდგმას კარგად იცნობს. თურმელების მთელი გვარი, მისი ყოველი წევრი, საკუთარი პიროვნული განსხვავებულობითა და ერთიანობით, სხვადასხვაგვარი შეხედულებით, ქცევითა და თავგადასავლით, სწორედ ადამიანების ერთმანეთის კლონებად, ერთნაირ, უპიროვნო, ერთსახოვან და მსგავსი აზრებით თავგამოტენილ მასად ქცევას უპირისპირდება და ამით თამირი ფხაკადის რომანი ქართული ლიტერატურის იმ მთავარ ხაზს აგრძელებს, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა ადამიანის თავისუფლებას, განსხვავებულ აზრს, შეხედულებებსა და მოქმედებას, აღწერდა კაცებსა და ქალებს, მათ ხასიათს, შეხედულებებსა და ქცევას ისე, როგორც ისინი სინამდვილეში არიან, ყოველგვარი ყალბი დამუნათებისა და მორალის კითხვის გარეშე.

ნიგნი იმაზეც დაგვაფიქრებს, არა მხოლოდ დაგვაფიქრებს, შეიძლება, მიგვახვედროს კიდევ, რა მნიშვნელობა აქვთ ქართველების მიერ საუბრისას ასე ხშირად მოხსენიებულ წინაპრებს, მრავალი წლის თუ საუკუნეების წინ წასულ თაობებს, მათ ცხოვრებას, გამოცდილებას, აზრებსა და საქმეებს ყოველი მათი შემდგომი თაობისათვის. თურმელების სახლიდან წარსული თითქოს არსად მიდის, დრო და მასში გაფანტული ათასობით, მილიონობით, მილიარდობით წამი აქ გროვდება სქელი, ოთახებში გაფანტული ოქროსფერი ბურუსივით და ყოველი წინაპარი არა მხოლოდ საკუთარ ჩანაწერს ტოვებს საგვარეულო ნიგნში, არამედ, ისინი, კაცებიც და ქალებიც, ასევე ტოვებენ საკუთარ გულისცემას, ვნებასა და სურვილებს, საკუთარი ყოფიერების საიდუმლოს, საკუთარ თვისებებს, საკუთარ გამოცდილებას და ამას გადასცემენ შთამომავლობას. ასე ერევა ამ ნიგნში შუა საუკუნეების სული თანამედროვეობას, ასე ინარჩუნებს დროის თანამედვე მარადიულ ცვლილებაში, რომელსაც ცხოვრება ეწოდება, საკუთარ თავს თურმელების ყოველი მომდევნო თაობა.

"ჩვენ, თურმელები" არის რომანი ყოფიერებაზე, ადამიანის ცხოვრების უზრუნველბასა და იდუმალბაზე, ცხოვრების არსზე, რომელიც იქნებ სწორედ ამ ცხოვრების მარადიულ გაგრძელებასა და დაუსრულებლობაში, იმ უხილავ კავშირში, რომლითაც ძველი და ახალი

თაობები უკავშირდებიან ერთმანეთს, იმ თვალსაზრისში, რომ რაც უკვე მოხდა ამქვეყნად, ის არასოდეს გაქრება; დროის მაგია, მისი მესხიერება მას სამუდამოდ შემოინახავს. ეს რომანი თურმელების სახლში ჩამოქნილი თავლის სანთლებივით "მარტივ, თან ბოლომდე შეუცნობელ სურნელს" აფრქვევს. სწორედ ისეთს, როგორც მისი გმირების ცხოვრებაა. იოლა მაგელანას (იგივე ეფრემ თურმელის) მისაკლავად (თუ დასაპატიმრებლად) მოსული მილიციელების (თუ პოლიციელების) და "მამულიშვილურად და არასაშიშად შეშლილ" ბაბუა სარგის შორის ატეხილი სროლის შემდეგ, ავტორს შეეძლო გაცილებით უფრო ტრაგიკულად და ესრულებინა ნაწარმოები, მაგრამ ეს ნამდვილად შეუსაბამო იქნებოდა ნიგნში მოთხრობილი ამბის (უფრო სწორად, ამბების) ლოგიკასთან. "ჩვენ, თურმელებს" არ გამოადგებოდა ედგარ პოს მოთხრობის, "აშერიების სახლის დაცემის" მსგავსი დასასრული. ამიტომ თამირი ფხაკაძე ნიგნის ბოლოს იძლევა ცხოვრების გაგრძელების, სიყვარულის გამარჯვების, გვარის გადარჩენის, თუნდაც ძალიან სიმპათიური პერსონაჟის, ლუკა თურმელის გამოჯანმრთელების იმედს. ჩვენ გვხვდებით, რომ თურმელების გვარის ისტორია რომანის დამთავრებასთან ერთად არ სრულდება. მეტიც, ის გრძელდება და გაგრძელდება კიდევ უამრავი წლის, მრავალი საუკუნის განმავლობაში და მათი საგვარეულო ნიგნის სამარადყამოდ შეიკვება ახალი ამბებით.

\* \* \*

დაბოლოს, აუცილებელია, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმ ენაზე, რომლითაც დაწერილია რომანი. მისი წაკითხვა კიდევ ერთხელ დაგარწმუნებთ ქართული ენის უსაზღვრო შესაძლებლობებში, იმაში, რომ ნამდვილი მწერლისათვის არ არსებობს ამბავი, რომელსაც ის ცოცხლად და მკითხველისათვის საინტერესოდ ვერ გადმოსცემს. ნიგნში ერთმანეთს ენაცვლება ძველი ქართული, ახალი სალიტერატურო ენა, თანამედროვე ჟარგონული მეტყველება და ეს იმდენად ბუნებრივად ხდება, რომ მკითხველს წამითაც არ შეეპარება ეჭვი, რომ პერსონაჟები სწორედ ასე ფიქრობდნენ და საუბრობდნენ. რომანში აღწერილ უძველეს თუ თანამედროვე ამბებს თითქოს თვალნათლივ ვხვდავთ. "ჩვენ, თურმელები"; ეს ძალიან საინტერესო ნიგნი, ხიდია ძველი და ახალი ქართული ენიდან გადებული ოცდამეერთე საუკუნის სალიტერატურო ენისაკენ.

ნაირა გელაშვილი

# დღიურის ნაწილი



## ნისლი

ქარით შემორხეული წვრილი წვიმა მეგონა, თვალი ვკიდე როცა,  
 ნუხანდელი ქარიშხლით შელახული ხეების შემხედვარე ფანჯრიდან  
 რალაც გარიყულივით, თითქოს მექანიკურად რომ ვცდილობდი ლოცვას...

მაგრამ წვიმა არ იყო, არც თქორი, არც ყუყუნა, არა! რალაც გზებით  
 მოცურადნენ ნისლებად ალაგ-ალაგ მჭვირვალე,  
 გარდაცვლილი ქალების უწონო და უბგერო, რუხი შლექიფები...

მათი აქ აღარყოფნის სველი აბრეშუმი თუ მათი შემობრუნების  
 ნოტიო შიფონი,  
 გაცრეცილი სიკვდილით, როგორც მათი ღიმილი,  
 ანდა მათი სინაზე, ადრე დედამინაზე რომ იყო და აღლობდა  
 ყოფის მახინჯ სიტლანქეს, ბრაზს რომ გადაადნობდა  
 სიღბოდ, - საკვირველი.

შემოცურდნენ ეზოში, დაეფინნენ ხეების როგორც ნაბრძოლ გამირების  
 ღია-სველ ნახეთქებს,  
 ქარისა და ქარიშხლის ნუხანდელი დებოშით აკლებულ გარემოში ტოტებგადამსხვრეულებს  
 თითქოს ხვევენ ხელებს...

ნატყენებს თუ კოცნიან (თითების ბალიშები მახსოვს ლოყის კანზე),  
 (როცა სიცხე გექნება, ვილაც ფრთხილად მოძრავი ძმრან წყალში თეთრ ტილოს ისევ დაასველებს?).  
 ოდესღაც დადიოდნენ ფრთხილად დედა-მინაზე  
 ქალები-სალბუნები სიფრიფანა ღიმიით,  
 ტკივილებს შეიგრძნობდნენ და ზედ ეფინებოდნენ,  
 ანუ ეკარებოდნენ თითქმის ნიავივით.

არაფერი აღარ ჩანს, თუ რას შვრება სინაზე,  
 დაფარულში რა ხდება, ვინ რა იცის, აბა!  
 და სათუთი ქალების ბოლო ამოსუნთქების  
 თბილი ორთქლი ერევა ჰაერს და მეჩვენება  
 ნისლი ეზოს ხეებში მოლივლივე-ნესტიან  
 აღარავის კაბად...

### ჭრილობა სიზმრად

ჭრილობა ვნახე წუხელ სიზმრად,  
არ ვიცი - ვისი, ანთუ - ვისგან,  
ანდა რით: ტყვიით, ხანჯლით, შუშის  
ნატეხითა თუ გრძელი შუბით?  
გადახსნილიყო და იყო ღია...

სისხლი მდინარეება (გაისმოდა:  
"სისხლი აქ ძალიან იაფია!");

მას კი არ უჩანდა, არა პირი,  
რომ პირს შეიკრავდა, დანაპირი  
არ მახსენდებოდა არავისგან,  
და ქირურგს ვეძებდი განაპირას,  
ვნახე, ვერ გაეხსნა დანას პირი  
მისი, იდგა და არ ესმოდა.

არსად არ მოჩანდა სპირტი, წყალი,  
ბინტი, იოდი ან მოსაბანი  
რამე, ვერაფერს ვპოულობდი,  
უხმოდ ვყვიროდი და ვერ გავრბოდი...

ჭრილობა ამბობდა (ჭკავდა დიდ პირს):  
"უკვე ყველაფერი არის დანა! -  
სიტყვა, შემოხედვა, განაფიქრი!  
და განა ეს იყო ჩანაფიქრი?  
განა ბასრი იყო ყველაფერი,  
ასე ალესილი თავიდანაც?"

არა, არაფერი არა მქონდა,  
მოსაწმენდად და მოსაბანად,  
გარდა ცრემლებისა, უკვე სახეს  
რომ მილტობდნენ და დავინახე:

სუფთა, მლაშე სითხე რომ ავსებდა  
ორმოს - სისხლიანს და მოცახცახეს...  
ანთუ იმ ჭრილობას - ნითელ ხაროს,  
უკვე რომ გასდევდა მთელ სამყაროს...

ცრემლი უშველიდა? მაგრამ ცრემლსა ვღვრიდი,  
თითქოს გლოვა იდგა ირგვლივ დიდი,  
ვიღაცა ამბობდა: "საზარელი"  
და თვალი ძალით გავახილე.

2022, 3 აგვისტო, სოფ. ზემო მალარო

\*\*\*

სუნთქვა შეეკრა სამყაროს და ნამით შედგა დრო,  
მერე კი უცებ გაზაფხული დაჩქარდა ირგვლივ,  
აურაცხელი კვირტი გასკდა ვადაზე ადრე  
და გაახილეს ყვავილებმა სუფთა თვალები,  
ცაში კი ვინ ვის ეხვეოდა, ვერ გაიგებდი!

რადგან მინაზე ორმა წრფელმა ადამიანმა  
ერთმანეთი ჩაიკრა გულში.

2023, 19 მარტი

\*\*\*

აი, ეს ფიქრი,  
აი, ამ წამს რომ გავიფიქრე,  
ჭირდებოდა ალბათ სამყაროს  
და ამისათვის შემინარჩუნა  
ამდენი ხანი:  
მხოლოდ აქ და მხოლოდ ახლა -  
(დილა სისხამზე ჩემს ფანჯარასთან)  
დაიბადა ის -  
სამართლიანი,  
და მოიშუშა ჭეშმარიტებამ ერთი იარა.

\*\*\*

გავიდა უკანასკნელი ადამიანი დედამიწიდან  
და  
ნიაგარა მხოლოდ წყლად იქცა,  
ტაძარი - მხოლოდ ქვად,  
ვარდი - მხოლოდ მცენარედ.

\*\*\*

დილაბნელის მძიმე სიჩუმე.  
ჩიტის სუსტი ამოსტვენები  
უდასტურებს ყოფნას სამყაროს:  
ისევ ვარ.  
ისევ.  
ისევ აქ ვარო.

თითქოს ღმერთი კითხულობს სიას:  
აბა, გათენდა,  
ხმა გამეცით, ვინ სადა ხართო.

2023, 19 მარტი

\*\*\*

საიდან ჩნდება გულში ადგილი,  
სადაც სინათლე ჯერ არ ჩამქრალა,  
ან ეს-ეს არის, უცებ აინთო.

2023, 8 აპრილი

\*\*\*

თოვლისფერი ზურგი აქვს ამ მტრედს,  
მაგრამ შავი ფრთებით დაფარული,  
ხშირად ბრწყინდება ეს სითეთრე - ოლონდ ჰაერში.

2023, 8 აპრილი

**სულ ბოლოს  
ანუ  
ბალიდან ბალში  
დაბადებისა და იოანეს  
გამოცხადების მიხედვით**

ველარ შევებიჯებთ პირველ ბალში,  
ბალი აღარ არის - უდაბნოა.  
ძალზე შორს წავიდა, მარტო დავრჩით, -  
თუმცა გვეშველება შვილებს დაღლილთ,-  
მამა, ჩვენს ლოდინში როა.

ღმერთო, ეს რა გზა გავიარეთ,  
ლაქად რომ რჩებოდა ენებს შხამი,  
ეკლებს კი ცოდვილი ხორცი გულის,  
რატომ მივინევდით მუდამ გარეთ,  
რატომ არ ვეძებთ დაკარგული.

მოვლენ ურჩხულები და ერქმევათ:  
"საშინელება" და "ტანჯვის ზარი",  
ცივ ძვლებს ცივი ძვლები შეეხლება,  
კივილს - კივილი და სატკივარი.

დაშრეტილ მელნებთან მიეყრება  
ურიცხვი კალამ-კალმისტარი  
და წიგნებს ტექსტები ნაეშლებათ,  
ცოტა რამ დარჩება: დასტაქარი -  
- ცეცხლი მოყვავილე - რასაც იღებს.  
გადარჩევაა და ღია კარი.

უდანაშაულომ რა გაიგოს,  
დამნაშავეებთან რატომ მოხვდა,  
მწარედ მოელვარე სამართალი  
მოგხრის, ვერ გაიგებ რა რად მოხდა.


მაგრამ გეუბნება სიტყვა ღვთისა,  
ასე იქნებაო და არც იქნება,  
განა ის სიკვდილით დაამთავრებს,  
ვინც სიცოცხლეა და სიცოცხლისა?

იყო ვარამი და არ ნაშლილა,  
თუმცა ვერა ძალა ვერა რაზით  
კეტავს ჩუმ სინაზეს, არ დაიშლის  
სუსტი ძლიერებას სილამაზით.

ბალი, ბალი უყვარს მეფეთ მეფეს,  
ყვავილ-ფოთოლი და მზის ნათება,  
მინის მუშაკი და მებალეა,  
მცოდნე ფესვების და წვეთა რბოლის,  
უკვდავს მოკვდავები ენატრება.

უნდა გავაშენოთ სხვა ნალკოტი,  
დღემდე ყვავილები რაც ვახარეთ,  
მათ არ შეხებია ყალბი ნოტი,  
არ დაღერებია ქარაშოტი,  
არ შეუსუნთქიათ რამ სამარე.

ცრემლი შეიშრე და მორწყე კარგად,



პატარა ყვავილი გულის ბაღში,  
ნახავ დაგვიღ მინას და გადარგავ,  
და მოვა გაზაფხული-ბავშვი,

მერე კარგი ნვიმა იშხაპუნებს,  
ნვიმა, მეგობარო, ხომ გიყვარდა,  
მამა რომ აკინძავს გაზაფხულებს,  
ყოფნა გაიმლება ერთ დიდ ვარდად.

ალვად რომ ამწვანდა ძველი ჯვარი,  
ოთხივე მდინარე განა მდორედ  
მოდის, არამედ მოსჩქეფს თეთრად,  
სისხლი აღარ წვეთავს, ის აქ არის,  
ჩვენთან რომ უნდოდა და მოვიშორეთ.

აი, ჩვენი ბალი - სასნაული,  
რა დიდხანს გაგრძელდა და რა ძვირად  
დაგვიჯდა მისი გახარება,  
აღარც მინა კვნესის, აღარც გული,  
ახლა ერთმანეთი გვყავს და გვიყვარს.



2022, 3 დეკემბერი

### ჩვენება

ჩამავალი მზის შუქი განვა ხეებშორის თუ უკვე მთვარე ანათებს, ველარ ვადგენ რალაც... რადგან დაღ-  
ლოლს დღის ბოლოს ადრე რომ ჩამეძინა, მერე ჩემი თვალები პირდაპირ გრძელ სიზმრიდან გაიხილნენ და  
ფრთხილად მივადექ ფანჯარას. ღიას, რალა თქმა უნდა, ანუ, შიგნით შემომშვებს ჰაერის და ღამის... ვუყუ-  
რებდი უცხო და მარად, მარად თანამდევეს: ნათელს და მის ცვალებას ხეებშორის დაღვრილს...

შუქი ინვა ბალახზე მოფენილზე ყვითელი ფოთლებით და თრთოდა... და რალაც სილუეტი მიჰყვებოდა  
ამ ბილიკს, მგონი ნაცნობი იყო, მიიკარგებოდა... ბავშვია თუ ვინ არის, მგონი, მეზობლისაა, დღისით ეზოს  
ჭიმპართან მონყენით რომ იჯდა, მაგრამ ბავშვზე მსუბუქი ჩანს, მიდის ნიავეით და ვგრძნობ რალაცნაი-  
რად, რომ არ ივლის დიდხანს...

ნეტავ არ გაქრეს მეთქი, არ მივიდეს ბოლოსთან ამ გრძელი ეზოსი, დასტურ გავა იქიდან, რა დაიჭერს  
უნწოროს, ან რა ჩაეჭიდება არაფრით შემოსილს. იქ ცხაური არ არის, ანუ არის აქა-იქ ძველად გაგლეჯილი...  
მიდის რა ჰაეროვნად, თითქოს ფეხქვეშ მინა კი არა, აქვს ჯეჯილი.

გავა, დაიკარგება, შეერევა ტყე-ბუჩქნარს ჩემი ეზოს გარეთ (ადრე ნუ დაიძინებ, რათა არ გაიღვიძო ად-  
რე, არ შეეხალო გრძელულ შულამეს). იქიდან კი, ვაითუ, შეისრუტოს უნამთოდ ჩამავალ მზის ძონმა! (ოდეს-  
ლაც თქვეს, ასეა: "დაფარულ კაცს" შენს გულში დაშორდები როცა).

ღმერთო, თითქოს მეცნობა, ეს კი არა თითქოსდა მენატრება კიდევ, ფარცხი გდია გულალმა, ხედავ?  
გადაუარა, მე რომ რკინის ბრჭყალებზე ფეხი გავიგლიჯე, დღისით, როცა მივბრბოდი, კნუტს მივდევი გაქ-  
ცეულს (ნანვიმარი იყო), რანაირად მშორდება, არ აბრუნებს ჩრდილის თავს, მემდურება თითქოს...

გამახსენე, უფალო, ვის ჰგავს, ვის თავს მაგონებს და ვისავით დადის?  
(თავისი დრო არ იცის, არც თავისი ადგილი, როცა უნდა გეწვევა აუხსნელი დარდი).

ამერია მზერა და მომერია რული და ასე ვაოგნებული ისევ ძილში ნაველ. მანამდე გავიფიქრე, რომ რა-  
ლაც მომეჩვენა, ლანდ ანთუ არჩილი მხოლოდ, ნამძინარევეს. მაგრამ მერე მესიზმრა იგივე, რაც ვიხილე  
წელან თვალუბლიამ (ოღონდ გაბარდულიყო ახლა სიზმრად ხეებში ეკლიანი ღვია):

მართლა ბავშვი იყო და მიდიოდა ეზოში როგორც შუქთა შუქი, ხეში სტვენდა შაშვი და მდუმარებდა  
მთვარე და დაფუძახე: "სად მიხვალ?" მოტრიალდა და მითხრა წყნარად: "ვერ მცნობ თუკი... უჩემობას  
აიტან", და გაუყვა უმწეოდ რალაცნაირ ბილიკს... ვიჯექ გამოშიგნული ქვეყნის გამყიდველივით და ველუ-  
რი ნაღველი კვნესდა ბარბითივით და ამბობდა: "ვერ იცან, ვერ იცან და ვერ იცან, აბსურდია მართლაცდა,  
აბსურდია სრული! შო, ჩაკვდა და წავიდა, მოგებარა ვინც იცან დედან როგორც შუქის მტევანი ან ბავშვი თუ მერ-  
ცხალი, რალაც ჰაეროვანი ანთუ წყლისებური!"

ვტიროდი: "არ გამშორდე, ჩამიქრება სინათლე, მთვარის შუქი მოიცვი, ხეში მაინც შედი! ეზოს ბოლოს  
დიდ კაკალს ფულურო აქვს თვალივით (დამჩნევია ამგვარად კვალი შავი ბედის), ანდა ეზოს გადამა მწვა-  
ნე ტბორში აცურდი (ბევრი რამ გგავს, ციერო, გგავს გოროზი სინაზით გარიყული გედიც)".

"ღმერთო, როგორ ვერ მივხვდი! - დავიძახე უეცრად - ეს რა დამემართა! ეს ხომ ჩემი სულია! აღარ უნდა

1 ... გულის დაფარული კაცი უხრწნელ მყუდროებაში და სულის სიმშვიდეში, რაც ძვირფასია ღვთისათვის" - 1 პეტრ. 3:4.

ჩემთან და სადაც გაემართა". "შენ ამ სხეულისა ხარ, შენი სახლი ეს არის, მოგნონს თუ არ მოგნონს! მივალ, ისევ ბავშვი ხარ, და მტოვებ მე ხნიერს და ნაოჭებით მორთულს?"

ეჰ, უფალო, უფალო, სულ ამას გთხოვ, ნუ მტოვებ გაოგნებულს-მეთქი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ლამის სიზმრებში, რადგან სინათლისა ხარ, ანუ ერთადერთი, ვისაც არ გეკარება ლანდი თუ აჩრდილი და დღისით არარსებული ჩვენებების ჯარი! შენ კი აბა სადა ხარ, ჩემს სიზმარში რად არ ხარ, სადაც არავინა მყავს, სადაც დაუზოგავად მექცევიან, მტოვებენ, და მეც მართო დარჩენილს მერევა გზა-კვალი.

ზემო მაღარო, აგვისტო, 2022

### განწყობა

ღრუბლებით სავესე ცას გავყურებ. რა გამოვიცნო?  
ყველანაირი ღრუბელია: მრუმეც და თეთრიც,  
მოვარდისფეროც, ტყვიისფერიც, ვეებაც, მომცროც,  
მარცხნიდან მარჯვნივ მიცურავენ როგორც ყოველთვის.

(მარცხნიდან მარჯვნივ მიდის ქვემოთ მდინარე ვერეც,  
მარცხნიდან მარჯვნივ მიდის მტკვარიც, - სულ ასე ვხვდები,  
კაცმა არ იცის, რა განგებით, მუდამ იმ მხარეს,  
სადაც მარცხნიდან მარჯვნივ მიდის სუყველაფერი).

ჩემი ფანჯარა, მინყალობა რომელიც ქვეყნის  
გამჩენმა, ახლა ავსებულა ცითა და დილით,  
და ნახევარზე - სულ ახლახან გაფოთლილ ვერხვის  
კენწეროთი და მზეგამტარი ფოთლების ბზინვით.

მაგრამ მათ ქვემოთ მომესაჯა დასვრილი მინა,  
ანუ ეს ქუჩა - ჭუჭყიანი და დაგრეხილი,  
სად სიმახინჯეს შერეული ბავშვები რბიან  
და უპროტესტოდ ყვავის ზოგი ტურფა ხეხილიც.

ჩემმა ცხოვრებამ ჩაიარა ამ ფანჯარასთან,  
(მარცხნიდან მარჯვნივ? ზემოთ-ქვემოთ, აქეთ და იქით?)  
ვინ დაინახა გარედან და ვის დავემჩნიე?  
ღრუბლებს თუ მტრედებს - შემოჩვეულთ გარე რაფაზე  
დაყრილი ხორბლით? (მათ არ უყვართ სხვა რამ საკენცი).  
ამდენი კითხვა? დავემსგავსე მართლა მარჩიელს.

განა არ იცი? გიყურებდა სამყარო ბევრი  
თვალით, მეზობლის, მაგალითად, წინა სახლიდან,  
თუ ქინძისთავის თავის ხელა თვალებით ჩიტის...  
ალარ ჩამოვთვლი, და სულ ღია დიდ თვალზე ვიტყვი,  
რომ გირეკლავს და გინარჩუნებს უძირო, სველი,  
მაშინაც, როცა შენი ჟამი უკვე გავიდა.


სრულიად სხვაგან გასრულდება შენი იერი.  
სადაც შენს სწრაფვას ედებოდა მიჯნა, - იქიდან  
აგრძელებს ღმერთი და რამდენად ნაყოფიერი  
იყო აქყოფნა - ვერასოდეს აქ ვერ გაიგებ,  
შენი ამბავი იქ სრულდება, შორს, შორს მიწიდან.

მჯერა: უწყევტი დაკვირვებით განარჩევს, არჩევს,  
(თავის ვარსკვლავებს ახამხამებს განა ადვილად),  
მარადისობის წიგნში ავსებს თვალუნვდენ სარჩევს,  
მაგრამ დაფიქრდი, მომზირალო შენი ფანჯრიდან,  
მართლა გსურს კიდევ, რომ სადმე და ვინმეში დარჩე?





# ლია სტურუა



## უგზოუკვლოები

სინათლეზე ვფიქრობ, მის წყაროებზე  
 არაელექტრონულზე, უფრო, ნიგნიერზე,  
 თუ თვალისმომჭრელზე,  
 თავი რომ დადო ამ ნიგნზე,  
 ნაჯახით ნაგაცალონ და კისრიდან  
 ბალახი ამოგივიდეს...  
 ამ ბალახით ავიფოფრები,  
 დეკადანსი მშვიდად ვის გადაუტანია?  
 თვალისმომჭრელადობას მხატვრებს მივცემ,  
 კრიზისიდან გამოვლენ,  
 აღარ მინდა ეს ამომხტარი ფერები,  
 ზამთრის მზეს თავისი ფორთოხლები აქვს,  
 სიცხეს რომ ვუსმენ, თავისი თაფლი,  
 ელექტროენერგიას თავისი გრაფიკი  
 თელასის ხუმტურებზე დამოკიდებულმა,  
 ლიფტს მფრინავი ცხენები შევუჩინე  
 და ნაიღეს, რომ მცოდნოდა,  
 დროგის ცხენებს შევაბამდი.  
 ვტყუი, მფრინავი მიჩრევენია,  
 რომელსაც შვილივით აკეთებდნენ,  
 ტკბილი ნერწყვის დეფიციტიც არ ჰქონდათ,  
 ფრთები მიენებებინათ,  
 მაგრამ პეგასი არ უნდოდათ, უცხო იყო,  
 ისე დახატული, ვერც კოჭლს იგუებდა,  
 ვერც ლოთს, უგზოუკვლოებს...  
 სიმბოლოს თავისი მისამართი აქვს:  
 ქრესტომათია, მარმარილო წილადი გრაფიკა,  
 რალაც ასეთი... როცა წილადი პოეზია -  
 ჩემს უგზოუკვლოებსაც ეხება,  
 არანაკლებად...



\*\*\*

ტკივილში შევდივარ მეორედ, მეათედ,  
ისიც სტიქიაა, მაგრამ შევდივარ,  
ამის გამოხატვასაც ვახერხებ: ყვერი  
ამ უნიჭო სინყნარში:  
არც სიცხადე, არც ფერის სიცხარე,  
მარტო ნიუანსები, ელფერები,  
მომლოდინე ადამიანები: ცუდის, კარგის?  
ყოველ შემთხვევაში, არა ყვერილის  
გახეული პირიდან  
მივხედავდი, მაღალ დო-ზე მოვამრგვალებდი,  
სივრცე რომ მქონდეს, ზღვა,  
საიდანაც სილურჯის პროცენტი  
ხომ მაინც მეკუთვინის,  
რასაც თანაბარმარცვლიანი სუნთქვა ჭირდება,  
(პატარა ლიტერატურული შეღავათი)  
მე კი ყვერი!  
ყვერილს ჭაღარა ძირები აქვს,  
ზედაპირი ალისფერი,  
შენ არ მასწავლე უსაგნობის  
დახატვა, ღმერთო?  
- ცასთან აპელირებას თავი დაანებე!  
მეუბნებიან, "ღმერთი მოკვდა  
და ყველაფერი დასაშვებია".  
იმავეს რომ ამბობდნენ  
ამ საუკუნე-ნახევრის წინ,  
ესენი არ იყვნენ?

### ალარ გამოდის

თუ ისეთ სახლში ცხოვრობ,  
ხე რომ უდგას ფანჯარასთან,  
რაც გვერდით ხედვაში სინათლე გაქვს,  
სულ იმ ფანჯარაზე მიგდის,  
ბოლომდე, შუქის მიწურულამდე...  
ელექტრონი, უკვე სხვა სინამდვილეა:  
გამკვეთრებულ სუბიექტებს  
მუქთად არ უნდათ  
შენი სემანტიკური სიღამაზეები,  
საგიჟეთის კარი ღიაა,  
რომ შეხვიდე, ხეს თვალეში ამოგიყვანენ,  
ყურებში ქარით გაანამდვილებენ,  
სხვა რა, მაგრამ შეიძლება  
წარმოსახვა გექცინოს?  
გარეთ ბატალურ სცენებს მართავენ  
ხანმოკლე სუბიექტები...  
არავის დასანახად, არავის გასაგონად,  
ჩუმად, შენთვის, ის ფანჯარა გენატრება,  
გვერდით ხედვაში რომ ჩაგრჩა:  
თავისი შუქით, თავის ხით,  
ღმერთთან ვერმიახლოების სევდით,  
იმ სახლში გინდა დაბრუნება,  
სხვა არაფერი...

### მეორე მე-ზე?


ვინ რა იცის გახლენილ მე-ზე?  
ერთი რომ წარკოტიკს ეძებს  
და კაშკაში გაუდის, მეორე - სიფხიზლეს,  
რაც ამბავია, ცოტა მოსაწყენიც,  
დოკუმენტურივით, როგორც მომავლის იმედ  
რომელიმე ჩწყნე წელს, ანუ არასოდეს,  
მაგრამ იმედის ანესთეზიით  
ყველაზე მძიმე დიაგნოზზეც კი,  
ტეხვებზე - მარტო კაშკაში!  
საიდან? შინაგანი ორგანოების ანთებებიდან?  
და თუ შუბლზე  
მოულოდნელი ზაფრანა ამოგივიდა?  
რაც გინდა დაარქვი: ნარკოტიკი, ტროპი, აბსურდი  
რა მერე?  
ჩვეულებრივი ბავშვი იყავი,  
მზეზე რომ იდექი,  
ყურები ვარდისფერი გიჩანდა...  
აქედან აბსურდამდე  
რამდენი იმპროვიზებული საგიჟეთია,  
რამდენი საწერი მაგიდა!  
ერთ რომელიმეს მიუჯექი, წერა გააგრძელე,  
ბევრი გაოცება თუ გამოგივიდა,  
ძახილის ნიშნების სიმრავლეში შეუვარდი,  
პარალელური სახეების კვეთაში -  
ეკვილიდურობა დაუნგრე!  
არავითარი ტეხვები და ზედ ანესთეზია!  
იყავი და იკაშკაშე!

\*\*\*

ვინ იცის, რამდენ სახლში  
რამდენი მკვდარი მყავს ჩატანებული?  
მძიმე ლიტერატურული მემკვიდრეობა  
მათქვინებებს, რომ აქ უფრო არიან,  
ვიდრე ნორმალურ საფლავებში...  
დამინახავენ და კედლები კი არ ებურცებათ  
(ქრუანტელის დრო გაუვიდათ),  
ბათქაში ებზარებათ,  
მოსახლეობა ფიქრობს,  
რომ სახლი სარემონტოა, იმ ადგილებს,  
სადაც ფრჩხილები უნდა ჰქონდეთ,  
ჩემზე მოსაბლაუჭებლად, გაუქლიბავენ,  
მე და ჩემისთანებს - წარმის რულონებს,  
ჭერზე გაგაკარავენ,  
კედელს შპალერი თუ დააკლდა, იქაც შეიძლება.  
რამდენ ხანს ვივლით ასე,  
ზოგი ჭერის, ზოგი კედლების მეთაურობით?  
ისევ, "ვინ იცის"...  
დაბრუნებას კი მთხოვენ  
ხმამაღლა, ცალყბად, რა დავარქვა?  
ჯგუფი, გუნდი? იქნებ,  
ქორო, რახან თეატრის უფროა,  
ვიდრე ყოფის, მთელი ეს დავიდარაბა?  
რა ლოგიკას მიუყენებენ, რომელ ბრუნვაში,  
ისახლეთ ნათესაობითში?  
წოდებთის რიტორიკაც ალარ მუშაობს...


### და ისიც მოვა...

ადგა, თავიდან ბალახი გამოიბერტყა  
(საფლავი მიუხედავი იყო)  
და მოვიდა,  
გრამატიკის სახელმძღვანელოები დაგვიხურა:  
ბრუნების და უღლების სვეტებისგან  
რა პართენონს ააშენებთო!  
ლიტმცოდნეობას იმპულსები ამოაცალა  
და ისიც დახურა.  
ჩვენ რაც გვქონდა: ზმნა ფეხებში,  
ზედსართავი ხელებში: სიმაღლე, ზემკლავი,  
ფრთების პრეტენზია, დავიკინასავით  
(ენის ოღრო-ჩოღროებში თუ არ ჩაიხედე...)  
ზედსართავს სანამ ეპოტინები,  
ე. წ. მეტყველების ნაწილს, რეალისტი ხარ,  
ეს ზედსართავი სარჩულიდან თუ ამოატრიალე  
და სახიანი პირი გამოუჩინე,  
ისიც მოვა,  
გვარზე და სახელზე მიბმულ ტანში  
მუცელს გამოარჩევს,  
სადაც ეს ყველაფერი იხარშება,  
ზემკლავი ხომ მითითებული გაქვს  
ალიარებულ სიმართლებზე, კანონებზე,  
მორალის გადაცდენებზე,  
მაგრამ ზამბახზე სწორება?  
შუქძღებლობა, უკულმართობა, ბოლოსდაბოლოს, ლექსი!  
გარემო რეალისტებს ეტყვი:  
რა მოხდა, მოვიდა, მასტერკლასი ჩაატარა  
და წავიდა  
(ეს ისე, საერთო განათლებისთვის).  
ხაზგასმული მუცელი გტკივა,  
გეგონა, კატის კნუტები ჩაგიყარეს,  
არადა, ზამბახები ამოგდის -  
ესეც ისე,  
თავისუფლებისთვის (ვერლიბრი?), პოეზიისთვის...



### გაიკეთე ქვეყანა!

მეტაფორამდე რა იყო?  
არა სამოთხე, არა ვაშლი,  
ე. ი. არ შეჭამდი, არ წაწყდებოდი,  
ღმერთს არ გადაიკიდებდი,  
ვერც გაახარებდი, ბიბლიას ვერ დაწერდი -  
(არ ნაწილაკის ნეგატივი -  
ფილოლოგიური თამაშები)...  
მეტაფორა, უკვე, ტკივილი,  
გიჟური სიხარული ორ ტკივილს შორის,  
ქვეცნობიერის ამოთრევა წიაღიდან  
კონვენციური მეხსიერების,  
აქედანვე იკეთებ ქვეყანას:  
ნაცნობი ხეებისგან, სახლებისგან,  
რომლებსაც თავბრუ არ ეხვევათ,  
კორპუსები გაჭირვებისა,  
ბუნებას თუ მიახმარ,  
აიღე, მაგ. მზის ჩასვლა,  
მიამაგრე სახურავზე,  
თვალეებს სევედიანი შვეული ხაზი  
გამოუვათ, მისი ყურებით,  
ბედნიერი ლექსიც ესაა, აბა, სხვა რა?



რეიჩელ კასკი

# დუბლიორი

ინგლისურიდან თარგმნა გური თევზაძემ



ბრიტანელი მწერალი რეიჩელ კასკი დაიბადა 1967 წელს. განათლება მიიღო კემბრიჯსა და ოქსფორდში. მის კალამს ეკუთვნის თერთმეტი რომანი და ოთხი სამეცნიერო-პოპულარული თხზულება. მიღებული აქვს რამდენიმე ლიტერატურული პრემია. 2003 წელს ჟურნალმა “Granta” კასკი დაასახელა 20 საუკეთესო ახალგაზრდა ბრიტანელ მწერალთა შორის, ხოლო რომანი “კონტური” (2015) აღიარებულია ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო რომანად. მოთხრობა “დუბლიორი” ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორებიცაა ქალისა და შემოქმედი მამაკაცის ურთიერთობათა ნიუანსები, სამყაროს მხატვრული ასახვის თავისებურებები ექსპერიმენტულ ფერწერაში და ა.შ.

თავისი კარიერის გარკვეულ ეტაპზე მხატვარმა დ.-მ საგნების თავდაყირა ხატვა დაიწყო - ალბათ, იმის გამო, რომ ვერ მოძებნა სხვა ხერხი, რათა გაეაზრებინა თავისი დრო და საკუთარი ადგილი ისტორიაში. ასე წარმოიშობებოდა ერთი შეხედვით, მისი ნახატები თითქოს შეცდომით არასწორად იყო დაკიდებული, მაგრამ წარწერა მარჯვენა ქვედა კუთხეში აშკარად მოასწავებდა ახალი რეალობის შემოჭრას ხელოვნებაში. დ.-ს ცოლი ფიქრობდა, რომ ამ გზით მხატვარს ქვეშეცნეულად სურდა, გამოეთქვა რაღაც მნიშვნელოვანი ქალის შესახებ და თავს ეკითხებოდა, ხომ არ იმოქმედებდა ეს დ.-ს ნახატების წარმატებაზე, მაგრამ კრი-

ტიკოსები ალაფრთოვანა თავდაყირა დახატულმა ტილოებმა. მხატვარმა უამრავი ახალი ჯილდო მიიღო და პატივისცემა დაიმსახურა, თითქმის იმისგან დამოუკიდებლად, თუ რას და როგორ ხატავდა.

ცოლ-ქმარი ტყიან ადგილას ცხოვრობდა, ქალაქისგან მოშორებით, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მხატვარი ახლა აღიარებით სარგებლობდა, უწინდელი ბოლმა და წყენა გულში ჩარჩენოდა და თავი ვერ აიძულა, რომ ამ განცდების მიზეზი დაევიწყებინა. ასე წარმოიშობებოდა. მის ადრეულ ნამუშევრებს მკაცრად აკრიტიკებდნენ და თუმცა, ზოგიერთის აზრით, კრიტიკა უმჯობესია, ვიდრე

სრული უგულვებელყოფა, დ.-ს მანაც გამოუდგებით ახსოვდა კრიტიკოსთა თავდასხმები. იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც არ ენინააღმდეგებოდა მათი გუნება-განწყობილების მოშამბინის მცდელობებს, არამედ ისრუტავენ ამ შხამს და მისი ზეგავლენით იცვლებიან. ასე რომ, დ.-ს გადარჩენა, უბრალოდ, სინაგანი მოქნილობის შედეგი კი არ იყო, არამედ უფრო ერთგვარი გაჭიანურებული ტანჯვა გახლდათ, რომელმაც, საბოლოოდ, აიძულა სამყარო, დასჯილიყო თავისი ნამოქმედარის გამო. სწორედ ტყეების წყალობით შეძლო დ.-მ შემოქმედებითი ჩიხისგან თავის დაღწევა და, მისი აზრით, ჩასწვდა შუალედს სოუჟეტურ ფერწერასა და აბსტრაქციის უგულვებელყოფას შორის. დიხანს აკვირდებოდა ხოლმე ადგილობრივი მეტყველების საქმიანობას და ყოველთვის, როდესაც ხე ძირს ეცემოდა, უფიქრდებოდა ვერტიკალური განზომილების საკითხს.

თავდაპირველად დ. ხატავდა ადამიანებსა და ხეებს არსებობის იმ დაუნანვერებელ მდგომარეობაში, რომელშიც მცენარეები და სხეულები ერთიერთშენაცვლებად იყო. შემდეგ იაზრა, რომ შესაძლებელი იყო ადამიანთა სხეულების მოჭრაც, ფესვების მოკვეთა, გაგორება ან დაჩეხა. ინვერსიის, თავდაყირა ხატვის იდეა დ.-მ ამ ძალმომრეობის აღკვეთისა და მთლიანობის პრინციპის აღდგენად მიიჩნია, ისე, რომ სამყარომ დაიბრუნა დასაბამიერი მთლიანობა, მაგრამ თავდაყირა გადაბრუნებული და, ამგვარად, რეალობით განპირობებული შეზღუდვებისგან თავისუფალი აღმოჩნდა.

როდესაც დ.-ს ცოლმა პირველად იხილა თავდაყირა დახატული სურათები, გაოგნდა. ასე წარმოიშდებოდა. ქალი მკაფიოდ გრძნობდა, რომ ის, რაც აქამდე მართებული ეგონა, არსებითად, უმართებულო იყო. ქმრის ნახატების ზეგავლენით ქალი თავს უბედურად გრძნობდა ან, უფრო ზუსტად, თავს აიძულებდა, ელიარების უბედურების გრძნობა, რომელიც თითქოს ყოველთვის მასში ბრუნობდა. ამასთან, ქმრის ერთი ნახატი ძალიან მოეწონა: მზით განათებული კოხტა არყის ხეები და მათი საოცარი სიმშვიდე და უბინობა თითქოს გულისხმობდა შეშლილობის, როგორც ერთგვარი თავშესაფრის არსებობას. სხვა მხატვრებისგან განსხვავებით, დ. არ ხატავდა საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობიდან გამომდინარე და არასოდეს დაუშვია არავითარი თავისუფლება, რომელსაც თითქოს აკანონებდა მისი თვალთახედვის საზოგადოებრივი ფასეულობა. ასე რომ, დ.-მ ამ მარგინალურ პერსპექტივას თითქოს შემთხვევით მიავიგნა და ეზიარა მის უუფლებობას, მის უსიტყვო და უძლიერ არსს, თუმცა შეძლო, ის ხმით აღეჭურვა.

ადრეული ნახატები ნაცნობ-მეგობრების დიდი, გამჭვირვალე და რამდენადმე ნაივური პორტრეტები იყო. მათი სისადუნე და სიმეტროლობა თითქოს მონიშნობდა, რომ დ.-მ გულწრფელად ხატვა სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც სამყარო თავდაყირა შეატრიალა. შეიძლებოდა ვინმეს ეკითხა, რატომ ხატავდა დ. თავდაყირა პორტრეტებს, მაგრამ პასუხი იმდენად აშკარა იყო, რომ ნებისმიერი

ბავშვისთვისაც უეჭველი გახლდათ. ამიტომ შინაძეგობა ითქვას, რომ ნახატებში ასახულ ცოდნას უკვე ფლობდა ადამიანი, რომელიც მათ უყურებდა. შემდგომ დ.-მ დაიწყო ხატვა რთული პეიზაჟების, რომლებშიც ბუნება თითქოს ყვავოდა, თითქოს მეტყველებდა ადამიანის ძალმომრეობისგან თავისი განთავისუფლების შესახებ, იმის შესახებ, რომ ფხიზლობდა ურთიერთმონაცვლე რიყრაჟების განმავლობაში, რათა თანდათან უფრო საჩინო გამხდარიყო. ეს უბინო ბუნება, თავისი მდუმარე ხეობრივი სისრულით, ვერ იცნობიერებდა თავის სრულ ინვერსიას და სწორედ ეს უბინობა და სრული ინვერსიის გაუცნობიერებლობა იძლეოდა საშუალებას, რომ ერთმანეთისგან გამიჯნულიყო სურათების გამომსახველობით ფასეულობა იმისგან, რაც მათზე იყო თითქოს ასახული.

არავინ ლაპარაკობდა იმაზე, მართლაც ხატავდა თუ არა დ. თავდაყირა შეტრიალებულ სამყაროს თუ, უბრალოდ, თავდაყირა ატრიალებდა თავის სურათებს და დასრულებისას ხელს აწერდა. პირველი ვარიანტი დასტურებდა საოცარ ტექნიკურ ოსტატობას, მეორე უფრო ნააგავდა აბსურდულ ფანდს, რომლის ხორცშესხმას სულ რაღაც ნიმიე წუთი დასჭირდებოდა. მაგრამ დ.-ს არ ეკითხებოდნენ ამის შესახებ არც საჯაროდ და არც კრიტიკულ სტატიებში, რომლებიც ეძლეოდა მისი შემოქმედების ამ რადიკალურ ეტაპს. თუმცა, ზოგჯერ დ.-ს ცოლს ეკითხებოდნენ, რადგან მისთვის სულელური კითხვების დასმისა არ ეშინოდათ. შედეგად, ქალი მიხვდა, რომ ხელოვნებაში (და არა მარტო ხელოვნებაში) ჭეშმარიტებისთვის შეიძლებოდა მდუმარედ აველოთ გვერდი. არ ბრაზობდა, რადგან ამ გზით გაცილებით მეტს იცებდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ სწორედ ასე ნადგურდებოდა ყოველივე ღირსეული. დ. მთელი არსებით ეთანხმებოდა მას. ქალი ხვდებოდა, რომ ქმარი გულწრფელად ელაპარაკებოდა თავისი მხატვრული მანერის შესახებ; განუმარტავდა თავდაყირა ხატვის სიძნელეებს, რომლებიც შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ ფოტოგრაფირების მეშვეობით. მოგვიანებით დ.-მ უარი თქვა ფოტოგრაფირებაზე და მისი სურათები კიდევ უფრო დიდი, უფრო ფანტასტიკური და უფრო აბსტრაქტული გახდა. საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის სინამდვილეში ადამიანის ცხოვრება, ესოდენ რთულად არავის დაუსვამს. დ. ხშირად ხატავდა საწოლში, უზარმაზარ შავ ზეწარზე მოკუნტულ ადამიანს, ხოლო სურათის ზედა ნაწილში, ჩარჩოსთან, მგლოვიანი კაცის პატარა ფიგურა მოჩანდა.

დ. ფიქრობდა, რომ მხატვრობა ქალების საქმე არ იყო. ასე წარმოიშდებოდა. მისმა ცოლმა იცოდა, რომ ამ აზრს ადამიანთა უმრავლესობა იზიარებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დ. თავის შეხედულებას აშკარად გამოთქვამდა. ქალი ფიქრობდა, იქნებ ჩემმა მუდმივმა ერთგულმა და მხარდაჭერამ მიიყვანა ამგვარ აზრამდეო. ცოლის გარეშე დ., რა თქმა უნდა, მხატვარი მანაც იქნებოდა, მაგრამ ვერ იქნებოდა მამაკაცი. გაუჭირდებოდა ცხოვრება ოჯახის, ბავშვების გარეშე, არ ექნებოდა შემოქმედე-



ბთიო მუშაობისგან დასვენების საშუალება, უფრო სწორად, ამ დასვენების მავნე შედეგებისგან მალევე დაიღუპებოდა. ამიტომ დ.-ს ცოლი ფიქრობდა, რომ სინამდვილეში, მისი ქმრის აზრით, ქალები ვერ იქნებიან მხატვრები, თუკი მხატვრობას მამაკაცები აირჩევენ თავიანთ საქმიანობად. ერთხელ დ.-ს ცოლი თავისი ქმრის სახელოსნოს ეწვია სტუმართან, მწერალ ქალთან ერთად და ორივე გააოგნა თავდაყირა დახატულმა ტილოებმა. მომინდა, თავდაყირა ვწეროო, მღელვარებით ნამოიძახა მწერალმა. რასაკვირველია, დ.-მ ეს ახირებდა მიიჩნია, მაგრამ მისმა ცოლმა ფარული კმაყოფილება იგრძნო, რადგან, მისი აზრით, ის რეალობა, რომელიც დ.-მ ესოდნენ ბრწყინვალედ ასახა თავის სურათებში და რომელიც სრულად შეესაბამებოდა ქალის თანმხლების რეალობას (გარდა მისი მორალური ძალის სრული ინვერსიისა), გამოსატყვევდა ქალთა სქესის საიდუმლოსა და ტრაგედიას. მწერლის კილოში თითქოს წყნა იგრძნობოდა - შესაძლოა, მინიშნება უსამართლობაზე - ისე, თითქოს ის სწორედ ახლა მიხვდა, რომ რალაც წაართვეს. დ. არ გახლდათ პირველი მამაკაცი მხატვარი, რომელმაც ქალები უკეთ ასახა, ვიდრე, ალბათ, მათ შეეძლოთ საკუთარი თავის ასახვა.

ბინის მფლობელმა ქალბატონმა გვთხოვა, სხვაგან გადავსახლებულიყავით, რადგან უეცრად მოუნდა თავისი ბინის დაბრუნება. ეს სურვილი დაუყოვნებლივ უნდა დაგვეკმაყოფილებინა, თუმცა არ გვეგულებოდა სხვა ბინა, სადაც დასახლებას შეეძლებოდა. იმ ბინაში ერთ ნელზე მეტი ხანი გავატარეთ და ჩვენი სასწრაფო გასახლების შემდეგ ქალბატონი ზოგჯერ მოულოდნელად გვირეკავდა, რათა ეკითხა, როგორ ხართო. ცდილობდა, ლაღად და მეგობრული კილოთი ელაპარაკა, მაგრამ თვით ეს დარეკვები მონიშნავდა, რომ თავს დამნაშავედ გრძნობდა.


ბინაში ეკიდა მდიდრული სამშენისებით მორთული და მოოქრული სარკე, იმდენად დიდი, რომ ირეკლავდა არა უბრალოდ ადამიანს, რომელიც მასში იხედებოდა, არამედ ამ ადამიანს, როგორც დიდი სურათის ნაწილს. ეს სარკე ძალზე მოკვავლდა. მისი დაკარგვა კომპასის დაკარგვის ტოლფასი იყო. საოცარია, ორიენტაციის რამდენად ღრმა შეგრძნებას ზადებდა. ზოგჯერ მცირედენ ცვლილებას შეუძლია დაარღვიოს ვეება სტრუქტურა, ისე, როგორც ეს მოხდა ამ ქალბატონის ბინაში. ჩვენი გამგზავრების შემდეგ შეგვატყობინეს, რომ ქალბატონი დიდხანს არ დარჩენილა თავის ბინაში. როგორც ჩანს, იმედგაცრუება იგრძნო და ამიტომ დაბრუნდა ახალ სამყოფელში. ახლა ბინა ცარიელი იყო. შესაძლოა, ქალბატონი ეძებდა თავისი უწინდელი ცხოვრების ნაკვალევს ამ ბინაში - სურდა, დაეინყებოდა ახალი ცხოვრება, რომელსაც ახალ ადგილას ეწეოდა. მაგრამ ძველ ბინაში, როდესაც ქალბატონი იქ მოხვდა, უწინდელი ცხოვრების ნიშან-წყალი აღარ დაარჩენილიყო. ძველი ცხოვრების წესს შეენაცვლა ახალი ცხოვრება, რომელსაც ქალბატონი ახლა უნდა შეჰყუებოდა.


რამდენიმე კვირის განმავლობაში სხვადასხვა

ბინაში ვცხოვრობდით. ჩემოდნები არც კი გავიხსენია. ჩვენითვის უცნობი იყო ეს ქალაქი, ეს ქვეყანა, ეს ენა. ქალბატონის ბინა ნაავაგდა ნავს უკიდგანო ოკეანეში, ახლა კი ამ ოკეანეში ვტივტივებდით. ძველ ბინაში, სადაც ქალბატონის უამრავი ნივთი იყო, თავს სრულიად უზიფათოდ ვგრძნობდი ამ ნივთებს შორის; ისინი დიდად არ მომწონდა, მაგრამ შევბას მგვრიდა არა მარტო საკუთარი გემოვნების უგულუბეყოფა, არამედ სხვა ადამიანის გრძნობელობაში ჩაძირვა. მაგრამ ასეთივე თვითუარყოფა სხვა ბინებში მზარდ მშფოთვარებას მაგრძნობინებდა. დიდხანს ვცხოვრობდით პატარა ცარიელ ბინაში, სადაც ჩვენი ზედა მეზობელი სწრაფად და განუწყვეტილოდ ბოლთას სცემდა მთელი ღამეების განმავლობაში და ერთგვარად ვიზიარებდი ამ უხილავი უცნობის მღელვარებას, რომელიც თითქოს ჩემი საკუთარი - გასული წლის განმავლობაში დათრგუნული - მღელვარება იყო. ერთადერთი მართკუთხა სარკე ეკიდა სააბაზანოში, ნიჟარის თავზე, ხოლო შემოსასვლელი კარი ფოლადის რამდენიმე მძიმე კლიტით იკეტებოდა: "მე"-ს განცდა მაშინვე უფრო შეზღუდული და უფრო მოწყვლადი გახდა. ხშირად ვფიქრობდი ჩვენ მიერ დატოვებულ სამშობლოზე, ჩვენს საკუთარ სამშობლოზე, რომელიც ნებაყოფლობით დაეტოვეთ.

რამდენიმე ღამე გავატარეთ სახლში, სადაც საქება დაზიანებული იყო და პალტოებს ვერ ვიხდიდით. გარეთ წვიმდა. შინ ისე ციოდა, თითქოს კვლავ ზამთარი დაბრუნდა. ადამიანებს ეძინათ სადარბაზოებში, ხიდებქვეშ და მინისქვეშა გადასასვლელებში, ზოგჯერ კი - კარებში, რომლებსაც ტროტუარებზე შლიდნენ. გამვლელი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მათი ეგოიზმისადმი მიმართულ ამ "საყვედურებს". ჩვენი უცხონი ამ ქვეყანაში, შესაძლოა, სხვაგვარად აღვიქვამდით მათ. ჩვენი სამშობლოც ეძინათ სადარბაზო შესასვლელებში; აქ მეტი დრო გვჭირდებოდა, რათა არ გვეფიქრა მათზე.

ბინებს ვიცვლიდით, სანამ გაზაფხული დაბრუნდებოდა, ხეები შეიფოთლებოდა და ქუჩები კვლავ გამოცოცხლებოდა. როდესაც ქალაქში გაზაფხულის კაჟკაჟა მზის ქვეშ ვესიერნობდით, მიუსაფრობასთან ერთად დროდადრო თავისუფლებასაც ვგრძნობდით. ბოლოს და ბოლოს, ვიპოვეთ საცხოვრებელი - შევიძინეთ საკუთარი ბინა, რომელიც რამდენიმე კვირაში უნდა გაეთავისუფლებინათ ძველ პატრონებს. ახლა, როდესაც ვგუქნდა ნავსაყუდელი, ჩვენი ჭეშმარიტი გრძნობები, რომლებზე ზეგავლენა მოახდინა გამოცდილებამ, უფრო აშკარა, უფრო თვალსაჩინო და მძაფრი გახდა. ერთგვარი ბრკე - უბინოება ან, შესაძლოა, უბრალოდ, უმეცრება - ჩამოგვცოლდა. წარმოვიდგენდით ხოლმე ცხოვრებას აქ, ამ ქალაქში, შემდეგ კი ამ ხილვის ხორცშესხმას ვცდილობდით. და აქ წარმოსახვამ თითქოს გააშინველა ის, რაც არ ვიცოდით რეალურსადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ. წარმოსახვით შექმნილი ეს სატყუნი დროდადრო გაილეებად ხოლმე ჩვენ თვალწინ იმ პერიოდებში, როდესაც ჩვენივე გეგმების რეალიზაციისას არ-





ღვეოდა თანმიმდევრობა ან ლოგიკა.

ერთ დილას, როდესაც წყნარ მზიან ქუჩაში მივდიოდი, სადაც მაგიდებთან მიმსხდარი ადამიანები ყავას შეექცეოდნენ, ვილაც უცნობი მომვარდა და თავში ღონივრად ჩამარტყა. თავდამსხმელი ქალი იყო, რომელიც შეურაცხად მდგომარეობაში იყო შეშლილობის ან ნარკომანიის გამო. ის, რომ თავდამსხმელი ქალი იყო, მანვედა, როდესაც შემდგომ ამ ამბავს ვყვებოდი და ზეგავლენა მოახდინა ჩემს რეაქციასზეც: ავაზაკის მოახლოება ვერ შევამჩნიე და თავის დასაცავად ვერ მოვემზადე. გონდაკარგული, დასისხლიანებული, ძირს დავეცი. მისივე ბრბო შეგროვდა: ქუჩაში, მაგიდებთან მჯდომი ადამიანები ფეხზე წამოხტნენ, ყვიროდნენ და ხელებს იქნევდნენ; ქალმა ამ აურზაურით ისარგებლა და გაიპარა. ქუჩის კუთხეში შეჩერდა და მოტრიალდა - ასე იქცევა ხოლმე მხატვარი, როდესაც რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს, რათა დატკბეს თავისი ქმნილებით. შემდეგ მუშტი მოგვიღერა და გაუჩინარდა.

გავიფიქრე, თავდამსხმელმა მომკლა-მეთქი, მაგრამ ცოცხალი გადავრჩი და აღმოვაჩინე, რომ შემქმლო დამეკავშირებინა ეს ფაქტი სხვა მოვლენებთან და განცდებთან, რომელთა უმრავლესობა, ასე თუ ისე, ჩემი ბიოლოგიური (მდედრობითი) სქესიდან გამომდინარეობდა. ჩვეულებრივ, ამ ქალურ განცდებს მივაკუთვნებდი ალტერნატიულ ან მეორე "მეს", რომლის როლი მდგომარეობდა მათ დათრგუნვასა და დაოკებაში, რომ ზეგავლენა არ მოეხდინათ ჩემს ამჟამინდელ ცხოვრებაზე. დუბლიორის მსგავსად, ამ მეორე "მე"-მ თავის თავზე აიღო გამოკონილი, ფიქციური არსების შექმნის რეალური რისკი და მის მოწყვლადობას, სავარაუდოდ, ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ იმ მოულოდნელ თავდასხმას ჩემი დუბლიორი არ მოელოდა.

თვით ჩვენი ახალ ბინაში გადასვლის შემდეგაც ვერაფერი დავივიწყე და გონს ვერ მოვკვებ იმის გამო, რაც მოხდა. მწუხარება, რომელსაც განვიცდიდი, თითქოს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მარცხის, გადამწყვეტი დარტყმის შედეგი იყო. ვერაფრით მოვიწინე თავდასხმა, რომელიც ერთდროულად მეხსიერებაშიც ჩამრჩა და მის გარეთაც იყო: თითქოს ყელში გამეჩხირა და შეუძლებელი იყო მისი გადაყლაპვა ან ამონახედი. ის რამდენიმე წამი განუწყვეტლივ წარმოუდგებოდა ხოლმე ჩემს შინაგან თვალთახედვას, რომელიც თითქოს ხაფანგში იყო გაბმული და იქიდან თავს ვერ აღწევდა. საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იყო ჩემი მკვლელი, რატომ დამესხა თავს, რის განადგურება სურდა ჩემში, თანდათან უთმობდა ადგილს აზრს იმის შესახებ, რომ ის, რასაც განვიცდიდი, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა წარმოსახვის დამარცხება ძალმომრეობის მეშვეობით.

როდესაც ბინის მფლობელმა ქალბატონმა კიდევ ერთხელ დავვირეკა, ერთგვარი ავადმყოფური სიამოვნებით ვუამბე ყველაფერი. რა საშინელებაო, წამოიძახა. შევნიშნე, რომ საუბარი ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად დაასრულა და მივხვდი,


რომ მეტად აღარ დავვირეკავდა.

დ.-მ გადაწყვიტა, თავისი ცოლი თითქმის კლასიკური მანერით, შიშველი ნატურის სახით დაეხატა, მაგრამ ნახატები ქაოსური და ბნელი იყო: ინვერსიამ არა მარტო არ გაათავისუფლა და სუბექტურობისგან, არამედ თითქოს გააშვიფლა მისი მინაგანი უკეთურება, კრისტალიზებული სიძულვილი, რომელიც მიმართული იყო ცოლისადმი და, იმავდროულად, ანადგურებდა მას. ქალის დანახვა შეუძლებელი იყო, ყოველ შემთხვევაში, ქმრისთვის; მათ ქორწინებაში იყო ერთგვარი სისასტიკე, რომელმაც განადგურა აღქმის უნარი. უჩვეულო არ გახლდა ის, რომ თავდაყირა ნახატებში ძალმომრეობა იყო ხორცშესხმული, მაგრამ ეს იყო ძალმომრეობა, რომლის შესახებ დ.-მ უკვე იცოდა: მან მეშვიდობით მიიღო ის, შეეძლო ეპასუხა მასზე, ზოგჯერ კი მისი მსხვერპლი ხდებოდა; მაგრამ ნამდვილად არ სურდა, რომ მსხვერპლად ქცეულიყო.

დ. და მისი ცოლი სტუმრად ეწვივნენ მხატვრის მამას, რომელიც სოფლად, მოხუცებულთა თავმჯდომარის პატარა ჩახუთულ ოთახში ცხოვრობდა. ძნელი იყო მისი მონახულების მიზეზის მოძიება, რადგან თავშესაფარი ახლოს არ მდებარეობდა არც მათ სახლთან და არც იმ ადგილებთან, სადაც დ.-ს და მის ცოლი ხშირად დადიოდნენ. მაგრამ ოდესღაც მამის გავლენა დ.-ზე იმდენად ძლიერი იყო, რომ ბედისწერას ნაგავდა. წლების განმავლობაში დ. და მამამისი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ და ამ გაუცხოებაში მამა მილიანად დ.-ს ადანაშაულებდა, მაგრამ ამით თითქოს საცხებით კმაყოფილი იყო. ეს თვითკმაყოფილება დ.-ს ყველაზე მეტად ანამებდა. მას ვაგონილი ჰქონდა ისტორიები ადამიანების შესახებ, რომლებმაც დანაშაული გამოისყიდეს სიკვდილის მოახლოებისას ჭეშმარიტების გაცხადებით. დ. ფიქრობდა, რომ მამამისი არასოდეს მოკვდებოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში თავის დანაშაულზე ვერ გამოისყიდდა. და, აი, მამამ მიიწვია დ. თავის ჩახუთულ ოთახში, თითქოს საცაა, მოკვდებოდა. დ.-ს იქ მისვლისა ეშინოდა. სჯეროდა, რომ მამას შეეძლო მოეკლა ის, განადგურებინა, ისევე, როგორც ოდესღაც შექმნა. მამამ დ.-ს ცოლად თქვა, მე მივალ და ვინახულებო. საოცარი იყო ცოლმეორელი სიყვარულის ამგვარი დადასტურება, რის იმედიც დ.-ს უნინ არასოდეს ჰქონია. ახლა ქალი ყოველთვის თან ახლდა ხოლმე ქმარს ამგვარი ვიზიტების დროს.

სახეანთილებული მამა იცავდა ფანჯარასთან, რომელიც გადაპყურებდა მოძველებულ მრგვალ მდელოს, ამოსასვლელ ბლიკსა და კლანკილ გზას, რომელიც კვეთდა სახლის წინ გადაშლილ ველს. მდელობის ცენტრში ფოთლებდაცვენილი ტირიფი იდგა. როდესაც მამამ შვილი და რძალი დაინახა, მოშორდა ფანჯარას, სადაც ზამთრის მზე მინაზე ეომეტრიულ ფიგურებს ხატავდა. მამის მრისხანე ანთილებული სახე თითქოს ამ ფიგურების მიღმა იყო ჩაკეტილი, მაგრამ ახლა ის გაუჩინარდა. მინა ლაპლაპებდა. მოგვიანებით, მათი ვიზიტის დროს, მამა რამდენჯერმე მივიდა ამ ფანჯარასთან, რათა





გარეთ გაეხედა. ეს თითქოს ერთგვარი ინსტინქტი ან მესხიერებით ნაკარნახევი იძულებითი ქცევა იყო, ისე, თითქოს იძულებით მიჰქონდა მოგონებათა ტვირთი ფანჯარასთან.

ოთახი მეორე სართულზე იყო. იატაკზე დაფენილ ბაცი ყავისფერი ხალიჩა ქიმიური სუნით ყარდა. ოთახში, ასევე, სიბერის მომჟავო სუნი იგრძნობოდა. წყნარი ამინდი იყო. ფანჯრის მიღმა, ერთგვარი უძრავი სცენის ცენტრში, დაცვენულ ფოთლებში იდგა შიშველი ტირიფი, რომელიც ახლა ზემოდან ჩანდა. ჩახუთულ ოთახს ზამთრის მზის სხივები ანათებდა. მამა ტყავის სავარძელში, პირით ფანჯრისკენ იჯდა. ოთახის კუთხეში იდგა ტელევიზორი, მაგრამ სავარძელი მისკენ ზურვით იყო მიბრუნებული. მამა არ უყურებდა ტელევიზორს. სავარძლის გვერდით, პრიალა ხის მაგიდაზე დაკეცილი ვაზეთი იყო. მამას გამხდარ სხეულზე ეკვრებოდა პერანგი, რომელიც სავარძლის შარვალში ჰქონდა ჩატანებული. ნელზე ქამარი ეკეთა. ტანსაცმელი სხეულზე ეკიდა, მაგრამ სხეული ჯერ კიდევ მკვრივი ჰქონდა. ერთთავად გაოცებული გამოუმეტყველებით იყურებოდა. მას მონანილობა ჰქონდა მიღებული რამდენიმე ბოროტმოქმედებაში და დ-სთვის მხოლოდ მათი ნაწილი იყო ცნობილი. შვილს ხშირად ეჩხუბებოდა, რაც დ.-ს მესხიერებამ შემოინახა. ეს მოგონებები არ შეცვლილა და არ ნაშლილა მესხიერებიდან - შეიცვალა მხოლოდ მამა, რომელიც დრომ გაანადგურა. ახლა დ. მზად იყო ეპატივბინა დამისთვის ის, რასაც ეს უკანასკნელი ოდესღაც ეუბნებოდა და ისიც, რასაც ის სწადიოდა, თუმცა მოგონებები პირადი მესხიერების სფეროში იყო, ნამოქმედარი კი - ყველასთვის ხელმისაწვდომი ჩანანერების სფეროში. მაგრამ მათი ურთიერთგამიჯვნა დ.-მ ვერ შეძლო და ორივემ ერთად მისი სული ისეთი წყვდიადით აავსო, რომ ინსტინქტურად სურდა, ისინი თავიდან ამოეგლიჯა და შორს მოესროლა.


დ.-ს ცოლი უხმაურად მოძრაობდა ოთახის მეორე ბოლოში - ყავას ხარშავდა. იქ უფრო ბნელოდა და ქალის ფიგურა უცნაურად ციმციმებდა ფანჯრიდან ირიბად შემოჭრილ შუქზე. ზამთრის მზე ცაზე დაბლა იდგა და მისი უძრავი თეთრი სხივები ზოლებად ეცემოდა კარადებს, კედლებსა და თვით ქალსაც. აქ, ამ პირქუმ ოთახში უეცრად თავი იჩინა ისეთივე გაუცხოება, როგორც იგრძნობოდა დ.-ს სურათებში შიშველი ნატურით. ცოლის თავისუფლებამ, რომელიც ესოდენ არასრული და უსიამოვნო იყო, დ.-ზე დამთრგუნველი ზეგავლენა მოახდინა.

ქალი დ.-სგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით იმყოფებოდა და დამოუკიდებლად მოქმედებდა, რაც მხატვარს თავის არასრულფასოვნებას აგრძნობინებდა. მაგრამ ცოლი არ იყო არც დ.-ს ლტოლვის საგანი, არც მტოქე და ვერც ძალით გაუტოლდებოდა. ის, უბრალოდ, დ.-ს თანამგზავრი იყო; ის იდგა იქ, სულ რამდენიმე ფუტის მანძილზე, მიდრეკილებების, საჭიროებების, მარტივი ყოველდღიური მოთხოვნილებების ტერიტორიაზე. და მაინც, ქალი შეიძლებოდა სასურველი ყოფილი-

ყო - მაგალითად, მამა მონკურული თვალეზით ვალიერებად რძლის სხეულს, რომელიც შუქისა და წყვდიადის ალერსიან ზოლებს შორის მოძრაობდა. რატომ არ იყენებდა ქალი თავის ძალას საჭიროებისამებრ? როდესაც დ. ცდილობდა ცოლის დანახვას, ის ხედავდა, უბრალოდ, იმას, თუ რა გავლენას ახდენდა მასზე, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავის თავს ხედავდა. სხვა მამაკაცი ამ ქალის შეხედვისას რალაც სხვას დანიახავდა - რაც ქმრისთვის აუტანელი იქნებოდა. აუტანელი იყო, რომ ქალს შეეძლო, მხედველობის უნარი წაერთმია ქმრისთვის, ყველა დანარჩენისთვის კი ხილული ყოფილიყო. როდესაც დ. ცოლს უყურებდა, ხედავდა თავის სექსუალურ მარცხს, რომელიც მათი სხეულების ძალასა და უნარებში საზოგადოების, თვით ცივილიზაციის ჩარევით იყო გამოწვეული. შესაძლოა, მამაკაცები ყოველთვის ხატავდნენ შიშველ სხეულებს ისევე, როგორც ძალმომრეობით ქმედებებს სწადიოდნენ - იმისთვის, რომ დაემტკიცებინათ: მათი გაბედულება გადაურჩა მორალისა და კანონების ზეგავლენას.

მამა მონოტონური კილოთი ლაპარაკობდა, რომელიც სიბერეში გაითავისა. ეს იყო მარტოობის უნდელი კილო. დ.-ს ცოლი მამამთილს მარტივ შეკითხვებს უსვამდა, პასუხი კი შეიძლებოდა თხუთმეტი წუთის განმავლობაში გაჭიანჭრულიყო. მოხუცი თანაბარი ინტონაციით ლაპარაკობდა. მისი ხმა უწყვეტად მოძრაობდა საგანთა ზედაპირზე და ისე ათანაბრებდა მათ, როგორც ტანკი აბრტყელებს და მტვრად აქცევს ხოლმე მინას. ახალგაზრდობისდროინდელი კუთხური კილო, რომელიც ენერგიული მონიფულობის ასაკში გაქრა, ახლა მის ხმაში კვლავ ისმოდა. ამ კილოში დ.-ს ესმოდა თვით ისტორიის პრობლემა, მისი ბნელი დანატოვარი, რომელიც მზაკვრულად ეანდერძა მიამიტ ახალ თაობას.

დ.-ს ცოლმა ყავით სავსე ფინჯნები მოიტანა და დაბალ მაგიდაზე დადგა, შემდეგ დ.-ს გვერდით ჩამოჯდა პატარა მკვრივ სავარძელზე. საშუალებას აძლევდა თუ არა მისი ამაზრუნენი თავისუფლება, თავისუფალი ყოფილიყო ისტორიისგან და წარსულის გამო პასუხისმგებლობისგან? რა იმეკვიდრა წარსულისგან, რაც მას დროის მდინარე-ბასთან აკავშირებდა? მამა უყურებდა მათ, გვერდიგვერდ მსხდართ. დ. და მისი ცოლი ახლა თხზავდნენ რეალობას, რომელიც ადვილად წასაკითხი იქნებოდა, განსხვავებით მისი ცოლის ხატისგან, რომელიც რამდენიმე წუთის წინ, სამზარეულოს კარადებს შორის, ველური ცხოველივით ზოლებიანი იყო. საკითხმა ქალის არასაკმარისი თვითრეალიზაციის შესახებ - ასე ვთქვათ, არასაკმარის მცდელობათა შესახებ - ახლა კიდევ უფრო აშკარად იჩინა თავი, ისევე, როგორც დ.-ს არასაკმარისმა გაბედულებამ. ასეთი იყო ინვერსიის აღმოჩენის მისეული საფუძვლები, რადგან სინამდვილე ყოველთვის უკეთესი იყო, ვიდრე მისი ასახვის მცდელობა და ჭკუშარიტებას, რომელიც მთლიანად მდგომარეობდა აღქმის აქტში, შეეძლო გაეძლიო ამ მცდელობისთვის. დ.-მ უდიდესი შუება იგ-



რძნო. ხვალ, როდესაც შინ ვიქნებით, ახალ სურათს დაგხატავო, ალუთქვა მან საკუთარ თავს.

მას შემდეგ, რაც თავში დამარტყეს, რამდენიმე კვირის განმავლობაში მინდოდა, საპასუხოდ მეც დამერტყა. ისე, თითქოს ძალმომრეობა რეალური ობიექტი იყო, რომელიც გადმომცეს და რომელიც სხვისთვის უნდა გადამეცა. რაც გადავიცი, მეტ-ნაკლებად ზუსტად ის იყო, რაც თვითონ განვიცადე. დარტყმა თითქოს სრულიად არ შეცვლილა, მას შემდეგ, რაც ჩემში გაიარა. ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ არ ვგრძნობდი, არ მაინტერესებდა ჩემი საქციელის შედეგები. გამახსენდა, რომ ჩემი მკვლელი შემობრუნდა, როდესაც უზიფათო მანძილზე აღმოჩნდა, რათა დაენახა ის, რაც მოიმოქმედა.

შაბათ-კვირას ბერლინში გავმგზავრეთ, მხატვარ ლუიზ ბურჟუას ბოლო ნამუშევრების გამოფენის სანახავად. მუზეუმის მაღალი, ღია კარების მიღმა, სადაც დარაჯი იჯდა და ბილეთებს ამონებდა, ჩანდა მხატვრის ერთ-ერთი უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც ჭერქვეშ ეკიდა - ადამიანის უპიროვნო ფიგურა, სახის გარეშე. ეს ჰაერში დაკიდებული უსქესო ფიგურა თითქოს დაპბრუნებოდა თავდაპირველი უზიფათის მდგომარეობას, რომელიც ასევე ტრაგიკული იყო, თითქოს ამ დაკიდებულ, თვლელმარ მდგომარეობაში ვინმინდებით სქესის ძალმომრეობისგან, ვთავისუფლებით მისი შეცოდებებისა და უსამართლობებისგან, იმისგან, რომ ცხოვრებისეული ისტორია ამ დიაბოლური ძალით იმართება. მხატვრის ქალსურობას თითქოს შეეძლო ადამიანი სქესისგან განეძარცვა.

თავდასხმის შემდეგ სულიერ და ფიზიკურ სისუსტეს ვგრძნობდი. შესაძლებლის საზღვრები გადაადგილდა და სამყარო ახლა სხვა ადგილად იქცა. მისი თვისებები ინვერსირებული იყო: "მე" და მისი ლტოლვები შეიკვეცა და ძალა დაკარგა, ხოლო გარე სამყარო, რომელიც გარდაუვად საშიშროებასა და ქოსს მიქადა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ვხედავდი, როგორ უდარდელად ცხოვრობდნენ ადამიანები და არც კი ვარაუდობდნენ, რა შეიძლებოდა შემთხვევით ნებისმიერ წუთს. შესაძლოა, ამ ტრანსიდან მათი გამოყვანის იმპულსის ზეგავლენით გამიჩნდა დარტყმის სურვილი. მრავალი წლის განმავლობაში პირველად გავიფიქრე დაბადების სისასტიკის შესახებ, როდესაც თითქოს სარკეში შევედი და მოვხვდი ახალნარმოქმნილი სიცოცხლის ადგილას, იმ ადგილას, სადაც სიტყვები არ არსებობდა. ვხედავდი, რომ ჩემი ნაწილი - დუბლიორის როლი - იქ დარჩა, მაგრამ ახლა ჩემი დუბლიორი დღის სინათლეზე გამოვიდა. ახლა მე კი არა, ის ატარებდა საკუთარი თავის ნიღბს.

რა თქმა უნდა, ასეა-მეთქი, გავიფიქრე, როდესაც გონს მოვედი და მივხვდი, რომ ქუჩაში ვეგდე, ტკივილისგან თვალი მიბნელებოდა და ვერ ვხვდებოდი, როგორ აღმოვჩნდი იქ. შექანიკურად ცვდილობდი გამეგო, რა მოხდა, სად ვიყავი, ისე, თითქოს სრულ სიბნელეში, უცნობ ოთახში გამეღვიძა - თითქოს სამყარო, რომელსაც ვერ აღვიქვამდი, თავდაყირა გადაბრუნდა და ჩემი ცნობიერების ამო-

ცანას წარმოადგენდა ამის გამოსწორება. ეს აუტანელი ძალისხმევა, ეს აუცილებლობა, დამედგინა ჩემი ადგილი სივრცესა და დროში, შემეტანა ლოგიკა ჩემს რთულ მდგომარეობაში, ძალზე უბადრუკი იყო. ბრბო შეგროვდა და თავდაპირველად თითქოს უბრალოდ მათვალისწინებდნენ, ისე, როგორც ათვალისწინებენ სურათს მუზეუმში. ჩემს რეაქციას ელოდებოდნენ: მათ სჭირდებოდათ ეს, რათა შემდეგ თვითონ დაეწყოთ მოქმედება. ინსტინქტურად უგულვებელყოფდნენ ძალმომრეობას, თავს იკატუნებდნენ, თითქოს არაფერი დაენახათ. რეალობას უნდა დავბრუნებოდი. გავიფიქრე, რომ, შესაძლოა, ავტომანქანა დამეჯახა ან ზედა სართულებიდან გადმოვარდნილი რილაც მძიმე საგანი დამეცა. მაგრამ ქუჩა ქვეითად მოსიარულეებისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო ქვაფენილი ცარიელი და სუფთა იყო. შემდეგ გამახსენდა ქალი, რომელსაც თვალი მოვკარი მანამ, სანამ მივტრიალდებოდი, რომ მეორე მხარეს გადავსულიყავი. ის ჩემ წინ იდგა ტროტუარზე, დროებით მოაჯირის გვერდით, რომელიც წინ ნასვლის საშუალებას არ იძლეოდა. ნამიერად შევხედე, შემდეგ კი ინსტინქტურად შევტრიალდი, თავაზიანობის გამო, რათა უხერხულობა არ ეგრძნო და როდესაც ეს გამახსენდა, გავიფიქრე, ჰო, რასაკვირველია-მეთქი.

მჯეროდა თუ არა, რომ საქციელი - დარტყმა - ჩემი ბრალი იყო, მამაკაცის ამგვარივე საქციელისგან განსხვავებით? გაუგებარი იქნებოდა, რატომ უნდა დაერტყა ჩემთვის მამაკაცს, ვერ ვიპოვიდი მიზეზს, რომლის გამოც უნდა დაერტყა და ამ მიზეზის პოვნა ჩემი მოვალეობა იქნებოდა, ისევე, როგორც ახლა ჩემი მოვალეობა იყო ნელ-ნელა წამოდგომა. მაგრამ რატომ დამარტყა იმ ქალმა? ალბათ, ქალის ბუნებისთვის დაბახასიათებელმა აგრესიამ დამარტყა. ეს იყო დუბლიორის სფერო-აგრესია, რომელიც ჩემში დაიბადა და ახლა დუბლიორმა თითქოს რეალურ ადამიანურ არსებაში შეისხა ხორცი.

ლუიზ ბურჟუას გამოფენაზე ეს აზრი სხვადასხვაგვარად იყო ხორცშესხმული. იქ, ჭერზე დამაგრებული ნათურების მქრქალ შუქზე, სიჩუმეში, ოთახებში, რომლებსაც კარები ერთიმეორის მიყოლებით იღებოდა, სულ უფრო ღრმად ვწვდებოდი ხელოვანის ფარულ არსს, შემოქმედების კავშირს ცხოვრებასთან, რომელიც ერთდროულად ბავშვურიც იყო და ველურიც. აქ საღი აზროვნება და შეშლილობა ერთმანეთს არ უპირისპირდებოდა. ეს იყო გასულიერებული მატერიის ორი მხარე, ნერტილი, რომელშიც ცნობიერების არსებობა სხეულის, სუსტანციის განადგურებას ნიშნავს. ხელოვნება, რომლის საფუძველი შეშლილობაა, საღ აზროვნებად გადაიქცევა; ეს მატერიაა, სხეულია შეშლილი. მიწის ვიტრინის მიღმა ორი უთავო მოქსოვილი თიხის ერთმანეთს ეხვეოდა; სხეული, რომელიც ინსტინქტისა და მოთხონილებების ზეგავლენით მოქმედებს, ვერ აცნობიერებს საკუთარ მორალურ აბსურდულობას. მაგრამ ქალის სხეულს სჩვევია საგანგებო შეშლილობა, ობობას შეშლილობა, რომ-



ლისთვისაც არ არსებობს ზღვარი მატერიალურ და არამატერიალურ "მე"-ს შორის. პატარა მოქსოვილი თოჯინა მისი პანანინა ვარდისფერი "შვილით", უბრალოდ, ევოლუციის შედეგად, გარდაისახება შავ ობობად, რომელიც მოლოდინში გაშეშებულია. ეს საზარელი და მდუმარე ობობა თითქმის გამო-ნაგონია, მეტამორფოზის პროდუქტი, ისე, თითქოს უჩინრად გამოიჩეკა კიდევ უფრო დიდი გამო-ნაგონის შიგნით და მოთმინებით იკვებება მისი ილუზიებით. ის განასახიერებს ყველაფერს, რასაც უარყოფს და უკუაგვებს ქალურობა, ყველაფერს, რად კვლავინდებურად ბნელი და განგრძობითია მისი ცვლილების ვულკანური ციკლის მიღმა და მაინც უცნობი რჩება.

გამოყენა წარმოადგენდა ძაფებისა და ქსოვი-ლების მემორიალს, ნაცხოვ ტაძარს. როგორ შეიძ-ლება, ქვაში უკვდავყო ქალურობა, ქალის სქესი, რომლის საფუძველი განმეორებაა, ოღონდ არა მუდმივი განმეორება. მისი ელემენტები დროებითაა, მაგრამ მარადიულია თავიანთ განმეორებაში, ისევე, როგორც - თვით ძალმომრეობა. ამ აზრის ფონზე ნათელი გახდა, რომ ჩემი მკვლელის საქცი-ელში შემოქმედების ელემენტი მონანილობადა. სა-ნამ ვიჯექი პოლიციელის გვერდით, რომელმაც მი-მიყვანა ტროტუარზე დადგმულ ერთ-ერთ სკამ-თან, კაფეს პატრონი გამოვიდა და ჭიქით წყალი მომანოდა. ეს ქალი გულისხმიერი და კეთილი იყო, წუწუნებდა, ქუჩებში უამრავი არანორმალური, სუ-ლით ავადმყოფი, ნარკომანი დადიო. მითხრა, რომ ჩემი მკვლელი სამი დღის განმავლობაში ყიალებ-და იქ და წინა დღეს ვილაც ქალს ზუსტად იმ ადგი-ლას და ზუსტად ისევე დაარტყა, როგორც - მე. ტროტუარის ეს კვადრატი, სადაც დროებითი მოა-ჯირი იდგა, ჩემი მკვლელის სტუფია იყო - ის აქ გა-ნუწყვეტილივ ამზადებდა რაღაცას და რამდენიმე მცდელობა დასჭირდა, რომ სწორად დაემზადები-ნა. მის ქცევას არავითარი აზრი არ ჰქონდა - შეშ-ლილის ქცევა იყო - მაგრამ ჩემთვის სავსებით გა-საგები გახლდათ.

დ.-ს ცოლს სტიკია მუცელი, სტიკია ზურგი. სკამიდან სწრაფად ადგომისას თემოში გამჭოლ ტკივილს გრძნობს. ზოგჯერ, დილაობით, ხელები უკანკალებს, როდესაც ყავის ფინჯანი უჭირავს. ასე წარმომიდგენია. თავისი სხეულის ჩივილებს მშვიდად, შიშის გარეშე აღიქვამს. საპასუხოვად, თავს აიძულებს, ყოველდღე სწრაფად იაროს სახლის მახ-ლობელ მიწვევებსა და ტყეებში; ვარჯიშობს და საგანგებო დიეტას იცავს; ყიდულობს ტანსაცმელს, რომელიც ათბობს და ამშვიდებს, წვება ხოლმე თბი-ლი წყლით გაცხებულ აბაზანაში; სადილის შემდეგ ისვენებს. ხშირად ის და დ. მოგზაურობენ სამხრეთ-ში და ქალი ისორტავს მზის შუქს, ზღვის სურნელს, სანამ თვითონაც სხივმიწარე გახდებოდეს. ნე-ბისყოფისა და თვითდაჯილდოების წყალობით მი-სი სხეული ატარებს დღეებს. მათი აკუმულაცია ერთგვარი ფარული ისტორიაა, დღიურია: ქალი მე-უშინველად მეტ-ნაკლებად მუდმივ ყურადღებას უთმობს საკუთარ თავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მი-

სი ღირებულება უმნიშვნელოა. შვილები ხალხი და-დეები არიან და ქალი იხსენებს მათ ისტორიას დალ-ლილობის გრძნობითა და გაოცებით, ისე, როგორც გადამდგარი გენერალი იხსენებს ხოლმე თავს გა-დამხდარ ბრძოლებს. ის კვლავ ქალად რჩება, მაგ-რამ ბოლო დროს ეს ფაქტი ერთგვარ იძულებას ან წინააღმდეგობას აწყდება: დამშვენებისა და გა-ფურჩქნის ნაცვლად მისი ხიბლი თავის თავში იკე-ტება. მისი სხეული უკვე არავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენს.

ქალი დღხანს უსხლტებოდა დ.-ს მიერ მისი შეცნობის მცდელობებს. ერთგვარი უძღურება - შესაძლოა, თავაზიანობის ან ყურადღებიანობის ფორმა - ხელს უშლიდა დ.-ს, სრულად დაუფლებო-და ქალს, რომელიც თავს არიდებდა ამ მცდელო-ბებს, თუმცა, არსებითად, უნდოდა, რომ ქმარი მარ-თლაც დაუფლებოდა მას. თითქოს ქალის ბრალი იყო, რომ ქმარი ვერ ეუფლებოდა მას; შესაძლოა, დ.-ს ცოლს ქალური მომხიბვლელობა აკლდა. მაგ-რამ დაუფლების არსი ისეთი არ იყო, როგორც ქა-ლი ფიქრობდა. საერთოდ, ძნელია ცხოვრება ადა-მიანთან, რომელიც ესოდენ ბევრს ხედავს იმაში, რასაც უყურებს. ქმრის მზერას თითქოს ბოლომდე უნდა შთაენთქა ქალი. ამგვარად, ის ფაქტი, რომ დ. არ და ვერ ეუფლებოდა ცოლს, აღაშფოთებდა ქალს. სურათები შიშველი ნატურით ამ ორთაბრძოლის ერთგვარ ასახვას წარმოადგენდა. ქალის გაუცხო-ება, რომელიც მას მიჯნავდა ქმრისა და, ერთგვარ შავ სივრცეს წარმოქმნიდა მათ შორის: ქალს თით-ქოს ღირსება აკლდებოდა. და მაინც, სურათებში იყო მიჯნა, რომელსაც დ. თვითონ ვერ გადააბი-ჯებდა. ზოგჯერ, როდესაც ძილმორეული ქალი ქმრის გვერდით იწვა, ფიქრობდა თავისი თავის სახტზე, რომელიც შეეძლო შეეთავაზებინა დ.-ს. მხატვარს სურდა ქალის ასახვა თავის ტილოებზე, მაგრამ ჯერჯერობით ეს საშიში, სარისკო იყო თვით მისთვის.

როდესაც ქალმა პირველად გაიგონა ორმაგი პორტრეტის შესახებ, დიდად არ შემოფოთებულა. პი-რიქით. ქმარი ჩიხიანად გამოსავალს სთავაზობდა. სურდა, დაეხატა ცოლი, რომელიც სავარძელში მის გვერდით იჯდა. ქალს აინტერესებდა, რას უამბობ-და დ., როდესაც მის გვერდით იჯდებოდა. ვარაუ-დობდა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა ნაკარნახევი იყო გულწრფელობისადმი მისწრაფებით და ამიტომ ქმრის გვერდით თავისი ადგილი დაიკავა სავარ-ძელში. მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ დ.-ს არ ეს-მოდა, როგორ მოექცა ცოლს თავისი შიშველი ნა-ტურის სურათებით, არ იცოდა, რომ რაღაც მოჰპა-რა ცოლს. სურათზე ქალი საკმაოდ შეუხებელი იყო და დ.-მ არ იცოდა, როგორ სტიკიოდა გული ქალს, როდესაც მას ულამაზოდ მიჩინევდნენ და რომ ქმა-რი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც მოვალე იყო, ცოლი ლამაზ არსებად მიეჩნია. ორმაგ პორ-ტრეტზე ასახული იყო მათი მზით განათებული სას-ტუმრო ოთახი. კედლებზე გაკრულ შალღურზე თეთ-რი და ცისფერი ყვავილები ეხატა - ქალი დარწმუ-ნებული არ იყო, რომ ჭეშმარიტად ხედავდა ამ ყვა-



ვილებს, სანამ მათ თავდაყირა დაინახავდა და შემჩნევედა მათ მკრთალ და შემეშფოთებელ სილამაზეს. ავეჯი ცოტათი გამოსუნებული და ბინძური იყო. სავარძლის ბალიშები - დაჭმუჭნილი. მზე თითქოს ისრუტავდა ენერგია ამ ოთახიდან, თუმცა კი ანათებდა მას. უკანა პლანზე მოჩანდა მაღალი, მქრქალი ფანჯრები. ცენტრში იყო ორთავიანი ურჩხული: დ. და მისი ცოლი - ისეთივე მოჭმუჭნილები და გამოხუნებულიები, როგორებიც იყო ბალიშები, რომლებზეც თინის ისხდნენ. ხელიხელჩაკიდებულიები ისხდნენ. თიხაჩეჩილი და ულაზათოდ ჩაცმულნი. ქალი თითქოს დატყვევებული იყო.

დ.-მ ცოლს შესთავაზა, მეორე პორტრეტისთვის გაშიშვლებულიყვნენ. ქალს შეეძლო, უარი ეთქვა, მაგრამ მისი მდგომარეობა ამის საშუალებას არ აძლევდა. იმ დროისთვის დ.-მ მნიშვნელოვანი ქონება დააგროვა, სახელი და დიდება მოიპოვა, ხოლო ქალის, როგორც დ.-ს ცოლისა და თანამგზავრის სტატუსი უფრო მნიშვნელოვანი გახდა. მის მოვალეობას წარმოადგენდა ქმრის დახმარება - არაფერი, თვით შვილებისადმი სიყვარულიც კი არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც მოვალეობის გრძნობა, რომელსაც ის ქმრის წინაშე განიცდიდა. დ.-ს წარმატება - მისი მონაპოვარი - ცოლის წარმატებაც იყო ან, უფრო სწორად, ქალმა უარი თქვა საკუთარ წარმატებებზე, საკუთარ ცხოვრებაზე. მთელი თავისი სიცოცხლე და ენერგია ქმარს მიუძღვნა და ამიტომ მისი ნაწილი - მისი ძალა - თავისთვის მოითხოვა. ამ მხრივ, ის თითქოს არ განსხვავდებოდა ნებისმიერი სხვა დიასახლისისგან: ახლა მიხვდა, რომ ჭეშმარიტი განსხვავება მასა და სხვა დიასახლისებს შორის ქმრის დამსახურება იყო.

დ. ხატავს ორმაგი შიშველი პორტრეტების რიგს და როდესაც მათ უყურებს, ქალი ხედავს თავისი წარუმატებელი ცხოვრების ხატს. ზუსტად ისევე, როგორც ცოლი წარმოადგენდა დ.-სთვის გარე სამყაროს წვდომის საშუალებას, ახლაც ის იყენებს ცოლს ერთგვარ ფარად, რომლითაც დროის თავდასხმას უმკლავდება. მიუხედავად ამისა, იგულისხმება, რომ მათი თანაცხოვრება ბოჭავდა დ.-ს სულს. რაღაც კომიკური შეიმჩნევა დ.-ს მზაობაში, თავი ამ წველის ნახევრად წარმოიდგინოს. მაგრამ სასაცილო - ქალია. ქმრის გვერდით მჯდომი, ის თავდაყირაა დახატული.

პორტრეტები ისე უფრო დიდი და აბსტრაქტული ხდება: ორი მომიჯნავე ფიგურა ნანევრდება ფორმებად, ჩრდილებად, რომლებიც ხან ქრება, ხან კი კვლავ თავს იყრის სურათის სიბრტყეზე. ქალს ესმის, რომ, შესაძლოა, დ.-მ სიცოცხლის ბოლომდე გააგრძელოს ამ ორმაგი პორტრეტების ხატვა. ესაა მისი გვიანდელი ნამუშევრები, სიბერის დროინდელი მელანქოლიური სიმღერა და საზოგადოება მათ უფრო მეტი ენთუზიაზმით ხვდება, ვიდრე ოდესმე. რადგან ეს გულახდილობა დროისა და სიკვდილის წინაშე - ისაა, რაც მისთვის ყველაზე უფ-

რო ძვირფასია. ის ფაქტი, რომ ქალი თვითონაც აღბეჭდილია ამ სურათებში - დ.-ს ორიგინალურობის უტყუარი ნიშანია. ალბათ, დ. რაღაცას უფულებელყოფს, როდესაც ცოლს თავის გვერდით ხატავს - სიამაყეს თავისი მამაკაცურობის, მამაკაცური იდენტობის ეგოსისტური საფუძვლის გამო. ეს ხანდაზმული ბურჟუაზიული წყვილი, რომელიც სამუდამოდ განწირულია ნებაყოფლობითი მონობისთვის - ისტორიის რიგითი მსხვერპლია.

ზოგჯერ ქალაქში თითქოს ყველა ბავშვი ყვიროდა, ლურჯი სიკვდილი<sup>1</sup> - ქუჩაში, პარკში, ავტომანქანების ფანჯრებიდან. ეს არ იყო ბავშვური ყვირილი, არამედ შემზარავი ყვირილი დახრჩობისა და ნამების შესახებ, წინასწარმეტყველთა ყვირილი, რომლებიც ჭკრეტენ აუნერულ შიშს, რომელიც საცაა შეგვიპყრობს. ძნელი იყო ამ მოთქმის ბგერების წყაროს დადგენა, რომლებიც ყველგან ისმოდა. როგორ შეეძლოთ პატარა არსებებს, ასე ეხმაურათ?

ხშირად ყვირილი აღწევდა ჩემს ფანჯრამდე ახალ ბინაში, სადაც ვწერდი მხატვარი ქალის, პაულა მოდერზონ-ბეკერის შესახებ, რომელიც ოცდათერთმეტი წლის ასაკში მშობიარობას გადაჰყვა. მის შიშველ ავტობიოგრაფებში შეინიშნება გაბედულება, რომელიც ახლა თითქოს მიუწვდომელია არა იმის გამო, რომ ამჟამად დედებისთვის უფრო ადვილია შემოქმედებითი საქმიანობა, არამედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტებამ უჩუმრად მიატოვა ეს არენა და უცნობია, დაბრუნდება თუ არა, და როდის დაბრუნდება. საგნის ჭეშმარიტი შინაარსი გარდაუვალ იდუმალებასა და სიზუსტეს უკავშირდება. შეიძლება თუ არა, ოდესმე წარმოვიდგინოთ მარადიულის ელემენტი ქალურობის განცდაში როგორც უფრო მეტი, ვიდრე ინტერნალიზებული მდგომარეობაა? ეს შესაძლებელია უნდა მდგომარეობდეს თვით ქალის სხეულში, რადგან შეიძლება ითქვას, რომ ქალი-მხატვრის წინაშე მკაფიო არჩევანი დგას: ან დაეთანხმოს მამაკაცურ ობიექტურობას და აღიარებულ იქნას "საპატიო" მამაკაცად, ან იმთავითვე განაცხადოს თავისი ქალურობისა და შესაბამისი თემების შესახებ. გასაოცარია სიცხადე, რომლითაც მოდერზონ-ბეკერი ირჩევს მეორე გზას და განიცდის მის შედეგებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას სრულად არ ესმის, სახელდობრ, რას ირჩევს: ინსტინქტი ხელმძღვანელობს. ინსტინქტისადმი დამორჩილება - საგაფგებო თავისუფლება, რომელსაც მივანერო ხოლმე მამაკაც მხატვრებს და თვით ხელოვნების ქმნილებას. ამ ინსტინქტსა და შემოქმედებით აქტივში შეიმჩნევა თვითგანადგურების ელემენტი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ყველაფერი წინასწარ ცნობილია: ქალი თავს აღწევს შეფარდებით უსაფრთხოებას და გამოდის თავისი უკანონობის სამყაროში.

<sup>1</sup> "ლურჯი სიკვდილი" - ასე უწოდებდნენ ე.წ. "ესპანურ გრიპს", რომელიც 1918 წელს გავრცელდა მთელ მსოფლიოში და იმსხვერპლა ოცი მილიონი ადამიანი.

დავით მაზიაშვილი

# სათადარიგო ჰამლეტი

წარსული არასდროს კვდება. მეტიც, ის წარსულიც კი არაა.  
ულიამ ფოლკნერი

*The Past is never dead. It's not even past.*  
William Faulkner




2023 წელს, ბრიტანეთის, ამერიკის თუ მთელი მსოფლიოს წიგნის მალაზიების დახლები პრინცი ჰარის მემუარებში გაივსო. "სათადარიგოს" ("Spare") გამოცემას ბრიტანეთის ისტორიით, კულტურით, პოლიტიკითა თუ თანამედროვეობით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო სპექტრი ელოდა. ბაკინგემში განვითარებული არაერთი სკანდალური მოვლენის შემდეგ, ყველას აინტერესებდა, რას დაწერდა უფლისწული დედოფალ ელისაბედზე, დედაზე, მამაზე, ძმაზე, ბაბუაზე და ზოგადად სამეფო ოჯახზე. წიგნის პოპულარობა იმანაც განაპირობა, რომ ის, ასე ვთქვათ, "ინსაიდერის" თვალთ გვიჩვენებს, ერთ-ერთ ყველაზე დახურულ და პოპულარულ სამეფო ოჯახს, რომლის მიმართ მსოფლიოს ინტერესი, ნეთფლიქსის სერიალის, "გვირგვინის" (The Crown) გარდა, 2022 წელს დედოფალ ელისაბედ II-ს დაკრძალვის ცერემონიალამაც ცხადყო.

ინგლისის და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, სასახლიდან გამოსული ყველაზე ცნობილი

და ტრაგიკული ამბავი ალბათ შექსპირის "ჰამლეტი", რომელიც დღემდე ლიტერატურისა და თეატრის სამყაროს განსჯისა და განხილვის თემაა. შექსპირის დროს სწორედ თეატრი იყო წიგნის მალაზია, პრესა, ტელევიზია, კინო თუ სერიალი, სადაც იმ დროინდელი საზოგადოება სასიყვარულო, პოლიტიკურ თუ რელიგიურ ამბებს იგებდა. სათაგურის სცენაში, თავად ჰამლეტიც ხომ მსახიობებით და სპექტაკლით ადგენს სიმართლეს?! თუმცა, ჰორაციოა ის პერსონაჟი, რომელიც ასაჯაროებს ჰამლეტის ელსინორში დატრიალებულ, ბურუსით მოცულ ისტორიას:

*"ოჰ, ჩემო კარგო ჰორაციო, რა საზიზღარ სახელს დავტოვებ, თუკი ეს ამბავი არ გამჟღავნდება. მაშ თუ როდისმე გყვარებივარ, რამდენიმე ხნით განშორდი მუდმივს ნეტარებას, ტანჯვით იცხოვრე და ამ კრულ მიწას მიმოჰუხინე ჩემი ამბავი."*  
(მოქ. V სურ. 2)

1 აქ და ყველგან "ჰამლეტის" ციტატების თარგმანი ივანე მაჩაბლისა.



ხოლო მოგვიანებით, ელსინორსა და დანიის ტახტს დაპატრონებული ფორტინბრასი ბრძანებს:

“უბრძანეთ, ოთხმა ასისთავმა ჰამლეტის გვამი მალლა საკაცეს აასვენოს, როგორც სარდალი. მას რომ ხელმწიფედ, ტახტზედ ჯდომა

დასცალდებოდა,

ეჭვი არ არის, განაგებდა დიდებულებით. უნდა მიაგონ დამარხვის ფამს მხედართ პატივი და სამარემდე მიაცილონ გლოვის მუსიკით...

(მოქ. V, სურ. 2)

შესაბამისად, შექსპირის “ჰამლეტის” ჩვენამდე მოსული ვერსია, სწორედ ფორტინბრასის მხარდაჭერით, ჰორაციოს მონაყოლია. ისევე, როგორც მეფე შენრი VIII-ს მიერ თომას მორისთვის დაკვეთილი “რიჩარდ მესამის ისტორია” (1513), რომლის მიხედვით შექსპირმა, ამავე სახელწოდების პიესა დაწერა და “რიჩარდ მესამის საზოგადოება” დღემდე ცდილობს ბრიტანეთის მეფის სახელის რეაბილიტაციას.

ბაკინგემის, უინძორის, სენტ ჯეიმზის, ბალმორალისა თუ კენსინგტონის სასახლეში მიმდინარე ისტორიები, ახალი დრამების, ტრაგედიებისა თუ კომედიების გენეზისია და ფაქტია, რომ შექსპირის შემოქმედება ბრიტანეთის სამეფო კარის “გენეტიკურ კოდად” იქცა. უინძორების სამეფო ოჯახის ისტორიები შექსპირის ბევრ პიესას მოგვაგონებს, მაგრამ დღეს ალბათ ყველაზე მეტად “ჰამლეტს”, რადგან პრინცი ჰარის მემუარები ბაკინგემის ელსინორიზაციას გვაგაზობს.

პრინცი ჰარის წიგნი, ელიოტის “უნაყოფო მიწის” მსგავსად, აპრილის ერთ დღეს, უინძორების სასახლეში, ფროგმორში, ორი გარდაცვლილი ადამიანის გახსენებით იწყება. პირველი ჰარის ბაბუა პრინცი ფილიპია, მეორე კი დედა - პრინცესა დაიანა. პრინცი ჰარის მთელი წიგნი, როგორც ფიქრები, ჰამლეტის ყოფნა-არყოფნის მონოლოგის მსგავსია. საგვარეულო აკლამის წინ მდგარ უფლისწულს, გარდაცვლილი დედა - პრინცესა დაიანა, როგორც ზმანება სულ თან სდევს, რომელსაც სიტყვა Earendel-ს (ციხკრის ვარსკვლავს), სხივს, სინათლეს, სამყაროს დასაწყისს აღარებს (Prince Harry 2023: 3). ეს ფაქტორი წიგნის არაერთ ეპიზოდში ჩანს, მათ შორის უილიამის და ჰარის საუბარში:

“Then he said something extraordinary. He said he thought Mummy was here. Meaning...among us. (Prince Harry 2023: 316).

“შემდეგ უილიამ უჩვეულო რამ თქვა. მისი აზრით, დედა აქ იყო. იგულისხმა, რომ ჩვენს შორის იყო...”<sup>2</sup>

ჰარისაც, ჰამლეტით ყველასთვის სათაყვანე-

ბელი მშობელი უკვდება. მამა ჰამლეტის მსგავსად, პრინცესა დაიანას სიკვდილიც კონსპიროლოგიური ვერსიებითაა გააფლენილი. ჰამლეტის დედის - გერტრუდის მსგავსად, დაიანასაც სხვა კაცთან ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობა, ხოლო ჩარლზმა, დაიანას გარდაცვალების შემდეგ, ცოლად შეირთო კამილა პარკერი, რომელიც წლების განმავლობაში კლავდიუსივით დაიანას კონკურენტი იყო. წიგნში ჰარი წერს, რომ ის და უილიამი მამამისს ევედრებოდნენ, რომ კამილა ცოლად არ შეერთო. თუმცა, სწორედ ამ დროს ჩაირთო პრესაში კამილას “ქორწინების კამპანია” (Prince Harry 2023: 41). ჰარის ამგვარი მოგონებები კი ჰამლეტისა და გერტრუდის დიალოგის არაერთ ეპიზოდს გაგვახსენებს:

“...სადა გქონდა შენ ეგ თვალები? ვით დასტოვე ეს მშვენიერი მთის საძოვარი და ამ მყრალ ჭაობს მიაგენი გამოსაკვებად?! სად გქონდა-მეთქი ეგ თვალები? სიყვარულს ხომ

მოიმიზეზებ; ხომ იცი, რომ შენს ხანში სისხლი მიყურებულები არის და ჭკვას ემორჩილება. მე რე რა ჭკუა უნდა იყოს, ეს აირჩიოს და ის უარჰყოს!...”

(მოქ. III, სურ. 4)

მართალია, უილიამი და ჰარი დედის გარდაცვალებაში კამილას არ ადანაშაულებდნენ, თუმცა, ჰარი, წიგნის არაერთ ეპიზოდში აღნიშნავს, რომ საზოგადოება პირიქით ფიქრობდა და ძმებს არ სურდათ, რომ მამის ხელახალი ქორწინებით პრინცესა დაიანასა და კამილას შედარებებზე ემსჯელათ:

“A wedding would cause controversy. It would incite the press. It would make the whole country, the world, talk about Mummy, compare Mummy and Camilla, and nobody wanted that. Least of all Camilla” (Prince Harry 2023: 41).

“ქორწილი დავიდარაბას გამოიწვევდა. პრესას წააქეზებდა. მთელს ქვეყნიერებას ალაპარაკებდა დედაზე, დედასა და კამილას შედარებაზე, რაც არავის გვსურდა. ყველაზე ნაკლებად ეს კამილას სურდა”.

ჰარის ეს სიტყვები, ჰამლეტისა და გერტრუდის საუბრის სხვა ეპიზოდს მოგვაგონებს:

“ის ავაზაკი, კაცისმკვლელი, უმსგავსო მონა, შენის პირველის მეუღლისა ფრჩხილის არღირსი, მეფე-მასხარა, სახელმწიფო ტახტის მპარავი, ჯიბტესამდეები უძვირფასეს დიადემისა...”

(მოქ. III, სურ. 4)

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოაღნიშნულმა,

<sup>2</sup> ციტატების თარგმანი წიგნიდან “სათადარიგო” ეკუთვნის სტატიის ავტორს.



ჰამლეტის მსგავსად, ჰარიზეც დიდი ფსიქოლოგიური გავლენა-შოკი მოახდინა. ამას ნიგნში თავად ჰარიც ადასტურებს ფსიქოთერაპევტთან ვიზიტების მოგონებების ეპიზოდში (Prince Harry 2023: 310). ჰარისაც, დედამისის მსგავსად, ჟურნალისტები და პაპარაცები პოლონიუსივით უთვალთვალებდნენ, რომ გაეგოთ რა ხდებოდა უფლისწულის თავს დედის გარდაცვალების შემდეგ. ჰარი აღნიშნავს, რომ დედის სიკვდილს წლების განმავლობაში ვერ იჯერებდა. დაიანა სიზმრებში ელანდებოდა, მისი დაბრუნების ნიშნებსა და გზავნილებს, შექსპირის "იულიუს კეისარში" რომის ქუჩებში მოსიარულე ლომის მსგავსად, ხან ლეოპარდის, ხანაც მელიის გამოჩენაში ხედავდა.

შექსპირის შემოქმედებასა და სამეფო ოჯახის ბიოგრაფიას შორის პარალელებს თავად ჰარიც არაერთხელ ავლებს. მაგალითისთვის რამდენიმე ეპიზოდის მოყვანაც კმარა.

1. ნიგნის დასაწყისში, ჰამლეტის ცნობილი მონოლოგის ჰარისეული ირონიული პერიფრაზია: "To be or not to be, that was the question..." ("წევრი თუ უწევროდ, საკითხავი აი ეს იყო") (Prince Harry 2023: 2), ხოლო მოგვიანებით, "undiscover'd country, from whose bourn no traveller returns" ("იქ რა იქნება, იქ, იმ ბუნელსა და უცნობ მხარეს, სადით არც ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება") (Prince Harry 2023: 399). ანდა მეგანთან წერილის მისაწერად წარმოთქმული რიჩარდ მესამესეული სიტყვები: "My kingdom for a biro" ("ჩემს სამეფოს ერთ კალამში ვაძლევ") (Prince Harry 2023: 282).

2. მამის, ჩარლზის შექსპირის გაღმერთების შესახებ საუბარი და მისი უფლისწულ შალთან მსგავსება პიესიდან "ჰენრი V", ხოლო ჩარლზის დიდი ბიძის ლორდ ლუის მათნებტენის ფალსტაფის პერსონაჟთან პარალელები (Prince Harry 2023: 48). ასევე პიესაში "ჰენრი VIII", ელისაბედ I-სა და ელისაბედ II-ს შორის მსგავსება (Prince Harry 2023: 404).

რაც შეეხება ჰარის, მართალია, იტონის დრამის მასწავლებელმა მას კონრადის ეპიზოდური როლი უბოძა პიესაში "აურზაური არაფრის გამო" (Prince Harry 2023: 82), თუმცა, საკუთარი რეალობა მაინც ჰამლეტს დაუკავშირა:

"I opened Hamlet. Hmm: Lonely prince, obsessed with dead parent, watches remaining parent fall in love with dead parent's usurper...? I slammed it shut. No, thank you". (Prince Harry 2023: 59).

"ჰამლეტი" გადავშალე. ჰმმ: მშობლის სიკვდილით დამწუხრებული მარტოსული უფლისწული, თვალყურს ადევნებს როგორ შეუყვარდა დარჩე-

ნილ მშობელს გარდაცვლილი მშობლის უზურპატორი...?

წიგნი ხმაურიანად დავხურო. გამდლობთ, საკმარისია".

ასევე, აღსანიშნავია მამამისთან ერთად სტრათფორდში ნანახი "ჰამლეტი" და სპექტაკლიდან გამოყოლილი გერტრუდისა და კლავდიუსის ქორწინების შემდეგ კლავდიუსის სიტყვები, რომლებიც დედის, პრინცესა დაიანას დალუპვის თარიღს და მამის ქორწინებას ახსენებს:

"contracted in one brow of woe..." (Prince Harry 2023: 49).

"თუმცა ძვირფასის ჩვენის ძმისა მიცვალების დღე ჯერ თვალწინ გვიდგას და გვმართებს, რომ მწუხარედ ვიყოთ - მთელ სახელმწიფოს, ვით ერთ კაცსა,


გლოვა ეკუთვნის, მაგრამ გონება ჩვენი იბრძვის მწუხარებასთან და სხვა ვალსაც გვდებს - ჩვენს თავზედაც უნდა ვიზრუნოთ. ჩვენ აღვირჩიეთ და და რძალი ჩვენი მეუღლედ და ამ განთქმულის სახელმწიფოს მბრძანებელადა." (მოქ. I, სცენ.2)

ამ ამბების მთხრობელი კი, ჰორაციო-ფორტინბრასივით, ამერიკაში გადაცხოვრებული ჰარი და იქ დასტამბული მისი ნიგნია, რაც ეწველა კარტერის რომანის, "ბრძენი ბავშვების" სიუჟეტს მოგვაგონებს<sup>3</sup>. კარტერის რომანშიც აშშ ბრიტანეთის, შექსპირის, ანგლო-საქსური კულტურის თუ იმპერიის მემკვიდრეა. აშშ-ს ისტორია, ენა და კულტურაც ხომ ფორტინბრასივით დანიის<sup>4</sup> ანუ ბრიტანულ ფესვებზე დგას, ხოლო ჰარის გადაწყვეტილება, რომ მიეტოვებინა ინგლისი, გადაცხოვრებულიყო ჯერ კანადაში, ხოლო შემდეგ ამერიკაში, დე იურე დაეთმო და გადაეცა მათთვის მისი ტიტული და ყოველივე ნიგნში ამბად მოეთხრო, ჰამლეტის უკანასკნელ სიტყვებს მოგვაგონებს:

"... მაგრამ კი გეტყვი, რომ არჩევანი უნდა ერგოს სწორედ ფორტინბრასს. მე ჩემს მომაკვდავს ხმას მას ვაძლევ. ეს ასე უთხარ და მიზღუბიც აუხსენ, მას რად ვამჯობინებ." (მოქ. V, სურ. 2)

თუ გასულ საუკუნეებში მსოფლიო კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებას ბრიტანეთი მართავდა, დღეს ამას ამერიკა აკეთებს. მიუხედავად იმისა,

<sup>3</sup> იხ. ჩემი მონოგრაფია "შექსპირის პოსტმოდერნიზმი" (2021).  
<sup>4</sup> ფორტინბრასი დანიის სამეფო საგვარეულოს წარმოადგენა.



რომ ბრიტანეთი-ამერიკას, როგორც შექსპირთან დანი-ნორვეგიას, სტრატეგიული პოლიტიკური ურთიერთობა აქვთ, ფაქტია, რომ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და ძლიერი მონარქიის დეკონსტრუირების საფრთხე თანამედროვე რესპუბლიკური ზესახელმწიფოდანაც მოდის. მსგავსი კონკურენცია არა მარტო შექსპირის "ჰამლეტში" ორი ძმის - მამა ჰამლეტისა და კლავდიუსის, ანდა თანამედროვე ბრიტანეთში უფლისწულების უილიამისა (მემკვიდრის) და ჰარის (სათადარიგოს) სახით არსებობს, არამედ ის ანგლო-საქსური კულტურის ტრადიციაა, რომელიც ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის ოლივერ კრომველის ბრიტანეთში, რესპუბლიკანიზმსა და მონარქიას შორის სისხლიან დაპირისპირებაში გამოჩნდა. ამ ისტორიას ფანტასტიკურად აღწერს ჯონ მილტონი პოემაში "დაკარგული სამოთხე".

ამიტომ, დღეს, ტრადიციული ბრიტანეთის კულტურის, მისი იდენტობის, ისტორიის, ერთიანობის, რელიგიის და იმპერიის დამცველი და გარანტი სამეფო ოჯახია.

ასევე, სამეფო კარზე მიმდინარე ამბების გენეზისი, უინძორების დინასტიის უახლოეს წარსულშიც მოიძებნება. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ელისაბედ მეორის ბიძამ, ჰარის მსგავსად, ამერიკელი განათხოვარი ქალი უელის სიმფსონი შეირთო, მის სანაცვლოდ სამეფო გვირგვინი დათმო და მონარქობას ცოლის სახით რესპუბლიკანიზმი არჩია. აღსანიშნავია, რომ წიგნის დასაწყისში, ჰარი წინაპრების სარკოფაგთან ჰამლეტით მდგომი, დიდ ბიძას, გადამდგარ მეფე ედუარდს და მის ამერიკელ ცოლს იგონებს:

*"...or were they Nowhere, thinking Nothing? Could there really be Nothing after this? Does consciousness, like time, have stop?.. (Prince Harry 2023: 2).*

*"...თუ არარას შეერწყნენ, არაფერს ფიქრობენ? ნუთუ ყველაფრის შემდეგ მართლა შესაძლებელია არაფრის არსებობა? ნუთუ ცნობიერება, როგორც დრო ისე ჩერდება?..."*

რაც ისევ წიგნის მთლიან ფორმას, ჰამლეტის ყოფნა-არყოფნის მონოლოგსა და უფლისწულის უკანასკნელ სიტყვებს მოგვაგონებს: "სხვა რაღა დარჩა? საუკუნო სიჩუმე მხოლოდ" (მოქ.V, სურ.2).

მართალია, წიგნის დასკვნით ნაწილში ჰარი აღნიშნავს, რომ მას პრობლემა არა მონარქიის, დე-

დოფალ ელისაბედის, მისი ქვეყნის ანდა მონარქიული სისტემის კონცეფციისადმი, არამედ პრესასთან და სასახლის მასმედიასთან ურთიერთობის პოლიტიკის მიმართ ჰქონდა (Prince Harry 2023: 386), თუმცა, სამეფო ოჯახის პირადი და საზოგადო ცხოვრების მიმართ პრესის ინტერესი, თანამედროვე საზოგადოებაში მონარქიული სისტემის აქტუალობის განმსაზღვრელია, ხოლო გამოვლილი სტატია, ფილმი თუ სერიალი, მონარქიის და რესპუბლიკანიზმის დაპირისპირებული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. ისევე, როგორც ეს შექსპირის შემოქმედების სახით, ელისაბედისა თუ იაკობიაურის ეპოქის ბრიტანულ თეატრში იყო. მიუხედავად ჰარის ზემოაღნიშნული მოსაზრების, მისთვის ბრიტანეთის მონარქიის მომავალი სიკვდილთან, ხოლო ამერიკული რესპუბლიკა მომავალთან ასოცირდება:

*"Willy was still talking, Pa was talking over him, and I could no longer hear a word they said. I was already gone, already on my way to California, a voice in my head saying: Enough death - enough.*

*When is someone in this family going to break free and live?" (Prince Harry 2023: 400)*

*"უილი ისევ საუბრობდა, მამა მასთან ერთად მსჯელობდა, მათი ნათქვამი არცერთი სიტყვა აღარ მესმოდა. მე იქ აღარ ვიყავი, კალიფორნიის გზას ვადექი, ხმა ჩამესმოდა: საკმარისია სიკვდილი - საკმარისი.*

*ამ ოჯახში როდის მოახერხებს ვინმე გათავისუფლებას და სიცოცხლეს?"*

დღეს, ბრიტანეთის სამეფო ოჯახი პრინცი ჰარის პირადი და საზოგადო მოქმედებებით დიდი გამოწვევის წინაშე დგას. თუ 1936 წელს, სათადარიგო ჯორჯ VI მეფე გახდა, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქალიშვილი ელისაბედი ავიდა ტახტზე და მისმა ფიგურამ და ავტორიტეტმა ბრიტანეთში მონარქია გადაარჩინა (ყოველ შემთხვევაში, დღემდე მოიყვანა), დღევანდელი სამეფო ტახტის ყოფილი "თადარიგი" ჰარია. მართალია, ჰარის სახელიც ჰამლეტით "ჰ"-ზე იწყება, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი რედაქციით. ჰარის "ჰამლეტური" ტრაგედია თანამედროვე სამყაროში ფარსად გარდაიქმნება, რომელშიც ჰარის, ფორტინბრასის (ამერიკელი ცოლის) მიერ წახალისებული პორაციოს როლი აქვს. პორაციოს სახელიც ხომ ჰარივით "ჰ"-ზე იწყება?! ბებია, დედოფალი ელისაბედი და მამა, მეფე ჩარლზი ალბათ ამიტომ ეძახდნენ ჰარის სათადარიგოს, ხოლო შექსპირის სეზნიას - უილიამს, ტახტის მემკვიდრეს.

**გამოყენებული ლიტერატურა**  
 უილიამ შექსპირი, "ჰამლეტი", "საბჭოთა ხელოვნება", თბილისი, 1980.  
 Prince Harry, "Spare", Random House, New York, 2023.



# ელისაბედ გველესიანი “ტყის ჩეხა” - რომანი გასაღებით

თომას ბერნჰარდს მისი ნახევარძმა, პიტერ ფაბიანი, ბეთოვენის ადარებს: თუკი ბეთოვენი მეცხრე სიმფონიაზე უსმენობის მდგომარეობაში მუშაობდა, ბერნჰარდი სრულ შინაგან უსმენობაში იმყოფებოდა თავისი ნაწარმოებების შექმნის პროცესში - წერს. ფაბიანის თქმით, ბერნჰარდს არ ჰქონდა საკუთარი თავის შეგრძნების არანაირი უნარი. ის დისციპლინირებული ადამიანი იყო, რომელიც ახლობლების გარემოცვაში რაღაცნაირად მოწყვლად ტიპად იქცეოდა. ერთდროულად მოსიყვარულეც იყო და ყინულივით ცივიც.

ბერნჰარდის “ტყის ჩეხა” ფრანგული “roman a clef”-ის (რომანი გასაღებით) - ტრადიციას აგრძელებს, რადგან მასში ფიქციური პერსონაჟებისა და გამოგონილი ამბების მიღმა რეალური ადამიანები თუ მოვლენები ინიღბებიან. ტექსტში ავტორი ახალგაზრდობაში ამბიციუბითა და იდეალებით შეპყრობილ, შემდგომ კი “სოციალურ ფარისევლებად” ჩამოყალიბებულ პერსონაჟებს შემოიყვანს, მათთან ერთად კი მათივე ამბიციების ზუსტ საზომად რეალურ, ისტორიულ გმირებს (რიხარდ ვაგნერი, ვირჯინია ვულფი...) “ქმნის”. ცხადა, შემთხვევითი არ არის, რომ ტექსტში რეალური და გამოგონილი პერსონაჟები ერთმანეთში ირევიან. ალბათ, ეს სწორედ ის გასაღებია, რომელმაც უნდა მიგვანიშნოს, რომ რომანში ყველა პერსონაჟი ნამდვილია, ისინი თომას ბერნჰარდის სანაცნობო წრის, გარემოცვის წევრები არიან. ადამიანები, რომლებიც პერსონაჟები “შემთხვევით”, დაუკითხავად გახდნენ - ალბათ არც იცოდნენ, რომ როდესაც სალონური საუბრებით, ვახშმითა თუ თავიანთი ცოდნისა და მიღწევების წარმოჩენით ტკბებოდნენ, ამ დროს მათივე წრის წარმომადგენელი ჩრდილიდან აკვირდებოდა და ჩანანერებს აკეთებდა.

ბერნჰარდი ის შემთხვევაა, როცა მწერლის პიროვნების გაგება გვეხმარება მისი ტექსტის გაგებაში. ავტორის თვითიდენტიფიკაციის სირთულეები, სხვა ადამიანებისადმი დროებითად აღძრული და მალევე ჩამქრალი ინტერესი, მისი ასექსუალობა - ეს ყველაფერი რომანში - “ტყის ჩეხა” - ტექსტის მთავარი პერსონაჟის შფოთვით ფიქრებად ითარგმნა. მკითხველს თხრობის სტილიც არ დარჩება შეუმჩნეველი - ტექსტი პირველ პირობა დაწერილი, წინადადებები ზოგჯერ გვერდების ზომისაა, აზნაცები კი - თავებისა. თხრობის ტემპი ამოსუნთქვის და გვერდით გახედვის საშუალებას არ გაძლევს. ავტორი თითქოს შენგან სრულ მორჩილებას თუ არა, თანამზრახველობას მაინც ითხოვს - მარტივად შეიძლება აპყვე მთხრობლის აზრებს, რომელიც მკვეთრად კრიტიკულია ყველაზე და ყველაფრის მიმართ.


მოვლენები ავსტრიაში, ვენაში მიმდინარეობს. შესაძლოა, სიტყვა “მოვლენების” ნაცვლად მისი მხოლოდითი ფორმა - მოვლენა გამოვიყენოთ, ვინაიდან ისუეტით თავიდან ბოლომდე ერთ საღამოს ეძღვნება - შემოქმედებით ვახშამს ცოლ-ქმარ აუერსბერგე-



რებთან სახლში. ტექსტიც მთლიანად საღამოს მიმდინარეობას მიჰყვება, თუმცაღა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ფიზიკურად ცოლ-ქმარ აუერსბერგეების მისაღებ ოთახში, ყურებიან სავარძელში მჯდომი მთხრობლის ფიქრები შორეულ თუ ახლო წარსულში დაქრის, გადაუვლის ახალგაზრდობის სიხარულის, სიყვარულის ისტორიებს, მეგობრებთან ერთად გატარებულ დროს, გახსენებს მისი ახლახან გარდაცვლილი მეგობრის - ჯოანას დაკრძალვას, აღიდგენს იმ პერიოდსაც, როცა უყვარდა ის ადამიანები, ვინც ახლა მის გარშემო იმყოფებიან... აი, ისინი, ახლა, დროის ამ მონაკვეთში უეცრად, მოულოდნელად განსასჯელის სკამზე რომ აღმოჩნდებიან.

ავტორი აღწერს ვენის მაღალი საზოგადოების ცხოვრებას ისე, როგორც ერთი ადამიანის. გამოყოფს მის თვისებებს - ბერნჰარდის ალქმით, ეს ერთობა სიცოცხლით აღსავსე და მეგობრულია, მაგრამ, ამავე დროს, თვალთმაქცი და მანკიერებებით სავსე. ტექსტში აღწერილი საზოგადოება მართლაც სავსეა სიცოცხლის ელემენტებით - ის მზად არის ყველაფერში იპოვოს იგი - თავი შეიქციოს შემოქმედებითი საღამოებით, მუსიკითა და თეატრალური წარმოდგენებით, დრამატული მოვლენებით ან თუნდაც გასტრონომიულ სიამოვნებას მიეცეს. ხელოვნების რომელ და როგორ გამოვლინებებს არ შეხვდებით აუერსბერგერების სახლში, თუმცაღა იქ ვერსად იხილავთ ხელოვნობისგან დაცლილ ცხოვრებას.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ მთხრობელი აკრიტიკებს ყველას - თეატრში მოსიარულეებს, მსახიობებს და მათთვის ტაშის დამკრეველებს, მეუმდგარ კომპოზიტორებს და ახალგაზრდობაში ნიჭიერ, თუმცა, საბოლოოდ, უნიჭო გრაფომანებად შექმდარ ტიპებს, ფსევდო-ხელოვნებას და ფსევდო-ხელოვნე-



ბის თავყანისმცემლებს... ისინი, ყველანი აუერსბერგერების სახლში იყრიან თავს ავბედით შემოქმედებით ვახშამზე და დამკვირვებლად ყურებიან სავარძელში მჯდომი ძველი მეგობარი ჰყავთ მიჩენილი. ტექსტი იმითაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ ავტორის მსხვერპლი არამხოლოდ ვენის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები აღმოჩნდებიან, არამედ მთხრობელი განსასჯელის სკამზე საკუთარ თავსაც დევსამს.

მწერლის მიერ ყველასა და ყველაფრისადმი მიმართული კრიტიკა, მისი ნეგატიური ნარატივი, ნეგატიური თხრობა მკითხველს ეგზისტენციალური დაეჭვების მდგომარეობაში ავდებს. როგორ ვიცხოვროთ? რაშია გამოსავალი? ავტორმა კარგად იცის ადამიანური შეცდომების ღირებულება და ისიც, რომ ერთადერთი გზა სწორად ცხოვრებისა - არცხოვრებაა. მაგრამ მთავარი, ალბათ, მაინც სულ სხვა რამაა...

იმის განსაზღვრა, თუ როგორი ხარ სინამდვილეში, ერთ-ერთი ყველაზე რთული დავალებაა. ბერნარდო თითქოს მკითხველისგან ითხოვს საკუთარი თავის დანახვის, შეცნობის და გამოხატვის სიმამაცეს. მის პერსონაჟებს კი ერთადერთი ლტოლვა ამოძრავებთ, ერთადერთი ინსტრუმენტი - საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება და სოციალური, როლური სტაბილურობა. მაგრამ, მთხრობლის, როგორც დამკვირვებლის თვალის კარგად ხედავს რეალობას ამოშენებული ფასადის უკან. მეტიც, იმდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ტექსტის პერსონაჟები თავიანთ გამოვლინებულ რეალობაში ცხოვრობენ, რომ უკვე გაფერმკრთალდა ზღვარი მათი იდენტობის ასლსა და დედანს შორის. ამომშენებული ფასადი სინამდვილედ იქცა და პირიქით, სინამდვილე - ფასადად.

ტექსტს ეპიგრაფად ვოლტერის სიტყვები უძღვის: "რადგან ვერ შევძელი ადამიანების გონზე მოყვანა, ვარჩიე, მათგან შორს ვყოფილიყავი ბედნიერი". სიმპტომატურია ის ფაქტიც, რომ რომანის მთავარი პერსონაჟი ახალგაზრდობაში ღონღონში გაექცა თავის მკვიდრ ქალაქს. ვენაში დაბრუნების შემდეგ კი მუდამ ემალოდა იმ ადამიანებს, რომლებთანაც გაატარა ახალგაზრდობის წლები და რომლებთანაც აღარაფერი უნდოდა რომ საერთო ჰქონოდა. თუმცა სიმამაცე არ ტყუილ იმისთვის, რომ საბოლოოდ გაენწყობა ეგზისტენციალური კავშირი წარსულის ადამიანებთან ანუ სიმამაცე, რომ საკუთარი თავი მათგან დამოუკიდებლად ეპოვა და არა მათგან გაქცევის მცდელობაში. ეს შეუძლებლობა იქცა შიშად, შეიძლება ითქვას, თვითიდენტიფიკაციის შეუძლებლობის შიშადაც - რომ ნამდვილი არ ხარ, ნამდვილი საკუთარი თავი. სწორედ ამით აიხსნება მთხრობლის დაუნდობლობა, კრიტიკის ნაკადი, რომელსაც ის, პირველ რიგში, საკუთარი თავისკენ მიმართავს.

აქვე ერთი საგულისხმო ასპექტი - ალბათ, გამბედაობის ნაკლებობაა იმის მიზეზი, რომ მთხრობლის ცხოვრებაში სოუჟეტები ასე დაუსრულებლად და პერმანენტულად მეროდება. შემოქმედებით საღამოზე მისდაუნებურად, თითქოს შემთხვევით, ჩემი აზრით კი, გამიზნულად, ბედისწერის ძალით თუ მეტაფიზიკური ძალების ჩარევით, აღმოჩენილი მთავარი გმირი ისეთ სცენებს შეესწრება, რაც 30 წლის

წინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაგროვებული მოგონებების ასლებია. ამ წლების განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ დრო შეიცვალა, პერსონაჟები კი იგივენი დარჩნენ; მათი ამბიციები "პოზებად" ჩამოყალიბდა, ისინი მაინც "პროქნდენ" სახელმწიფოს მამამებელ სალიტერატურო ხელისუფლებაში", რადგან "გაუშინაურდნენ ვიღაც მინისტრებსა და დირექტორებს". შედეგად, ავტორისთვის კიდევ უფრო საძულველი და აუტანელი ხდება გარემო.

რომანში ყველა თავისი გზა აქვს რეალობისგან გასაქცევად, ზოგისთვის ეს მოჩვენებითი წარმატებაა, ზოგისთვის მუდმივად მეგობრების წრეში ტროალი და ფიქრის დროის შეზღუდვა. ბურგუატრის მსახიობი, რომლის პროფესიაც ნელ-ნელა მისი ცხოვრების სტილადაც იქცა, გვეტყვის, რომ "ბუნებაში, ტყეში გაქცევაშია" ხსნა. პერსონაჟთა ამ კლასისგან შეიძლება გამოვარჩიოთ გმირი, სახელად ჯოანა, რომელიც ახალგაზრდობის წლებშივე გაექცევა სოციალურ წნეხს და ნამდვილ, ავთენტურ სიყვარულში პოულობს შევასა. ის, ალბათ, ტექსტის ყველაზე ბედნიერი გმირია - ასეთია ბერნარდის ჩანაფიქრი. როგორი ფინალიც არ უნდა ელოდეს მას, როგორც ჩანს, მოახერხა და ცოტა ხნით მაინც შეიგრძნო ნამდვილი ცხოვრება...

ლიტერატურაში, საბავშვო ზღაპრებშიც კი, თუკი მთავარი პერსონაჟი ტყეში აღმოჩნდა, მისი თავგადასავალი, დიდი ალბათობით, ამ უკანასკნელთან იქნება დაკავშირებული. ერთი მხრივ, ტყე შეუცნობელია, ამ შეუცნობელში ჩაკარგვის და მისგან თავის დაღწევის მეთაფორაა, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის ყველაზე დაფარული, თვითონ მისთვისაც კი მიუღწეველი ადგილის, ქვეცნობიერის და მასში მიძინებული შიშებისა და კომპლექსების გამოშფურების სიმბოლო. იმ ტყიდან გამოღწევა, რომელიც მთხრობელი იმყოფება და რომელიც არა კონკრეტული პიროვნების, არამედ კოლექტიური ქვეცნობიერის სახე უნდა იყოს, შეუძლებელია, გზა მეტისმეტადაა ჩახლართული. ერთადერთი გამოსავალი, ტყის განადგურებაა, სათითაოდ, სახელდახლებად ამოძრკვა თითოეული კომპლექსისა. თომას ბერნარდის რომანისთვის შერჩეული სათაურით წინდანინე გეკარანხობს, რომ დანდობა გამორიცხულია და ტექსტიც ზუსტად ამართლებს სათაურს.

შეიძლება ითქვას, "ტყის ჩეხა" ცხოვრებისგან გაქცევის, მისგან თავდახსნის, მისი გადაღების ტექნოლოგიების რომანია. თუმცა მთხრობლისგან განსხვავებით, თავად ავტორი არამცთუ გაურბის ცხოვრებას, არამედ პირიქით, კალამს აიღებს და ნაჯახივით მოიქცეის მას. მიუხედავად იმისა, რომ ბერნარდის რომანი, თავისივე დასახრლებით, ვენის საზოგადოების ბევრ, სრულიად რეალურ წარმომადგენელს გულზე მოხვდა და საქმე სასამართლო დავებამდეც კი მივიდა, ავტორი არც ერთ შემთხვევაში არ აპირებს დანებებას. სწორედ ასეთია მისი პათოსი და ტექსტის დასასრულიც: "ეს ვენა მძულს და მაინც იძულებული ვარ მიყვარდეს... ეს ადამიანები ჩემიანები არიან და მუდამ ჩემიანები იქნებიან... დაუსრულებელივ დავწერ... ახლავე, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან" - შემდგომ დანერა და შედეგად არ დააყოვნა...



სოფი ოქსანენი

ძაღლების პარკი

დიმიტრი გოგოლაშვილის თარგმანი



წიგნის სანახავად  
დაასკანერეთ QD კოდი

**წარმოშობით ესტონელი, ფინელი ავტორი, სოფი ოქსანენი უკრაინელი სუროგატი დედების ბედს მათი მშობლიური სოფლებიდან ჰელსინკის ქუჩებამდე მიუყვება. ქალების შანტაჟისა და მათი სხეულების ექსპლუატაციის გზით შექმნილი ბიზნესი, ერთი შეხედვით, ორივე მხარისთვის სასარგებლო უნდა იყოს...**

**მაგრამ ძაღლების პარკში შვილის „დამკვეთი“ ოჯახების მოლოდინში გართული ქალები თავად ხდებიან სხვა, გაცილებით უფრო სახიფათო და დაუნდობელი პარკის ბინადრები.**



პალიტრა.L  
გამომცემლობა

 [www.palitra.ge](http://www.palitra.ge)

 [facebook.com/Palitra.L.Publishing](https://facebook.com/Palitra.L.Publishing)

# პკითხუდობ ქართუდს

მწერლისთვის ადამიანია  
მნიშვნელოვანი.

ნებისმიერი კარგი წიგნი ჩემზეა და ჩემთვის იწერება. ქართული წიგნი — განსაკუთრებით. ჩემს ენაზე, ჩემს დროზე, ჩემს გასაჭირზე, ჩემთვის ნაცნობი ამბებით ქსოვს ავტორი უჩვეულო ქარგას, სვამს კითხვებს და მთავაზობს, პასუხები თავად ვეძებო — თავგადასავალში მეპატივება.

წიგნი ერთი ამოსუნთქვით არ იწერება, მხოლოდ იკითხება და თუ დასასრულს, სხვისმა ნაშრომმა, სხვისმა ჯადოქრობით დალაგებულმა სიტყვებმა და წინადადებებმა, სხვისმა მოგონილმა თუნდაც ყველაზე ტრაგიკულმა ფინალმა, სიმსუბუქე და სიხარული მაგრძნობინა, ესე იგი, ნამდვილს შევხე.

მარტო აღარ ვარ.

და ეს ადამიანი, ამის შემქმნელი და შემძლე ჩემი თანამედროვეა, მეტიც — თანამემამულე. ამავე ქალაქში დადის, ამავე ჰაერით სუნთქავს. მას შეიძლება ქუჩაში გადავეყარო ან კაფეში მოვკრა თვალი, მაგრამ ჩვენი მთავარი შეხვედრა უკვე შემდგარია. შეხვედრის ადგილი კი მისი წიგნია, რომელიც რაღაც დროით ჩემი თავშესაფარი ხდება...

მომენატრება, მივუბრუნდები და მუდამ მიმიღებს.

სწორედ ამიტომ ვკითხულობ ქართულს.



სულააკაურის  
გამომცემლობა

